

716
1932
w7





୪୧୬
୧୯୩୨

ପ୍ରଦୀପାଳଙ୍କୁଣ୍ଡଳ

୭୦୪୬୦ ୧୯୩୨୦୯୦

ଶୁଣିବାରେ ପାଇଁ ପାଇଁବାରେ ପାଇଁବାରେ

୩୧୬୦୫୦

୧୯୮୨



კავკასიონი

KAVKASSIONI

RECUEIL GÉORGIEN LITTÉRAIRE

ვ 0 8 6 0 8 0 8 8 0 9 9

ვ ა რ ი ზ ი

1932



პრიმოზი აბულაძე

(1898 — 1931)

გამისწორებს ღოვინს და
თვალწინ წარმოუდგები,
ამბობს: „რად არ მოვიდა!“
სწამს, რომ დაფუძნებულები.

პრ. აბულაძე (რეო ამონი)

დღესაც სწამს დედას, რომ შეს კოტალი ხარ და მას დაუბრუნ-
დები... შორის, უცხოეთში სიკეთილი, ოდეს დედას არ უხილავს შენი
ცხედარი, ხელი არ შეუხსა შენი გაკეთებულ გვამისათვის, — დაუჯე-
რებელია... დედას არ მისვლია და არ უნახავს შენი ტანთსაცმელი, არ
დაუსველებია იგი ცხარე ურემლებით... და ამიტომ ეს სიკეთილი დე-
დისათვის მწარე სიზმარია... გელას, მოგელის, რომ შენ მას დაუბრუნ-
დები... ვერ დაიჯერებს დედის გული, რომ



დრო გადასულ ლოდინით
ახე თუ დაღონდები!
ჩემო ტკბილო მშობელო,
ნულარ მოგაგონდები...

გივონებს დღესაც დედა-შენი

სახე მცუნარი, ხნიერი,
ვეღრებაში გარისული...

მაგრამ რომ ვეღარ მიხვალ მასთან!

გარნა შენ მოხველი ქართულ მწერლობაში ნაზი სევდით და ტკბი-
ლი ოცნებით დატვირთული, მოხველი მაშინ, ოდეს

ცოტა დამრჩა იმედი,
თან დამჭინდა, მიყვარდა,
როცა წყალთან მივედი
ისიც გადამივარდა...

და ეს დალუპული იმედი — სამშობლო, შავი ზღვის ტალღებში
შთანთქმული, შენი ბედი გახდა, „ყორნის მყივარი ბედი“ — და შენი
ფიქრი, შენი გრძნობა, ნაზი სევდით ალსაცე, თაქ დასტრიალებდა შენს
მხარეს, — მას უმღერდი და უგალობდი, მას მისტიროდი...

ქართული მწერლობა ჩვეულია სამშობლოს ბედზე მღერას, —
მას ამშენებენ ჩვენი დიდი მგოსნები. მაგრამ შენი კალამი მაინც სხვა
გვარია: ნაზი სევდიანი. სამშობლოს შენ გულით ატარებდი და გული
დაგიწყდა მისი ბედის სიმძიმით... მასზე ფიქრობდი და ფიქრით დაგე-
წვა გონება —

რომ იმ დროს მხოლოდ იმას ვფიქრობდე:
მეც მყავდე ერთ დროს ჭირისუფალი —
ეს მოგონება ცრემლად მიმჭინდეს,
საჭართველოსენ მეჭიროს თვალი...

არ გელირსა! გაუსხელი კვანძებით და გადამხმარი იმედებით, ჩა-
გიხუტა უცხო მიწამ... იყავ შენ უებარი მეგობარი და თავმდაბალი,
უსაზღვრო კეთილი და ვაჟკაცი... და გარდასვეწილი. დაეძებდი პასუხს
იმედებზე...

უეცრად იმედი შეწვევა ხანდახან,—
და მაშინ ეს გულიც არ ოხრავს...

მაგრამ

დღეს იმედებშია კულაც შიმატოვეს,
 დამე მოვიდა და დავრჩი მარტო...

ეჭვი და უიმედობა ფლობდა შენს სულს, მაგრამ ხანდახან იმედის
 ნაპერწელი მანც აკისეროვნებდა ხოლმე შენს გულს, და ბრძოლის
 უნი გერეოდა შენ, — მაშინ კი შეჰქილებდა:

დაუზოგავად დაჲკარი ლევან —
 მტერი გასტერი სულ კუთხე-კუთხე;
 თუ მეტრდში ძალა გამოგელევა,
 ენას მოკვნიტე და მიაფურთხე!

აქა თავდადებისა და ბრძოლის ყიქინა, — აქვეა დამარტებული
 ადამიანის ზინწი და სისხლიანი ფურთხი მტრის წინალმდევ!

ამბოკარის მძიმე ვანცრა, სამშობლოდან მოწყვეტილისა და ეუ-
 ლის მწარე ბედი, — ეს შენი ნაზი კალამის, შენი ფაქიზი ლექსის მძიმე
 ტვირთია. მოწყვეტილი ვარსკვლავით უეცად გაქანდი ქართული
 მწერლობის უცხო ცაჲე. ჩაჲკერი მოულოდნელად, გარდაიცვალე...
 შეიძლება ამიტომ სწერდი დედის დასამშეიღებლად:

თუ ვერ მნახო ცოცხალი,
 ვეღარ გამომიტირო;
 მოზღვავდეს სევდა მწვავი,
 ზაფრები უნაპრი,
 დღე-ლამ ლოცვას მოუნდე,
 იმედი მანც გწამდეს,
 ბოლოს ალარ მოვიდე,
 დღეები გაგმწარდეს,
 ცრემლი თვალზე მიიწყო,
 ვერ შესძლო შეაჩერო!
 სჯობს რომ გადამივიწყო
 კეთილო, დედა-ჩემო!

ფუჭი რჩევა! დედა ვერ დაგივიწყებს. მაგრამ ვეღარც გიხილავს,
 — აკი შენ თვითონვე ამბობდი:

უკანასწერელ წუთს ვეღარხად მნახავს,
 ალბად უნდოდა ახლოს ვყოლოდი;
 გაფუსწორებდი ხელებს გადამხმარს —
 და საშარეზე დამედო ლოდო...



ჰაგრამ შენ მაინც დაპრონდები დედასთან, შენს სამშობლო უდიავებელი დასთან, რომელსაც ასეთი სიყვარულითა და ზრუნვით შემკობილი უძლიერი ტექსტი იყვარს უძლენილი... გადატეხილი იმედით, დაფერფლილი გრძნობით და ძიებაში დამწევარი სულით, შენი ნაზი და სუნდელი ლექსით კვალ წაუშლელი დარჩები ჩვენი ეროვნული გოლგოთის გრძელ და ძნელ ამბავთა ეტრატზე...

ვ. ნოზაძე

პრიკოზი აბულაძეს

(რეო ამონს)

ზავებში გმოსავს შენ სიმწუხარე,
ნაზი ოცნების წმინდა ხვეული,
გიცქერის ისა ვით მესაფლავე
შავი ღრუბლებით ცა დახული.

დღეს პოეტისთვის გლოვის კვირეა,
გულს რომ გიპყრობენ განცდის ფეხვები,
„ქავებისიან“-შე ისევ სტირიან
აცრემლებული შენი ლექსები.

ვიცი, გტანჯავდა ცხოვრება აფი,
გრძნობის ფურცლებზე ცრემლი დალპარე,
ნაცვლად კი ნახე ცივი საფლავი,
საფლავი უცხო და სიმწუხარე.

შენ გოტაცებდა სხვა მელოდია,
პაჭა ბავშობის ერთგული ფიცი;
დღეს აწერია საფლავს ლოდიანს; —
„ოუ არ გავთავდი, არ გადაგივდი“...

საღამობით მოდის აჩრდილი
და ოცნებები ღამიღან კვდება,
სდგას როგორც კითხვა სიტყვა „ხიკვდილი“,
ობოლს სამარე მოაგონდება.

ვეღარ გიცქერის ამაყ მთებიდან
სამცერ დროშებში გაშლილი ჰეცა,
შენი გრძნობების ცრემლთა ამბავი
გლოვის ფურცლებათ ჩამოიკეცა.

ტუნის კანკალით დედას ვერ ნახავ, —
შენ სიცოცხლეში რასაც ნატრობდი, —
„გავუსროებდი ხელუბს გადამხმარს,
და სამარხეზე დამიღო ლოდი“...

ძმაო, პოეტი განცლებად დნება,
როცა უყურებს დლექს გვალვიანს,
ცოცხალსაც მჯერა, რომ დლეს ცხოვრება
ახალგაზრდისთვის მესაფლავეა.

წინ მიგვიძლვება სიკვდილი ჩქარი,
სძინავთ დევნილებს, სძინავთ ეულად,
შენც მათთან ნახე თავშესაფარი,
დლეს სინამდვილით ცრემლ დანოხეულმა.

შიწას აწუხებს მძიმე გაღება,
შენი გრძნობების კვნება კეთილი,
მოხსინს ნისლებში ვით ქანდაკება,
სახე ცრემლებად ჩამოკვეთილი.

გიორგი ყიფიანი

პარიზი, 1932 წ.

ଅନୁଷ୍ଠାନିକ ଆଶ୍ଚର୍ଯ୍ୟକରଣ

(ଥିର୍ଯ୍ୟାନ ଅଧିକାରୀ)

ରାଜପତ୍ରିଲାଲ ପାତ୍ର

ମନୋମନୋଧାରି ଜାଲସିଲାଇଯାନ

ପରମ୍ପରାକୁ ଜୀବନର ଅନ୍ତର୍ଗତ ମନୋମନ,
 ପ୍ରକୃତି ହାତରେ ଉପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ପରମ୍ପରାକୁ ଜୀବନ,
 — ତାତ୍କଳୀନ ମନୋମନରେ ପାଦମନୋପାଦେନି,
 ଦୂରପରାମରିନ କୁଳଫୁଲରେ ଅନ୍ତର୍ଗତ ପ୍ରକୃତିକୁ ଜୀବନ.

ପାତ୍ର ପ୍ରକୃତିରେ ନିରାକାର ପରମ୍ପରା ଶାରୀ,
 ପରମ୍ପରାରେ ମନୋମନ ପାଦମନୋପାଦରେ ପରମ୍ପରା;
 ଦା ଦା-ପରମାତ୍ମାର ହାତରେ ମନୋମନ
 ତାତ୍କଳୀନରେ ମନୋମନରେ ତେବେରି ନୃପତ୍ରରେ.

ମାନିବ ଧାତୁରୀ ସିନାତଲ୍ଲେ-ତାତ୍କଳୀନ,
 ନିର୍ମାଣ ପ୍ରକୃତିରେ ଅନ୍ତର୍ଗତ ପରମ୍ପରା;
 ପ୍ରକୃତି ମନୋମନରେ ପରମ୍ପରାରେ ପରମ୍ପରା
 ପରମ୍ପରା ଦୂରପରାମରିନ ହାତରେ ଦା ହାତରେ.

ଦେଖିଲ ନିର୍ମାଣରେ ମନୋମନରେ ପରମ୍ପରା,
 ନିର୍ମାଣ ମନୋମନରେ ପରମ୍ପରା;
 ମନୋମନରେ ନିର୍ମାଣରେ ପରମ୍ପରା ପରମ୍ପରା,
 ଦା ପରମାତ୍ମାର ପରମାତ୍ମାର ପରମାତ୍ମା.

ପରମ୍ପରାକୁ ଅମ ଫରନେ ପରମାତ୍ମାର ପରମାତ୍ମା,
 ତାନ ପରମାତ୍ମାର ପରମାତ୍ମା ଅନ୍ତର୍ଗତ;
 ନିର୍ମାଣ ମନୋମନରେ ପରମାତ୍ମାର ପରମାତ୍ମା
 ଦା ପରମାତ୍ମାର ପରମାତ୍ମା ପରମାତ୍ମା —

ମାର୍ଗାଦ ମନୋମନ ମନୋମନ ତଥାର!
 ପରମାତ୍ମାର ପରମାତ୍ମା ପରମାତ୍ମା!
 ମନୋମନ, ପରମାତ୍ମା ମନୋମନ, ପରମାତ୍ମା ପରମାତ୍ମା
 ତା ହେତୁ ହେତୁ ମନୋମନ ପରମାତ୍ମା!

შამქორის ველით ნარიყალამდე,
 ტაბახმელადნ გამოჩნდა დილა;
 ერებლეს ლანდმა გათენებამდე
 ტფილისზე ორჯერ ვადაირბინა.

2

ერთი შეხედეთ, რას უგაეს წევრო!
 ფშავი თუ მივა მთათა მხილავი.
 — ამ ჩემს ცივს მკერდზე გაღმოვაწვენო —
 მშეს ემუქრება ცაში მყინვარი.

მთის ქაბულები უცდიან მოვარეს
 გამოვა ხევში, ჩამოჰყრის ქარვებს,
 ოქრის მანდილებს წმოაფარებს
 რძიადა მკერდზე ფშავეოს ქალებს.

გამოვა ქალი ჩანჩქერა თმებით,
 კლიის სიჩუმესთან დაწყობს ჰანგებს;
 შიშველ უბიდან სურნელ თითებით
 ვაუს ოცნებებს ამოალაგებს.

მღერის: — სული ვარ წითელი მზიდან,
 სურნელ ვნებებით საქე მაქეს მკერდი;
 დალმებიდან სინათლეს ვზიდავ,
 იქიდან აქეთ, გადმოლმა კლდემდი.

მე თვით ვარ სიტყვა ოდით ოდემდე,
 ფრთა სხივი აზრი, ცნობა ნამდვილი;
 ღმერთის მკერდიდან ქართულ კორდებზე
 გადაულერილი, გადავარდნილი.

აქ ყველაფერი ისეა ტბილი,
 შორი შრიალით ისე დავეშვი;
 ცაშე მნათობთა ჩუმი სირბილი —
 როგორც ტალღები იორდანეში.

ამ სიჩუმეში, ამ სიწყნარეში
 ოთხ ქართველ მგოსანს მოვპარე გული
 და გადავმალე ცხრა მთის მხარეში,
 სადაც ცა არის მოუბში ჩადგმული.



მოვა მეხუთე მხე-მგოსან-ღმერთად,
ცეცხლეულ გრძნობია ამინთებს კოცონს,
ხალხს ააელერებს სიმებთან ერთად,
რომ დედმიწამ ზეცს აკოცს. —

უსმენს არაგვი ტალღა-დაკრული,
— ჰუუუ... საყვარელო, ვავამ ხომ ქე სოჭვა —
ამ სიხარულში გზადაკარგული
უეცრად კლდეზე ჩამოეხეთქა.

8

შენი ჭირიმე კახურას წვენო,
მაბენიერე მრავალი წელი!
ჯიღა დეკეულს წამოვაწვენო ---
ოჯახში ლრეობს დღეს მასპინძელი.

— მხოლოდ ჩვენშია გულლია ძმობა,
ასწიეთ ჭიქა თეძო-მაღალი!
შეგსვათ გულ-ხვავი ქს მასპინძლობა
ღვინოსთან ერთად გაღმონალვარი.

არ დააძალოთ გზად წარმავალსა,
დაალევინეთ უკანასკნელი,
თორემ გადაწერას სოფლის ლამაზსა
ღამის სიმღერით ტრფობის ამღვიწელი.

ნუ აგვიანებ, უკან ნუ აჩები!
აუბი მარი ცეცხლეულ ღვინოს;
სულ ამოწრუპე თასის ტუჩები
რომ სუფრას ცეკვით შემოურბინოს!

ამღერდით ყველა, ასტერეთ ლხინ,
ერთად გადავყვეთ სუფრა საფირონს;
მხრებ გადაშლილი და თავ-დახრილი
ჩვენს წინაპრებში გადაგვაფრინოს.

დოლი, თარები! ჩამოვაროთ სიმებს!
დღეს ჩვენ გვწყურია მღერა-თამაში;
ლეკური, ქალო, შენი ჭირიმე!
გვაჩვენე მელავის თეორი მარმაში! —

მუქი ფეხები მოსდევენ თარებს,
დამტყდარ ხეეულით მოავლეს ჩეილი;
გაფტრინილ მცრდის ზეირთვას ამთავრებს
ჩამობნედოლ მხრების კანკალი.

როგორც ლაშვარი მწყობრობს ტაშები,
ქანაბს თეძო ვიწრო ქამართან;
ვხება-ზნეტილში ნაკაშეაშები
წელი მოსხლიტა და გადამართა.

გაფტრინდა მალი, ზეიმს გაშორდა;
თან გაიტაცა საკრავთა ხმები...
ამ დროს ყმაშვილმა ტანი გაშოლტა,
წამოახურა არწივის მხრები.

ატეხილ ვნებით წინ გადაუდგა,
უკუ-აცორვა მწყრლი ასული;
შაქარ-ლიმილით ქალი დაუტკმ
და მის ჩოხაში დალია სული...

4

გრძელი ზამთარის თოვლის სიუხვე
წარბს ვერ გაუხრის, ვერ შეაშნებს;
ცეცხლს შეუკეთებს, ბუხარს მიულხენს
და მოუყვება შეილს, შვილიშვილებს; —

იყო და არა იყო რომეო,
იყო ერთ კოშკში ქალ-მზე მთავარი;
მაშინ იქრის დრო იყო თურმეო,
მშენენიერება მეფე თამარი...

და გულ-მოღვინით საგმირო ამბებს
ზღოპრად გადმოშლის ძველ სინამდვილეს;
ამაღამ ასე გაათევს ლამეს,
ხვალ თოვლიან ტყეს გადინაღირებს.

დღეს? ო, დღეს კი ქართველი გლეხი
წუევლა კრულვაში კვლავ დაიყურა,
როგორც ჭალისთან მტრიალი ვერხვი
ცესვებიანად კადაიღუნა.



იმედი, ტრფობა, მზიანი დილა,
სულ ყველაფერი გაუნადგურეს;
და დღეს მის გულში იმათ ადგილას
თეორმა დანებმა დაისადგურეს.

ოჯახი ულვოოდ გაუტიალეს,
დედას შვილები თავს გადააკლეს,
დედას ნახვეწანს და ნამტირალევს
ტლანქი დაცინვა ალარ დააკლეს...

¶

ამოიყარა გზაზე ქარები,
ფართე სუღრებში ჰეივიან დროებს;
ტრიალ მიღვრების გრძელ ქარავნებით
ერეკებიან ღამის ურდოებს.

არაფერია რომ მოვეფარო,
გადავუხვიო, ჩაძოვეცალო;
სად არის ვინმე, მოთხარი ქარო!
შენი სინათლე აა იქნა ცაო!

მ! ცაო, ცაო გაისინათლე,
გამიადვილე გზა გადუვალი,
დაიშოშმნე ავი სიაფორე,
გადაუუენდი ლურჯად მღუმარი.

შავო ფრინველო, გაარტყი ფრთები,
გზაზე მარტო ვარ; თუ შეიძლება
წაიღე ჩემი ღამის ფიქრები.
იქნებ მომძებნონ შინიდან ძმებმა!

¶

აზვირთებულა რიონის ველი
ხარდან-ვაზების მწიფე ზეარებით;
შემოსწრება ქართული რთველი
ზურგზე ადებულ უურნის ძარებით.

უხვი ხეავებით ავსილა ჭალა,
ნინოს ვაზებში უფლის თვალია;
ალამზა ჩირგილს მოსტაცა ჩალა,
ქარებს სერები დაჭაჭრება.



მოდის სურნელი დაბალ ქედიდან,
მოსიანს ბოსტნები ყვითელ წერტილად;
წითელი წვენა მზის ჯიქნებიდან
მწიფე ნაყოფში ჩამოწრეტილა;

მთა-საწნახლებში მკერივი მტევნები
ჩაზავებული ელიან ქუსლებს.
ღვარად მომსკდარი ტკბილის მტევრები
გლეხს ას-ჩაფიან ჭურებს აუქსებს.

გლეხი ულიმის, უმღერის ამ ღლეს, —
ბრინჯაოს მკერდზე სიდის მიწის სუნი;
ეტლის ცვალებას ის უკან მისდევს,
ოვით ცხოვრებასთან წალდით მისული.

მშობელი მიწის თბილ ძუძუებში
მიუტანია თავის ფესვები;
ოფლით გაელენთილ მსუყე ხნულებში
ჩაუბნევია შრომის თესლები.

დორჯ-მოდგმული მხრებს აიწურავს,
გვერდულ დავლურით გაპუვება გრძნობებს;
ჩოხის კალთებზე წვებით დასცურავს,
ხელით ეხება ოქროს ოცნებებს.

¶

ჩამდენიც უნდა მინდოდეს აწი,
ჩამდენიც უნდა კიდევ მახსოვდეს;
აღარ მომიტანს გრძნობა წინდაწინ,
ჩასაც ველოდი აღაჩასოდეს...

მზეო ბედობას გადაცემული,
ყმაწვილობის დრო, გრძნობების ტრფობა;
მღელვარე ცქერით აღტაცებული
სატრაფოსთან ახლოს წმინდა დაგზნობა.

გრძნობა ლაცვარით, ხურვილი ველი,
ნაზი ალერისი სანოლისისუერ ხელის;
გულკეთილობა დაულეველი,
დაუვიწყარი ნათელი მხევლის.



სსოვნა ეხება ისტურ თვალებს,
მარად სახსოვრად რომ ჩამჩრა სულში.
რამდენი რამე შემომითვალეს...
შეხვედრების დროს ახლო წარსულში...

და შემდევ კიდევ რამდენიც უნდა
სურვილი გულზე ეკალს მასიძეს,
დღენი წარსულში რომ ვადასცურდა
არ მოვიგონო აღარასოდეს...

რაც იყო თითად

პირველ-დროინდელ ხუჭუჭ თცებებს,
ბერიერ წლების ყრმობალალობას,
ზღვაურ გრძნობებით მოდენილ ცრემლებს,
სატრიფოს მკლავებით გადანალობას,

ეზო-ვენახებს, სურნელ ხეხილებს,
ბალების შრიალს წყნარ ამიღებით,
გრძელ-გრძელ მთებს მთაში ვადაგრეხილებს,
ლამის კას ნაჭერს მარგალიტებით,

პირქუში ცხენის უზანგ-ზარნიშებს,
ოჯახურ ბედის თვალის სიხარულს,
ხანის წყლის ტალღებს როვორც ბალიშებს
და ზედ ლამაზად დაშვენილ მხარულს,

ვერც იმედებით თვითვარემოცვა,
ავირიან ღამეს რომ ვამიგულვეს,
ვერც ხმა დაშვერი ჩუჩჩული ლოცვა,
ვეღარაფერი ვერ დამიბრუნებს...

ა

მომღერალ გრძნობებით ფაქიზად მიყვარდი,
სხვა შენს ვარეშე არავნ არ მყავდა;
სიყვარულს, სიხარულს კათამდე მივყავდი,
როდესაც ეს გრძნობა ჩემში დამყარდა.

ყოველ-დღე ფარულად გიცდილი ქუჩებზე,
მღელებარე წუთები გულში გაელეს.
ვამოჩნდი. ლიმილი შეგავდა ტუჩებზე,
ერთმანეთს თვალებით მოვუალერსეო.

იყავ უწმილესი, ფერმქრთალი, ნათელი;
ნაზმა სურვილებმა გული ავიგსო.
ვეღარ მოვასწარ ჩაც მქონდა სათქმელი,
დავშორდით ერთმანეთს სამარადისოთ.

♪

შენი თვალები ზღვის ფირუზოვან ტალღების ფერი —
ცურემლით ინამა — გებრალებოდი... არ ვიცი თუ რად!?
იქნებ გაწუხებს ლანდი-წარსული და ეფემერი,
თუ გსურს ყოველი დავიწყებას მისცე საჩუქრად!

შენ ჩემი სულის ზე-აღმაფრენა არ გიტაცებდა,
შენი გრძნობები ლავგარდ ფიქრებს ცივად იღებდა;
არ გაღელებდა ვნებით აღსავსე მზიური კალო,
არ სჩნდა თვალებში ტრაფობის სინაზე უგზო უკვალო.

და ძლიერ გიკირს, როდესაც მხედავ ასე შავებში,
შავი სამოსი მუდამ გაფიქრებს, ვერ გაგიგა;
ვეღარ სჭერებ ჩემ სულს; დღეს ხოლოდ ხედავ შაბამის კალთებში
დამწვარი გულის სიკვდილის ჩარჩო თუ რა როგო!

♪

ჩემი გრძნობები იყო ნელი ცა,
სული ქალწული, ნაზი ძირამდე;
ზე-აღტაცებას გზნებამ მე მიმცა,
რომ მარად ტრაფობას შემოგწირავდე.

ჩუმი გაფრენით დროს გადასცილდა,
სწუუროლა შენი ქართული სახე,
ოქროს ლამილი მტკვარს დააცვინდა,
როცა ჩემს გულში ჩამოისახე!

მესხეთის პანგებს უკრავდა მტკვარი,
ვაზის შრიალი სწვდებოლდა ნაპირს,
ფისის სურნელით ტუჩებ-დამტკბარი
ყელს გეხვეოლდა კოშკის პირდაპირ.

ფიჭვი კლიის ზურგზე გადმონაკლავი —
თუ მოიხარა ავლინი ქრიში —
შენს განსაბანად სდიოლდა კვარი
ჩამოქცეული პირდაპირ მტკვარში.



მთვარე სცურავდა მაღალ კოშკებთან,
სამოცი ველი წამოქცეული,
შემოგცეროდა და გაღმოსჩეულა
ვერცხლის ჩანჩქერი ხმებად ჭცეული.

შორად მღეროდა ლურჯი სერები,
სიგრცე მიდგრებში გული მიწვდა,
შზის არტაებში მინასვენები
შშობელი მხარე გადამირწვდა.

ბავშობიდანვე შემოგეტრფოდი,
სად არ ვიყავი, მუდამ გელოდი,
ცხოველ განცდების სიცოცხლით ვთრთოდი,
სოფლიდან სოფელს გადავმოეროდი.

ჯერ არ გამჭრალა და ახლაც მახსოვს
გრძნობა ამტყდარი და აქლერილი,
იდგა ჩაისი შენს ახლო-მახლოს,
კლდე მშეში ოქროდ ამოშვერილი.

უცხლოვან გრძნობით ვიწოდი შენთვის,
ჩემი სურვილო, ჰაეროვანი!
საღაც რომ მტყვარი არავს შეერთვის
იქ იყო ჩეენი საპარმანო.



უკანასკნელად შეეხე სიმებს,
მთრთოლავ თითებით დაწყარე ხმები;
გაღმოაბნიე გულის ხრესილებს
ყრმა-სიმღერები და კიდევ სხვები...

შენ თუ დროებით ავათალისებს,
რომ ააელერო ძევლი ცხოვრება,
მე ნამტორალებ სევდას ღამიესებს
და სიკვდილამდის მენახსოვრება.

უკანასკნელად შეეხე სიმებს,
გაიმეორე წარსულის ხმები,
როს გავსცეროთით ტყის გზა-ტკეცილებს,
ერთად ვიყავით ნაგულისხმები.

୫୫

ଫାର୍ମାର୍ଗିଲେନ୍ ଫିଲେବି ରା ରାମଫ୍ରେନ୍ ବେପାଦ୍ୟ,
 ରା ବୁଧି ମେଦ୍ରେବ୍ ବାଦାମ୍ବାର୍କ୍...
 ବେର୍ମାନ୍ ପ୍ରେଲାଟ୍ୟର୍ସ, ତୁ ରା ବାନ୍ଦ୍ରୋପାଦ୍ୟ...
 କ୍ଷେଣିରତ୍ନାବ୍ସମ, କ୍ଷେଣିରତ୍ନାବ୍ସମ, ବାଦା ବାର୍କ!

ଶୁଭରାତ୍ର ମେଦ୍ରେ ମେର୍ବ୍ୟେବା ବାନ୍ଦ୍ରାକ୍ଷାନ୍, —
 ରା ମାଥିନ୍ ଯେ ବୁଲ୍ଲିପ୍ ଅର ରାତ୍ରାର୍କ୍;
 ମିତକାରୀ କ୍ଷେଣିରତ୍ନାବ୍ସମ, କ୍ଷେଣିରତ୍ନାବ୍ସମ ବାଦା ବାର୍କ!
 ବାତାଵରା ମେଦ୍ରେ... ଅର ମନ୍ଦବାଳ?

୫୬

ଫଲେବ୍ ମେଦ୍ରେବିମା କ୍ରେଲାଙ୍କ ମିହାତ୍ରିବ୍ୟେବ୍,
 ଲାଭ୍ୟ ମନ୍ଦିରା ରା ଦ୍ୱାରିନ୍ ମାର୍ତ୍ତିମ.
 ଶେନ ଅଳ୍ଲାଙ୍କ ମଥିଲିଲିପି ହିମି ସିମାର୍ତ୍ତିବ୍ୟେବ୍
 ବୁଲ୍ଲିଲିପି ବେଳିନ୍ଦିଶି ଲ୍ଲେଟାଇମିଶିଲିଲିପି ବାର୍ତ୍ତି!

ରାମପା ବ୍ୟୁଷ୍ମି ଦାକ୍ଷିଣ୍ୟ କୁଲିଶିମିନିଲା,
 ରେଫାଥ ମାହିର୍କ୍ଷା ମାଥିନ୍ ଯେ ବେଳିହା...
 ଯେ ମନ୍ଦିରନ୍ଦେବା ଫଲେବ୍ ରାମାତ୍ର ମିନିଲା,
 କେମି ପ୍ରେଲାଟ୍ୟର୍ସ ବାତାଵରା... ମନ୍ଦିରିଂ...

୫୭

ତୁ ବାନ୍ଦ୍ରୋପାଦ୍ୟ ହିମି ଫେରିଲିଲି,
 ମିନିଲା ଦାସି ଶେନତାନ୍ ଶେନିଲାନ୍;
 ଶ୍ରୀଶବିନ ଦାମିଶାରୀ ରା ଦାଜୁନିଲିଲି,
 କ୍ରେଲାଙ୍କ ବାନ୍ଦ୍ରୋପାଦ୍ୟ କ୍ଷେଲି କ୍ଷେନିଦିଲା...

ମେ ତୁ ମିକିତବାତ୍ର, ଜ୍ୟେଷ୍ଠ ପ୍ରତ୍ୟାମି ବାର,
 ମାନିଦ ଅର ମରିପ୍ରାତ୍ର, ଏହି ବାର ପ୍ରଦେଶ;
 ମ୍ର୍ଯ୍ୟଦମ ଗିରନ୍ଦିନ୍ଦିତ, ପ୍ରସ୍ତୁତି ଦାଲିବାନ
 କ୍ଷେଣିରିଲୁଫ୍ଟଲିଲ, ମାର୍ତ୍ତିମ, ପ୍ରଦେଶ.

ଅମିତ ବୁତାବ୍ରଦ୍ଧ ଶେନତାନ୍ ମୁହୁରିତି,
 ଦାଲା ଅର ଶେମିଶ୍ଵେତ, ପ୍ରତ୍ୟକ୍ଷିରନ୍ଦ ମେ ରଜିଲିଲିଲି,
 ପ୍ରତ୍ୟକ୍ଷିରନ୍ଦ ପ୍ରେଲାତ୍ରୀ ରା ମିଳିବ୍ୟେବ୍,
 ପ୍ରତ୍ୟକ୍ଷିରନ୍ଦ ରାଜ୍ୟରୀତ୍ୟ ରା କିଲ୍ପିବ୍ୟେବ.

თუ საქართველოში აღარ დაგვიცემი

ეპოქის კიოლონნი სტირიან მკენესარნი,
 სიმების ძახილმა ქვითინი მოსრისა;
 ეს არის გოდება გულს დანაკვნესარი,
 ორკუსტი სიკვდილის მეორედ მოსელისა.

ეპოქას დასტირის ღრმა და ღრმა ზუზუნი,
 ქარებიც მოვიდენ ყორნების ყივილით;
 მოთქმით ამბობენ კილო აგრუზული
 კიოლონთ ძარღვები ცრემლიან კივილით.

დამწვარი ღრუბლებით ეს სულიც მონისლეთ,
 შიგ ჩამოძაყარეთ გლოვის ხმ-გუნდები;
 მოჰკვეთეთ ეს გული, ქითინით მოსრისეთ,
 თუ საქართველოში აღარ დაგბრუნდები.

გულს რომ დააყარეს სევდების ხევები!..
 როდის გათავდება ეპოქის ზარები!..
 ყოფნის დასასრულოთ თვალ-მონაზმანები
 სტირიან ველები, წყლები და ხევები.

ეპოქის გოდება ჯერ არ გათავდება,
 სიმების ქვითინმა გააწყებს ქედები;
 მწუხარე გრძნობები კვლავ თანდათანდება,
 სტირიან ბავშები, მამები, დედები...

ვინ ისნის სიცოცხლეს! სად არის გმირები!
 სად თავის განწირვა, წინად რომ კმარობდით!
 სად არის წარსული დღეს შენაგინები...
 მკედრებო წინაპრებო, საომრად გამოდით...

* *

ისევ ამოტყდი ქარო ზოვასავით,
 ააფშვიტენე გუდა-სტერები;
 ვაღამაწვნე ძირს აფრასავით
 და ვამაქანე ჩქარა ტივებით.

უნუგეშობით ანატირები,
 გაღამაცილე სივრცე, ცა, არე;

შორი ქვეყნები, შორს ნაპირები
გადამაქანე, გადამატარე.

რომ იმ დროს მხოლოდ იმას ვფიქრობდე:
მეც მყავდა ერთ დროს ჭირისუფალი —
ეს მოგონება ცრემლად მიმქონდეს,
საქართველოსკენ მექიროს თვალი.

კარგ მომავალზე გული მტკიოდეს,
რომ ვერ დაელევ ჟაღარა წლები,
შეშლილი ქარი თავს დამტიროდეს,
ისე მოვკვდები, არ ვეღირსები!

ისევ ამოტყიდი ქარი ზღვისავით,
მიუვალ ადგილს დამაგდე საღმე;
გულში ჩამიერ მშობელ ძმასავით
და გამასვნე უკუნისამდე.

ფ

უჰ, გადამშორდი შავო ყორანო!
ქარებს დაუნთქავს შენი ყივილი!
ვე-მხერებიანო, ენა ვერანო,
მოხვალ და მოგაქს ვულის ტკივილი.

მაინც რა ვუყო! სიით მივდივარ!
გარს წამომაწვა ქარების ვროვა.
გზა ხომ დაელიე ტრიალ მიდვრიან
და ავტელით ყორნების გლოვა!
თავჩალუნული დავიარები
ათასი გრძნობით გულ-დაწყვეტილი;
სული დაიჭრა ლრმა იარებით,
თვალს ლუნას ცრემლი წვერ-დაწვეტილი.

დიდი ხანია რაც მივატოვე
მშობელი მხარე, ყველა და სატრფო;
შენ ახლავ მხილოლ ჩემს სიმარტოვეს
გულის ბოლჩაში ლვთისმშობლის ხატო!
შორს ნაპირიდან ვარსკელავი წყდება,
გადამალა გადალმა კლდემა;
ვის დაუძახებ! ხმა არსით წვდება,
ყველაფერს სევდა. ყვავილი კვდება.

ରନ୍ଧରାରୁ ଫୀନାଶ୍ଚ, ସେଇ ଦା ସେଇ
 ଗମନ୍ତିରିଦାର୍ଯ୍ୟ, ଗାୟତ୍ରିମାସୀ;
 ଘୁଲିଳି ଉବ୍ଜ୍ଞାନିତ ମିଶାଳ ଦା ମିଶିଲ୍ଲେ
 କିମ୍ବି ନନ୍ଦି ବାର୍ଷିକାଲୀଙ୍କ ସେଇ ଦା ସେଇ.

ଲାଭେଇ ତ୍ଵିତନିନ୍ଦା-କ୍ଷା-ନ୍ୟାନ୍ତି:
 ଫୋଲି ତୁମରମାନ୍ତି, ଲିଲି ଶ୍ଵେତତେବି;
 କାରୀଳି ତର୍କେଶ୍ବି ମେଘ ମୌଯାଲ୍ୟ
 ଗାନ୍ଧମଲ୍ଲେଶ୍ଵିଲ୍ଲି ଶ୍ଵେତବିନ୍ଦି ମନେବି.

ଗଢିଲି ଦାସାବାଲିଶି ସିନାତଲ୍ଲେ କ୍ରିଃବା,
 ଗାନ୍ଧି ତୁ ସାରମ୍ଭ ଦାଵାଗାନନ୍ଦ;
 ଧନ୍ତଲୁଳି ଦା ଧନ୍ତଲୁଳି ମାନ୍ଦି ଇନ୍ଦ୍ରିବା
 ମିଶ୍ରବାର୍ଯ୍ୟବେଦି ଗାନ୍ଧାଵାରି.

❀

ଘୁଲିଶ୍ଵରଭୟରେ ଶୁଭ୍ରବିଲ୍ଲିତ ଦେଇରି ବିଲନ୍ଦ,
 ଲେଲିବିଲି ଶୁଲ୍ଲି ବେଳ ଦାଵିଶ୍ୟନାର୍ଯ୍ୟ,
 ଶ୍ଵେତ ଫ୍ରିଜ୍ରେବି ବେଳ ଦାଵମନ୍ଦ,
 ଫିଲିଦା ଦେଇବ, ଶେବ ଶେମିଶ୍ୟାଲ୍ୟ!

କିମି କ୍ରମରେବା ଗଢାଶ୍ଚ ଦାନନ୍ଦା
 ଗାନ୍ଧାତ୍ରେଲିଲା ତା ଫାର-ନାବାଲି;
 ଫ୍ରିଜ୍ରେବି ଶେମିପ୍ରକାର ଶୁଲ୍ଲ ସବାନାରମ୍ଭ,
 ମିଶ୍ରବ୍ୟେଦଶ୍ଵର ତ୍ଵାଳ-ପ୍ରକରମିଲ ନାଲାମି.

ରନ୍ଧରାରୁ ଘନତଲ୍ଲେବିଲି ଗର୍ବବା-ଗୁନନ୍ଦ୍ୟବି
 ଶେମିଲଗମିଶି ଗଢାଶ୍ଚ ଦାଵିନ୍ଦା;
 ଏବେ ଧନ୍ତଲୁମଦ୍ଦେ ଗାନ୍ଧନାଲଗୁର୍ରଭ୍ୟବେଦି,
 ଶ୍ଵେତର ବାର୍ଷିକାଲୀଙ୍କ ତ୍ଵାର ଅପିମିମଦା.

ଅମିତାନନ୍ଦ ଲାରିଲି ଗମିଶ୍ୟରା ଶ୍ଵେତ,
 ଏହ ଦାମରିହା ଲାଲପ୍ରା ଫିଲିଦା-କ୍ଷେତିଲି,
 ସାନ୍ତୁଗ୍ରେଶ୍ବରାଦ ରାତ୍ର ଗାନ୍ଧମନ୍ଦେପ୍ରା
 ମିରିଲି ଶ୍ଵେତିର ସେବିତ ଗାନ୍ଧାକ୍ଷେତିଲି.

ପାର୍ଶ୍ଵରେଲ ଘୁଲିତ ସାଥେ ଗମିଶ୍ରାଲି
 ଦାଵାଗାନ୍ଦେବିଲି ମନ୍ଦ୍ରାଳ ଶେବ କାହିତାନ;
 ଶେବ ଶ୍ଵେତେର୍କ୍ଷେତ୍ର ଶ୍ଵାଦ ଦମିଶ୍ରାଲାଲି,
 ଗାନ୍ଧାମିତାର୍ଯ୍ୟ ମତ୍ସ୍ୟବୈଲି କାଳିତା.

Ֆայ, մոմեցն! Վուս, վուս զեմոնուտ!
 Ծահցը զազայիրուտ թագասին
 Շբանակեցելազ զազոմցորուտ:
 Ան զամարչացը ձա ան սոյցդոլո!

Զամարշեց հանմո մոնթռոհ-մոնթռոր ձա
 շամալուց դրութ և սուսելուտ նախածո,
 տացից դաշըլքերուս առաւ, դրու ձա
 Շունդ-զարեխոլո յորդյ ապէածո.

Ծառնօցացազ ճակարո լըզան —
 Մըրերո զափերո և սուլ յշտեց-յշտեց;
 Եղ մյորդնի մալա զամոցը լուզա,
 Ենաս մոյզոնուց ձա մատուրուտեց!

Մոյզեցնեցն յուրիլցը մո յորդեցն,
 Մոցեցուրեցն լուլուն ծայմեցն,
 Մոցունալունց ծելուրա հուրցեցն
 Ձա նայուս ծոլլցեցն մորս համոնա՛նցեցն.

Իս յետոլու եար, հիմու ձայց!
 Լոմունուտ սաեց զանաւեցնեցն;
 Իռցոր մոյցահար, Մյոն հռու զական,
 Եղուա ելուցուտ մոմեցուրեցն.

Իս սկերտայ ձա սոյտա, ոյիշալու,
 Իռցորն ու որումն օրուտ-օրոնթուլցը մո;
 Երշնանօնծուտուս մոծերուլ յարուտ
 Մնուս շորհայեցն յայոնթուլցը.

Ետամա՛նց մեցոնձար հուրցեցն,
 Մնուտ զալաւելուն սածայմուն ծալնի,
 Ընծուն լոռոցը սուլ ձագոհմուրցը
 Օյիրուս նույսարուտ տամա՛նոնձան.

Եղ գոնդատ մոցցւեմու մի յուլս յելացը,
 Զատամա՛նց տու յո ևս ուրցը մուտ!
 Սակառա յուրուլս զեր մոցածմարց...
 Տէշենցուս, մցորդանու, ար ձացուրցը!

მაინც, რა უჭირს ახეთ სიცოცხლეს!
მომენატრება აღმზრდელი კლდენი!
შევეხვეშები გაფრენილ მერცხლებს,
და მოლოდინში ჩემთვის მოკვდები!

დარჩება გრძნობა ვულლაწყვეტილი...
ვარსკვლავებს შორის მშიფე ლავარდთან;
ციალ ციმურმით ჩამოწყვეტილი,
ღვინობისთვეში დუღუნა მტკვართან.

მაგრამ მანამდის თქვენი ვიქწები,
გავიზიარებ ცოტა გართობას,
თუ ბოროტი ვარ, გარდავიქმნები,
დავტოვებ ქვეყნის უკუღმართობას.

თქვენ ნათელი ხართ, როგორც ლამპარი
ქართულ საყდარში წითელ აღდგომას...
შემომეხვივთ თვალებ-დამტკბარი
და მოეფერეთ ჩემს უბედობას.

თბილისი

საით მიგყევაო, ტებილო ოცნებავ,
 რათა ვარ შენთან მუდამ უძლური!
 ჩქმში ხომ ტანჯვა გაორკეცდება,
 გლოვის კარებით გადმოხურული.
 აჩრდილო მოდის შორს შევ დარდიდან,
 სახე მიცერის ოვალიზ-ლიფრონი,
 თითქოს მოაღეს საწერ მაგიდას
 მოები თეორ-გულა კვკასიონის.

მწვანე ბალახი ფარავდა ცინებს,
 კვლავ აიშალა ვრძნობები ცხარე,
 და მეც გავყევი ლამაზ მილიკებს,
 როგორც მთული, როგორც მეტვარე.

ასე გავცილდი ნათხვარ მიწას,
 შავი ხმელეთი სცურავდა ზღვაში,
 დალუნულ ცაზე ლრუბლები იწვა,
 ლურჯი ტალღები მოძღვდა ტყლაშით.

თეთრი ჩანჩქერი კლდეზე გადმოქუსხს,
 იქ სიპზე, აგდებს გველივით ენას,
 ჩასინებია დაქანცულ მოხუცს,
 მოსჩანს კოჯორი და ტაბახმელა.

ჰე...თბილისო, ტანჯვის ჭალაქო,
 დღეები ვიქსოვს კრწლიან ამბებს,
 რომ გორდა ხმლებმა გაინავარდოს,
 სად გყავს ირაკლი და სააკაძე.

შემოგიხურავს ეს საუკუნე
 თეთრი ჩონჩქებით გადმოტეხილი,
 დღეს სინამდვილე ისე გაწუხებს,
 როგორც სულთანის მძიმე მახეილი.



შენი წარსულის მძიმე ლოდინი
ღიად მომავლის უყო თავდები,
მკერდზე დაგემსხვრა მედგარ ბრძოლიდან
მურვან ყრუები და ჩატმადები.

ხმა ყუმბარების შავ მიწას ხნავდა,
მოები ღმუოდა: ზრარვალო შესლეგ!
თვაისუფლება აღარ გვინჩავს
ოცდა ერთი წლის თებერვლის შემდეგ...

ისევ ღამეა! დღე არ თენდება,
ცაჟე დაყრილა შევი ღრიუბლები,
სხეულს გიდაგავს (კებლის ანთება,
ძირს კი საფლავებს უსუბრები.

როცა ცას სწვდება წუხილის ზოლი,
თვალ-არიდებით გიცქერს მსოფლიო,
და დგებარ ისე, როგორც ობოლი
ამ საუკუნის უქმაყოთილო.

ახალ სურვილებს ეტრიფის ღიდება,
ავეისტოს ღამე მძიმე ფიქრებში,
ქვითინებს წლები: რამდი იქნება
თბილისი წითელ საპყრობილები!

სტირის ღლები, ზეცა დაბერდა,
შენ, სირცევილისგან. მიწავ, გაფითოდი!
ვით საფლავის წინ შავებში დედა
გიცქერს მთაწმინდა, მამა-დავთი.

მწარე წუხილით დაგითვლის წამებს
ილიას კვნება, აქვის ცრემლი;
არ ვიცი: დღეს ვინ უფრო გაწამებს,
პოეზია თუ წითელი კრემლი!

წარსულ ღლებას ველარ გიმხელენ
ვერც ძვლებით დალრღნილ, გულ-დამწვარ გორებს,
და ბორკოლებათ ფეხზე გახვევენ
მაუზრის პირით გაოლილ სტრიქონებს.

დედა ველარ სცნობს საკუთარ ნაშობს,
შშობელს შობლო რად გაუზრდია?

— „დედას თავს მოესჭრი, მამას დავახჩიობ,
 თუ მიყარნახებს რევოლუცია“ ... —

ნუ თუ პოეტებს სისხლი სწყობიათ?
 სად დაიკარგა განცდები თქმაზე,
 ვაჭრობენ ისე, როგორც ურია,
 რითმით გასული წითელ ბაზარზე.

კავკაზი

არვის აწუხებს ფაქტო მტკვრის პირას,
 დუღუნებს მტკვარი ძარღვება-აშლილი,
 გაფრენილ მერანს ცრემლებში სძინავს,
 სტირის: რომ არ ჰყავი ბარათაშვილი...

გლოვით გიყურებს მძიმე კითხვები,
 გაშლილი მიწა სისხლით აიცო,
 შემოგხვევია ირგვლივ ხიშტები,
 შენ, საქართველოს დიდო თბილისო!

არ დაკარგულა ძეელი დიდება —
 ბაზალეთის ტბა ოქროს აკანით.
 რაც არ მომკდარა, რსევ აღდგება,
 მკერდს შეგიმოსავს ფერად ფარხმალით.

სხივ მარგალიტით მოგიქსოვს შეებას,
 მზიურ იცნების საოც მცველები,
 დასისხლულ მკერდზე გადაგეშლება
 სამ-ფერ ღროშების კიარტყელები.

თუ კი ცრემლებით დლეები სჭინება,
 გულში ინხავ ფერად შაისებს;
 შენ ეს წამება, მე ეს ლრმად მჯერა,
 დიად მომავალს გადაგაპირებს.

ატირდებიან მუსიკის ხმები,
 და პოეზიაც მოგიქსოვს გვირვევინს,
 აფრენილ გრძნობით შენთან ვაქნები,
 მზის ხომალდებით დლეები ივლის.

თუ კი ცხოვრებაშ ეს დლე მაბარა,
 არ ვიცი, ხალისს ვინ გამიყუჩებს!
 გრძნობებს გადავშლი. როგორც ცხვრის ფარა,
 და სალამურით ვავავები ქუჩებს.

ა. ქეიბური

მართლა ანგარიში

15

„ხილთა ჩება“ თეიმურაზისა ტყვილა არ ჰყვარებია ზაქარიას. მან იცოდა ყოველ ხილის თვისებანი; ფერით ატყობდა გემოს და ყნოს-ვით არჩევდა ჯიშებს. მის ხელში დაჭერილი ნაყოფი თითქოს მოწყვე-ტილიც არ ყოფილიყოს, ცოტხალის ელვარებით გამოიყურებოდა.

მოსაწყენი ოქმას ხილთა ამბები, მაგრამ აბა გესინჯათ ზაქარიასთან ამ საგანგებ ბაასი დ ნახავდით — როგორ გითრევდათ ის უძირო ზღაში. და ამ საათობით ლაპარაკით თქვენ არ იღლებოდით — მუდამ ახალს სწევდებოდით და ხილთა პოეზია თქვენთვისაც მაჯადობელი ხდებოდა. აბა ვის გაუკვირდებოდა, რომ ზაქარია „ხილთა ქება“ ზეპირად სკო-დნოდა და ძეველ პოეტთა შორის გარსევინ ჩილოყაშეილი და თეიმუ-რაზ მეორე უფრო აეთვისებინა.

„საქართველოში ხის ფესვები მომწვანო სითხეს უშევებენ, რომელ-თაც მთის ხავის სუნი აქვთ. ჩვენი ხის აყვავება საქორწინო კაბით მო-რთვაა, რომელზედაც მილიონი მარგალიტები აკინძულა. ჩვენი ხილი! ? ეხ! თქვენ რა გახსოვთ, შვილო? რა იცით ჩვენი ხილის ნამდევილი გმირ და არომა... თქვენ მარტო მკახესა სჭამდით და კბილს იკვეთდით... ჩვე-ნი ხილი რომ ეკრისიელ მუღლენს აჩვენონ,...

— რა იქნება, პო?

— რა იქნება, და იტყვის — მართალი ყოფილა ადამი, რომ ასეთ რამესათვის ლეთისთვისაც პირი უტეხია, მაგრამ ტყუილი ყოფილა თქმულება, რომ ღმერთს კაცისთვის სამოთხე წაურთმევიათ. ეკ, შვი-ლოსან, თქვენ რა იცით — რა ქეეყანა საქართველო, რა მიწა-წყალი დავკარგეთ — რა გესმისოთ!...

რასაკვირველია, ზაქარია ამჟრებდა: კაცობრიობას სამოთხე დიდი ხანია წართმეული პქნნდა და მას აბ, რას უშეველიდა, რომ ზაქარიას თავისი კუთხე ედემად ეშვენებოდა.

და კვდებოდა ხელ-ნელა ზაქარია ამ სამოთხის დამჯარველი; ს ეხლა საჩზე წამოგებულ ცხენის თავესა პვავდა, ფრინველებს რო აშა-ნებს ყანის თავებში.



მაგრამ „ხილთა ქებისადმი“ უცნაურმა სიყვარულმა არ იქმნა, არ იქლო.

საფრანგეთის მივიწყებულ ადგილას, უფრო მივიწყებულ ქონის ერთ ოთახში სცხოვრობს ზაქარია და ელის... მე არ ვიტყვი ვის, რადგან „მას“ ზაქარია აქაც არ დაავიწყდება.

— შემოდი“, გვტყვის, როცა მის ჭისკართან ჩაივლი და ქართულ „გამარჯვებით“ მიევსალმები.

— ნახე ჩემი ბოსტანი როვორ იმოხეთქა ქინძმა და კამამ... წიწმარი, ტარებუნა შარშანდღლს სჯობიან“...

მაგრამ მას არ უყვარს, როცა ბალის თავში, პატარი ატმის ხესთან გაეჩერდები და ვათვალიერებს: აპირებს თუ არა ყვავილის გამოლებას.

— რად არ ხარობს ზაქარია ეს ატამი?

— შენი რა საქმეა... ან ვინ ვითხრა რო არ ხარობს! დაიცადე... შევველად აყვავდება — ჯერ პატარაა“

და ის ძალით მომაშორებს იმ ადგილს; სხვა რამეზე მიწყებს ბაასს.

მაგრამ მე უტეხს ვინ და ისევ ატამს ვებრუნდები. ვიცი, რომ ყველაზედ მეტად ზაქარია მას უვლის, სწმენდს, ანოყერებს, სიყვარულით უსინჯავს ტოტებს და ძირებს.

ვიცი, რომ ეს პატია სკამი საგანგებოდ გაიყეთა აქ... მთელი საღამოები ზის ამ ადგილას, მისჩერებია ატინის პატია ხეს და ფიქრობს. ფიქრობს... ხან ხხა-მღლა ლაპარაკობს, მმებებს თუ უყვება. გაირედა საერთოდ ჩენი ზაქარია? არა, მე ეს არა მგონიან, მაგრამ მაინც მინდა გსოხვორ წამიკითხოს „ხილთა ქების“ ის ადგილი ატამს რო შეეხება.

— მაინც არაუგრი გამოვა“, მეუნწება ის, „ვერ დაისწავლით ახლანდელი ახალგაზრდები ძეველ ლექსებს, არ გაქვთ ამის გაგება“.

მაგრამ ის უკვე ნაჩხვლეტა ჩემის ნესტარით და ნიშნის მოვებით, პათეთიურად მოჰყება:

„ატამიან უთხრა: ვიყადრო საქმე ჩემისა თავისა,

უტურტესი ვარ კოველთა, ხე ჩემი ტურტად ყვავისა,

შეყრა უხარის ყოველსა ტურტისა სანახავისა...“

— მერე და როდის აყვავდება ზაქარიავ შენი ატამი?“, ამ სიტყვებში ის დაცინებს ხედავს, ზურგს შემიტცევს, ამაყდ გამშორდება და „მშვიდობითო“ მოახლის.

დამნაშავე არა ვარ, არავითარი განზრახვა, უკანა აზრი არ შეონია; მაგრამ ვიცი — ვერ დავაჯერებ და გულდაწყვეტით ნელა ვშორდები...

უანჯარასთან ვდგევარ და შემოდგომის გამოიხოვებას მივჩერებივარ. რამდენს ასეთს ვაისტუმრებ ამ უცხო მხარეში ნოყიერ შემო-



დფომას, ჩემთვის რო როველი არ ემეტება? როდემდის ველოდონთ ჩემი უცხადები ჩვენ „როველს“?

ატირებული მოხუცი ქალი შემოდის და მეტნება, რომ ზაქარია სიკვდილს ებრძების; ჩემი ნახვა უნდა.

— მერმეთ ექიმი არ მიუყანეთ?

— არ შერება; სულ ერთია, არა გამოვა რაო... მეუბნება დიასახლის, რომელსაც ზაქარია ეხლა შეშლილი აღია ჰვონა.

წლიბმა ასწავლეს, რომ ემიგრანტის ავალმცოფიბა სულ სხვა ჯურისა, რომ საქართველოს მიწა აკვნესებს და შორიდან თავის თავთან ალაპარაკებს ზაქარიას.

— ნუ გეშინიან, ზაქარია! მოიკეთებ, კიდევ წამოდგები... ექიმ მოვიყან, წამილს მოვცემს...

მას ჩემი ნუგეში არ ხდება. მისი გალურჯებული, მშრალი ტუჩები ილმებიან კიდევ და ჩაცენლი თვალები ჩემის სიტყვების სიყალბეს ამხელეს. კეღარ კედედა ამ „ნუგეშის“ განმეორებას...

— რა უნდა მეოქვა, იწყებს იმ ძრმე ქშენით, „დამსაფლავთ აქვთ მაგდალინების“ სსაფლაოზე არაფერი არ მჩხება — რა გაეწყობა... რაც წვრილმანი ნიკობის, გაჰყოდეთ და ამ დიასახლის მიეკით; ბეჭრს მოვლიდა, ვეცოდებოდა. წერილები და დღიური შენ წაიღე და თუ ოდესმე დაბრუნდე ჩემს შვილებს გადაყეცა.

— კარგი ზაქარია... ვაჟაც კაცი ხარ; როგორ არა გრცხვნიან? უნდა გამაგრდე.

— ყველაზე უფრო კი ამას გოხოვ“, ალარ ესმოდა მას ჩემი სიტყვები და იჩქარება „ანდერძი“ დაემთავრებინა; ჩემთან კამათის დრო არ იყო, „ის ატმის ხე საფლავთან დამირგე, ეხლა შემოდგომას, გადარვეა შეძლება, გაიხარებს. მხოლოდ ვინვე მოიხმარე და ლრმად ამოიღე, მიწა დიდზედ ამოაყოლე რო ძირბი არ დაერხეს და ფრთხილად გაღმოიტანეთ; მიტანმდე ტომარაში შემოხვევით, რო მიწა არ დაგიცვიდესთ. პერველ ხანებში ხშირად უნდა წყალი; გაზაფხულზეც და განსაკურებით ზაფხულის საღამოებზე, თუ სიცხემ შეაწუხოს. შემდეგ მოლონიერდება და ასა უშავს, იხარებს...“

— კაც რას ჩააციდი მაგ ატმს? რა დროს ევაა...

— შენთვის ალბად არ მითქვამს, რომ ეს საუკეთესო ჯიშის ატა-მია. გაგივნია ჩვენში „კვერც-გულა“ ატამი? თაფლის სუნი აქვს და სანთლის ფერი, დიდი ვაშლის ოდენა იზრდება ნაყოფი... ჩემი ბალის ატმის „ბურეაა“ ეს. სახლიდან ამდენიმე გამოევზაენათ, ზაგრამ შარტო ეს ამოვიდა და გაიზარდა... მშენიერი ყვავილები იცის; აქ არაა მსვავი რამ. როცა ნაყოფი მოისხას — უჩვენე ყველას, ნახონ რა ხილი იცის საქართველომ...“



საქართველოს
ეროვნული

— ზაქარიავ, რად გაგიტეხია გული; წავალ ეხლავ ექიმთან!... ბიბლიოთისა

— დიაცა... ეგ საჭირო აღარაა. აქ ძლიერი ქარები იცის გაზაფხულისას და მაშინ უნდა გაფრინთილება, რომ ყვავილები არ დააყრევინოს. აღრე გაზაფხულზე საფარი უნდა შემოახვიო, ოორებზე შესაძლოა ყინვამ მოუსწროს... ეგ განსაკუთრებით ნაზი ჯიშა, ჩვენებურ ქლწულსა ჰავას, იკოდე. შეგ წელს არ გინახას, ამ დროს აქ არ იყავ, პირველად გმოილო ყვავილი და ისეთი ლომაზი ფერის რო...

მე ვიცი ის ეხლა სხვა წამალს ალარ მიიღებს; ახლოს მივალ, კულიმი

— „უტურფესი ვარ ყოველთა, ხე ჩემი ტურფად ყვავისა!...
ჩავჩურჩულებ თვალებ-ჩაცენილ, წამიავალ ზაქარიას.

— დასწავლება?”, მეკითხება ის კამაყოფილის ლიმილით. მე თავს ვუქნევ.

— ხომ კარგია?...

— ძეირფასია, უკვდავი!“. ვამშვიდებ ისევ და სჯერა რო „ხილთა ქება“ აქაც არ მოკვდება...

ბან

„ჯიხვება სოქვა!“... აღმომხდა სრულიად მოუფიქრებლად, უნებლი-ედ და ოვითონევ შემრცება.

თოთქს ვიღაუდ ამოიძახა ჩემში ეს. ნაჭედი, მტკიცე ჯავშნით შეკრული სიტყვა.

არ უდგებოდა როგორაც ეს უცნაური პათოსი ჩემს გულწრფე-ლობას, სისადავეს... არც იმ მძიმე წუთებს: 19 თებერვალის საღამოს რო შეეფერებოდა. რუსის ჯარი ჯერ ისევ ტფილისის კარებთანა სდგას, ხანდისხან თავხელურადაც ისერის და მის საბოლოო დამარცხებაზედ ლაპარაკი ნადრევია.

ერთი მუქვა ქართული ლაშქარი, რომელსაც ეს დიდი ზელვა მოსწოლია, რომ ქალაქში შემოხეთქის... მაგრამ მტკიცედ უშევერენ ტყვიას მკერდს ჩვენი ბიქები და მტერს მოთმინება ეკარგება, ილაჯი უშეკდება, მაგრამ აი, დაიღალა ჩვენი ჯარიც; მას მარქაფი სჭირია და ჩალ-ხი კი არა გყვას.

მეც ჩემს მეგობრებთან ერთად ვტოვებ „ზურგში“ მუშაობას და ხვალ გათხნებამდის ჯარში მივდივართ — წინა რიგებში...

აი, მოვიპარე ერთი საათი და ამ საღამოთი კინახულე ის, ვისაც ათასჯერ კუთხარ, რომ მის გარდა ჩემთვის არავინ არ არსებობს, რომ მან მისცა ჩემს ყოფას შინაარსის; შეიძლება არა მარტო ჩემს ყოფას...

მე ვიცი, რომ უფრო უცნაურობასაც უშემტკიცებდი მას; ვარწმუნებდი, რომ ქვეყანაში მისი არსებობით იპოვა გამართლება.

ოო, მაშინ მე ელინთა პოეტი ვიყავ: ვარსკვლავებიან ცის გუმბათს თავზედ ვიხურავდი და ოკეანეზედ თამაბად მივაბიჯებდი.



და ეხლა კი ერთის საათით ვიშვე მისოვის დრო და ეს ცხრილი უკავშირი იყო ერთი დღის დროს „მოპარული“ მქონდა... ჩემს პოეტურ ფიგურებს საფუძველი ჭარხები და, სიტყვები შემოაკლდა. არ ვიკოდი — რა უნდა მეოქვეა ამ დროს! არც ჩნ იცოდა...

— ჯერ კიდევ ძალიან ცივა. შეიძლება თოვლიც მოვიდეს. უნდა თბილად გეცეას. შეგნითი სათბურიც გვირია...

— მაქვს.

— მთავარი კი შალის წინდებია.

— ისიცა მაქვს...

მაგრამ ორივემ ვიკოდით, რომ ეს „მთავარი“ არ იყო, რომ ამის-თვის არ მომებარა ეს ერთი საათი... ვიკოდით, რომ შეიძლებოდა აღარც გვენხა ერთმანეთი, მაგრამ სიტყვა რომ არ იყო... არც ერთი სიტყვა ამ დროს.

ორივენი ვიწოდით მძაფრის წადილით: გვინდოდა ურთი-ერთის გულში მაგრად ჩაკერა, მაგრამ ეს ამ „მოპარულს“ საათში ისეთი დიდი უაზრობა იყო, ისეთი „მწვალებლობა“. რომ ჩვენ ცივ ქვებივით ვადუ-მდით. ისარი კი ჩემს მარტენა მაჯაზე წინ მიიწევდა, საათი ილეოდა და ეს „პაუზა“ შეიძლებოდა მარადისობაში გადასულიყო. ირლეოდა ორ-თავეს გული და არ იყო სათავე მის ნაკადთა საშეებად.

ამ დროს მდუმარე ხეტიალით დოდ, გადმოყუდებულ სალს კლდეს მივადექით, ზედ ავედით და მდუმარებითვე მის ნაპირას შევსდექით. რაღაც დიდი, ლრმა დაგუბებულიყო ჩვენში და ნელა ტორტმანებდა. ეს დიდი გრძნობა საქართველოს ეკუთხოდა. და მე ვსთქვი უნებლიერ:

„ჯიხემა სთქვა“...

შენ ახლოს მომექარ, ხელი ხელში დამიჭირე და დაუმატე: „სალმა კლდისამა“...

და ჩვენ ვაეამ ერთბაშად შეება მოვეცა.

„ჯიხემა სთქვა სალის კლდისამა“... ვაკიმეორეთ ეხლა ორთავებ და უცნაური სიამაყე ვიგრძენით. და შენ მაგრად მაჟოცე ტუჩებში და მერმეთ შუბლზე. ჩვენ ერთმანეთის ხელი ისევ მაგრა გვეჭირა და მტკი-ცე ნაბიჯებით ქვევით დავეშვით.

მე ვიცი, მე მაშინ ვფიქრობდი: რომ ჩემი ქვეყანა მიუდგომელი, მაღალი, და უძლევი „სალი კლდე“ იყო და მე კი ზედ წამომდგარი — მისოვის მებრძოლი

რამოდენიმე ლის შემდეგ ჩვენი თავი გამარჯვებულად მიგვა-ჩნდა და მე მინოდა ჩქარა, ჩქარა მერახე. რომ მეოქვეა — რომ ჩენი იმე-დები გავამართოვ და მტერი სალმა კლდემ უკუ აქცია... რომ ჯიხეი ამაყად სდგას. მაგრამ მოხდა რაღაც უცნაურობა; თითქოს ვილაუამ მოვარეულია: 24 თებერვალს ლამით სულ ულოდნელად თვალურებ-



ლიანშა ტფილისი დაუტოვე და მას შემდევ გულგანგმირული შენი ჯტჩბულითია... ვიც კლდესთან ერთად მოსხლტა და დაქანდ... მეტეთ შენ აღარ მენხე... — ვიმ იყის, გნახავ კი?.. მაგრამ ლოყები მეწოდა, აღმური ამ-დიოდა, როცა იმ სალამისს ჩვენი კლდეზე ამაყი დგომა გამასენდებოდა და ჩემი უფრო მეტად ამაყი თქმა, კვენა, რომელიც შენ მაშინ და-იჯერე...

გავიდა ათი წელი და სწორედ ებლა მომდის შენი ბარათი; ლია ბა-რათი, რომელზეც მმა-დავითია ვადალბული და ზედ შენის ხელით აწერია: „ჯიხვა სთქვა სალის კლდისამა“... სხვა არაფერი...

მაშ შენ აღარ დამცირ? შენ გესმის ჩემი თქმა... კლდე კადევ ისე სდგას უწყევად, კადევ გვიხმობს ქველებურად? ის არ მომსწყდარა... მიგიხვდი; გმადლობ, ჩემო ძვირფასო, ათის წლის შემდევ მოძღვნილ სალამისათვის.

მე კელოდი შენს დაძახებას...

ჩვენ ავალთ ერთად მამა დავითხედ...

გან

ჭუდი, მარტო ქუდი გამოატანა საპრალო დედამ, მრავალ წლობით უნახავმა დედამ ამ კაცსა.

ძნელი დასჯერებელია ეს უცნაურობა და ამიტომ უნდა ვაამბო-ბინო ახლად ჩამოსულ კაცს.

ნუ თუ სხვა ვერაფერი იშვინა ჩემთვის გამოსაგზავნად?

სამშობლოს, ახლობლებს და ტოლებს მოწყვეტილი, აქ — უც-ხოეთში გავვითლდი და ვერხვის ფოთოლივით ვცახცახებ; ერთი ალე-რის, ერთი სიტყვა გამამნევებელი ებლა ჩემთვის ისაა, რაც ნამი სიც-ხით დახეტქილ მიწისათვის.

და მან, ყველაზედ ახლობელმა მათში ვინც საქ—ლოში დაუტოვე ერთი სიტყვაც კი ვერ გამოიმეტა ჩენენოვის? მითომ რად? დავაშვე? რად გამიძულა, რად გასწურა დედა?

ამ ამოცანას მე ალბად ვერას დროს ვერ ამოვხსნი.

შიკირას ხელო პაპა ჩემის ქუდი, ტველთა-ქველი ქუდი, გრძელ ბე-წვებიანი ელალი ქუდი. მე მახსოვს, რომ ის წინად დარბაზში კედლის სპარსულ ხალიჩაზე ეყიდა ქველ კაჟის თოვთან და უფრო ძველ მოქე-დოლ ხმალთან.

მე მახსოვს ბებიას ნაამბობი ეპიზოდები დიდის ბატონისა... რო-ცა ბებია რძლად მოყვანეს, ღირი ბატონი ლრმა მოხუცი იყო, მაგრამ მაღალი და სარიკით სწორი — არწივის გამოხდევა ჭერნდა და გორიში თითო წყდა წარბები ეყარა. მას უყვარდა ერკელეს ამბები, მისი სარუ-



ლების გმირობა და ლეკტა თავზარდუება-განივევა... ეს ხმალიც შემცირდება

სარდალმა აჩუქი, ლეკტან მამაცურად ბრძოლის შემდეგ.

მაგრამ ბებია მოკვდა და დედას პაპა აღარ ახსოვდა; ხრმალი ლეკტან იმის ამბებს ჩვენ აღარ გვიყვებოდა... და გრძელ ბეწვებიანი ქუდიც სულ დახველდა, ჩამოიფხატნა....

უცნაურია დედ ჩემი, უცნაური....

როგორ იყო? მოჰყე ხელახლა „ კონკრეტული დავალით რო გმირულად გადავიდა და სხვითა შორის ჩემი პარადი, ინტიმური „დავალებაც“ კი შემისრულა: მოხუცი დედაც ინახულა და ჩემი ამბები აუწყა. გულდასმით უსმერნდა ჩემს ამბებს დედა, ხანდისხან თავს ჩაქვევდა და მძიმედ ამითხერებდა ოურმე.

— უნდა ატანოთ შეილო, უნდა გასძლოთ... ეს იყო სულ რაც მან გაიმეტა თურმე, ხოლო წამოსვლისას გულში მაგრა ჩაიკრა, საბის ყოველი ნაკვთი დაუკოცნა. ცრემლებით დაუსველა და აი ეს ჭუდი გადასცა ჩემთან ჩამოსტანად...

— სხვა ასაფერი არ უთქვამს? სრულიად არაფერი?

— არა მეტენ კაცო. ვეღარ ააჩევ? ჯავრობს ჩემი მევობარი. „მეც ხო დიდხან ვეღარ გაეჩერდებოდი იქა; იმ ღამითვე უნდა გამოუდომდო გზას...“

საოცარია, საოცარი დედა ჩემი და უფრო კი ეს ძევლი, დიდი, გრძელ ბეწვებიანი ჭუდი პაპა ჩემისა ამ ეიჯელის კოშეის გვერდით...

ვიცი, მანსონს: დედა ჩემს ძალას უყვარდა ქარაგმა, გადატრული თქმა.

მე მას საქართველოს პირველ „სიმბოლისტს“ ვუწოდებდი, თუმცა მისაგან თქმული ლექსი არა მსმენდა.

ყველა ეს ვიცი, მაგრამ ამ სიმბოლოს აზრს მაინც ვერა ვხვდება: ნუ-თუ სხვა ვერაფერი იშვია მან ჩემთვის გამოსაგზავნად? რად მინდა ეს ჭუდი?

დიდ ხანს უაზროდ ვათვალიერებ ამ ბოხოს, მის გრძელ, დახვეულ ბეწვებში თითებს ვავლებ და ვკვარობ — როგორ ვასძლო მან მთელი საუკუნე, და რა უნდოდა ეხლა პარიზში? დაეიხრები და დაუყოსავ — საქართველოს მიწის სუნი სდის ამ ბეწვებს, ქართლის ძეგლი ძირები ჩამალულან მის ტყავში; ამ სურნელებაში ეპოქაა და ის ჩემთან მოსულა აქ.

მოწიწებით ვიღებ მას და თავზედ ვიხურავ; გრძელი ბეწვები, ორ-ბის ფრთხებად ჩამომეფარენ თვალებზე: იმალება აწმყო, უცხ მიწა, სხვისი კარი... მძიმედ დამაწვა თავზედ მთელი საუკუნე; საქართველოს უკანასკნელი დიდება, მისი თქმა...

ჩემს თავზედ წარსულმა ამბებმა ერთბაშად დაოვეა, ჩემის ტვინის



და ნერვების ცენტროში ნაკადებად გათმოვიდნენ ფიქრები კრწანისის უსარეცხვდები ველის გმირისა... მესმის ერგელეს საფლავან მდგომის კანცლერ ლეფარედი მომზადა ნიძის პატეოლური გოდება: „რად შემოხსენ საღლესაწაულო ხრმალმ, რომლისასაც საღლესასწაულო გამარჯვება როცხვით ხსოვნას ასეველდა? რად შემოსწყერ სახელოვანს დროშას, რომლისაც ჰაერში მომცურავი კალთები ქვეყნას აჩრდილებდა და სამესისხლოდ განჭიმულის ზორტებით ცის კალთებს ეჩსუბებოდა?“

ნელ-ნელა ვადმოლის და მეტაველებს ჩემშიაც კანცლერის დიპი გოდება: ვის დროშას ვემსახურო? ვის შევიყვარო? ვისთვის მოვკედე? ვისთვის ვოცოცხლო, შენს უკან სიცოცხლე საზრახავდ გამწარებულმან

ჩემი ძეირფასი პაპა ბების რომ კიდევ უტეხად იარაღში ჩამჯდარი ენახა, ცოცხლდება ჩემში. მე ვიცი, რომ ერევლეს სარდლო მას კარგად სცნობდა და მისი ასინდობა მოსწონდა. ვიცი, რომ მან ლირსეულად განვლონ თვისი გზა და ლირსეულად ატარა ვაჟვაცის სახელი: „ქაცი ვარ და ქუდი მხერავს...“ ითქმოდა მაზე.

ვიცი, რომ ეს ქუდი მას ეხურა შეურცხვენლად და მისი ელალ ბოსხიანი, გრძელ ბეწვებინი „ფაფახი“ ათასში გამოიჩინოდა.

მიგინვდი დედა ჩემი შენს ახალ ქარაგმს; შენი თქმა და უსწიო ეხლა კველაზე ახლობელი და დარბაისლურ-ქართულია.

მე ვატარებ პაპა ჩემის ქუდს ისევ უძრავად. მედიდურად, როგორც მას უტარებისა. აი, თავზე მაწევს ძველ ამბებად, ძველ ვალად პაპის ქუდი და დავამტკიცებ, რომ ის უნდა მეხსროს.

ვიგრძენ მისი ამბები და მიგხვდი შენს სიტყვებსაც:

— უნდა ვავუძლოთ, უნდა ავატანთა!...

და გთხოვ, დედავ, კარგად შემინახონ პაპა ჩემის ხმალიც მე მას მოვაკითხავ... გმადლობ, დედავ, ამ ქუდის გამოგზავნისათვის.

ვამიგონე, ამა შემომხედე... მე ის მხურავს... მე მას ვატარებ!..

სან-ფრანცისკო, 1931

გიორგი ჭურული

„ნატვრის თვალი“

ნაწყვეტი გვ.

(ნახულ—გამოცემიდან)

(გაგრძელება)

იყო ერთი სხვა მიზეზი, რისთვისაც სტეფანე ჭურუმაშანდაშილი შეღავათინად მოკიდა ელიზბარის ოჯახს, როგორც ფული ასესხა და გრიალდ მხოლოდ ერთი ვენახი დაიტოვა. სტეფანე ღვთის-მოსავი კაციც გახლდათ, ძლიერ სწამდა ობოლაანთ-კარის წმ. გიორგის ნაწილების ძალა; ყოველ წელიწადს ღამე უნდა გაეთია ეკლესის კარზედ წინად, მანამ „ფაერონობა“ შემოვიდოდა, ჩასვამდა თავის ცოლშვილს ურემ-ში, თვითონ შესკუპდებოდა „კნიზის“ ნაჩუქარ ცხენწე და გამოსწეულა და ობოლაანთ-კარისაკენ. იქ პირველად ელიზბარიანთსა მივიღოდა ხოლმე და თათქმს თავიც მოქონდა, რომ ამ ცნობილ ოჯახთან ისე იყო დაკარგი და არასუსტ სწორი და ნათესავი. თანაც ელიზბარის მა-მულში არასუსტ იყო ისეთი სახარბელო რომ, საჭიროდ დაენახოს თავის ხრიკებისთვის მიემართოს და ვალში რამე მაშელი ჩამოტროვას. არც იმისი დამალვა შეიძლება, რომ სტეფანეს, ცუტა არ იყოს, წმ.გი-ორგის ასახვისაც ეშინოდა: ვაი თუ დამწეულონ და შემაჩვენონ, ამი-ტომ ობოლაანთ-კარელების წყენას დოდათ ერთდებოდა. ყველა ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სესხის პირობები არ გადასცილებიან მისგანვე წი-ნად შემოღებულ შელავათიან საღასკონტრო ნორმებს.

ეს გარემოება ძლიერ უადვილებდა ელიზბარის ოჯახს „სესხის“ მოშორებას და რა კი „სომხის“ ვალი მოიშორეს, სხვა გასაჭირი აღარა აწუხებდათ-რა. მართალია, ნენესაგან გაყიდული ორი ნაფუზარი ვეღარ დაიბრუნეს, რადგან ახალი პატრიონი რჩივე ხელით ებლაუჭებოდა ამ სოფლის თვალ-მიწებს, სამაგიროდ ორი სხვა კარგი მიწა შეისყიდეს ერთ სახლიკაც აზნაურიშვილისაგან, რომელიც ხელმოკლების გამო



ველარ გულოვა საკუთარ სოფლის მეურნეობას, აიყარა სოფლიდან ტერიტორიაზე მარტივი გადასხვლდა, სადაც „პარტნობა“ დაწყო. ეს ხელობა არა მარტივი გადასხვლის მისამართის მისამართის გადასხვლის ნათესავს, ერთ ტერიტორიაზე მარტივი გადასხვლის მისამართის გადასხვლის ნათესავს, ერთ ტერიტორიაზე მარტივი გადასხვლის მისამართის გადასხვლის ნათესავს: — ლეგრით, ჯაული, მომეცი შენი შეილი, ჩემი ხელობა ვაწავლო, თორებ ჩემ ხედავ ისე დავთარისტო ეს ხელმოკლე აზნაურები, რომ ცარიელი მამული ველარ გვაცხოვებს.

ტერიტორიაზე რამე ხელობის შესასწავლად ჩასვლა თანდათან ჩვეულებად გადაიქცა წვრილ მამულიან ჯავახებში. ბევრი მათგანი ვერ იმეტებდა მაინც მამულის გაყიდვას. ამისთანები სოფლის გაცხარებული მუშაობის დროს კვლავ ამოდიოდენ სოფელში და დანაშოენ დროს კი თავის ხელობით ირჩენდენ თავს წალაჭა აღილებში. აი, ამისთანა ვადასხვლებულ აზნაურისაგან იყიდეს ელიზბარიანთა ორი ნაჭერი მაწა. გამყიდველი თვითონ ეხვეწებოდა: — თქვენ იყიდეთ, მინდა რომ მამული ისევ გვარში დარჩეხს.

ელიზბარიანთ ჯავახი დოფლათის დაგრივების მხრივ სულ მეტად მეტს წარმატებაში მიღიოდა. ათმა წელიწადმა ისე გაირბინა თოთქოს ერთი დღევა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რომ საყურადღებო და სამწერარი ამბავი მოხდა იმათვის იჯახში. დღე-მამის ხვეწით ალექსანდრებ, რომელიც სულ მუდამ საქმეში იყო გართული, გაბედა და ცოლი შეირთო. მაგრამ ბედმა უღალატა და ას, გაუვლია ათ წელიწადს, რომ დაქრივდა. ამ უბედურების შემდეგ ალექსანდრეს აღარ უფიქრია და-ცოლიანება. მერე იყო და ერთ ციც ზამრას ელიზბარის მეულე ნენე, უკვე საკმარი მოხუცებული, გაყიდა, ფილტვების ანთება დაემართა და მცირე ავადმყოფობის შემდეგ ისიც გარდაიცვალა. არ ვაუვლია დიდ ხასი და დიდ უბედურება კიდევ ეწვევ ელიზბარის იჯახს.

ერთ გაზაფხულზედ ელიზბარის ცოლეურს მამულში, ტერიტორიან, როგორც იყო, ამვიდიდ მთავრობის კომისია, რომელსაც მოსახლეობა მრავალი წლის განმავლობაში ელოდა. ამ კომისიას მინდობილი ჰქონდა მემატულეთა შორის სადაო საზღვრების გარჩევა, ამისათვის აღგილობრივ საბუთების გამორკვევა და მოწმების დაკითხვა. ქართულ დოკუმენტებს იმ დროს მათნებადმაც დიდ ფასი აღარ ჰქონდა. მთელი დასტა „მეფეების“ საბუთები რომ წარელგინათ, სადაც თქვენი სიმართლე ნათლად სიანდა, არც წაკითხვის ხალის ჰქინდა ვინძეს და არც თუ რამე ფასი აძლევდნენ მანარი საბუთებს. მთავარი საქმე მოწმეთა დაკითხვა იყო და საქმესაც ის მოიგებდა, ვინც მოწმების სთანადოთ დარაზმავდა. დიდ ძალი ფული, ენერგია და შეფოთი უნდებოდა ამნაი-



რად საქმის მოვებას და გამარჯვებაც სწორედ მას რჩებოდა, ვინც ტრუქული
კებში იყო დახელოვნებული.

ელიზბარის ერთი ფრიად მოუსვენცრი მეზობელი ტატო დიდი ჩა-
ნია ელოდა ამ კომისიის ჩამოსელას; მას გულში ჩადებული ჰქონდა ელ-
იზბარის ტყე ჩაგდო როგორმე ხელში; ისე ამ ტყეს არ საჭიროებდა
ტატო, როგორც შურითა სკდებოდა, რომ მისი მამულის ვერდში ერ-
თად ერთი ტყე ის იყო და ისიც ვიღაც ოხერ აზნაურს ეკუთხნდა, მა-
შინ როდესაც მას, დიდი გვარის შეღლს. ტყე აღარ ებარა. ამ უმეტობ-
ლო და კრიუკნობით ყველასაგან ცნობილ აღამიანს ისიც ვერ მოენე-
ლებინა, რომ ოვთონ უშეილოდ დაბერდა და ელიზბარს კი ორი ისეთი
პარგი ვაუკაცა შვილი მოისწრო. ამ აღამიანთან ჰქონდა ათი წლის
დავ ელიზბარს. ქალაქიდან ამოსულ კომისიას, სხვათა შორის, ეს და-
ვაც უნდა გაერჩია.

ელიზბარი უკვე ძალზედ მოხუცებული იყო; ცხენზედ ველარ ჯდე-
ბოდა და ურემში ჩაწოლა და კომისიაში ისე მისვლა კი ეთაკილებოდა.
„მტერი რად გვაბარი“ — თ. თავის მაგიირად კომისიაში თავის შვილს
ალექსანდრეს რომ გზავნიდა, ასე დაარიგა: „ფრთხილად იყავი, შვილო,
იმ შეჩენებულმა არაფერმი გვაბას, არ აჩქარდე და გონიერად მოი-
ჰეცი; ხომ იცი, როგორ ვინახავდი იმ პატარა ტყესა, თოთ ხე შვილი-
ვით გამიზრდია. წადი, შეტლო, და ყოჩალად იყვენ“.

წავიდა ალექსანდრე კომისიაში და მის გაუბეღურებულ მამას ის
ცოცხალი აღარ უნახას. ტატოს გეგმა ასეთი იყო: თუ ხერხით ვერას
გავიღოდა, შეტყვით და დაშინებით დაეტყუებინა რამე იმ ტყიდან. სა-
ჭირო მოწმენი მას წინაღვევ ჰყავდა დარიზმულ-მომზადებული; ამისა-
თვის მას კი ფულის დახარჯვაც დასჭირდა. მოწმებად იქვე ახლო-მა-
ხლო მობინადრე ასები წამაყენა ესტატებ. მათ ფრცი და პატიოსნი
სტყვით არწმუნებდა — ტყე თქვენთვის მინდა, მე შვილი არა მყავს
და ძირი; მნიდა, თუ ერთგულებას დამიტრიკიცებთ, საჩუქრად მოგცერ
და თქვენ უით და თქვენმა გონიერებამ, როგორც ამაში ხელს შემაწ-
ყობთ. მართლაც და ტყე ისებისათვის ყველაფერია: — ჩვენა მარჩე-
ნალიც ეგ არის, ჩვენი თავშესაფარაც; ჩვენი საბანიც და ლოკანიცო!
შეგვერა ტყე უნდა დაეწვეთ, მოგვშევა ტყე უნდა ვჩეხოთ და ვყიდო-
თ; ასე გაიძახოდენ ჩრდილო კავკასიიდან საგანგებოდ საქართველოს
ტყეებისათვის გადმოსული ისები. თავის ქვეყნაში მიწის უქონლობით
შევიწროებული ხარბად ეტანებოდენ საქართველოს ტყეებს. მოკლე
ხნის განმავლობაში, რაც კი გასაჩერად გმირადგებოდათ, სწრაფად ას-
ჩეხდენ; თუ ახოები სახნაც მიწებად გაძირადგებოდათ, დაბინავდებოდნენ,
როგორც მოიჯარადნენი, და თუ ეს, არ მოხერხდებოდა, ისე მთაში
ბრუნდებოდნენ. ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილ ისებს, მეტ წილად, ორი



ბინა ჰერონდათ: ერთი ჩრდილო ოსეთში და მეორე საქართველოში. ხარუცელები ბოლოოდ იქ მეციდრდებოდნ, სადაც ეს ეკონომიურად უფრო ხელსაყიდვები გრელი იქმნებოდა. ამ ამისთანა, ფეხმოსაყიდვებ მიწების მაძიებელი ხალხი დასახმა ტატომ და წარალგინა მოწმეებად ელიზბარის უტყუარი უფლებების გასაბათილებლად..

დაიწყო კომისიამ იმ ტყის საქმის გარჩევა. დაიბარეს მოწმე ოსეპი. დამტკრეული ქართული ენით მათ ერთხმად უჩენებეს: აგრ ორმოც წელიწადი ამ აღვილებში კუცორიობთ და ფუს ქვეშ ვამტკიცებთ, რომ ეს ტყე ტატოსი არის და არა ელიზბარისი. რასაკირველია, მოწმეებმა ტყუილი უჩენებეს: სულ არ იქმნებოდა ექვის-შევიდი წელიწადი, რაც ისინი ჩრდილოეთიდან გაღმოსულიყვნ; ურუ ფიცის მიცემისა არ ეშინოდათ, რადგან ქისტიანულ წესებს თავის საკუთარ წესებად არ თვლიდნ, თუმცა კველა ფორმალურად მონათლული იყო ბოქაულ-დიამბეგების განკარგულებით. ამასთანავე ხალხის თვალში ელიზბარისა კი არ იყო საღავო ტყე, არამედ მისი სიმარისა. ასე რომ ოსები ფიცისაც თითქოს მხოლოდ სანახებრიდა სტებლი! ალექსანდრე თავშივე მაგარად დაუხვდა ესტატეს შემოტევას. გადუ შალა კომისიას კველა ქართული ქალალები, რუსებისაგანვე დამტკიცებული და სათანადოთ შემოწმებული. მოწინააღმდეგებ ეს ვერ მოითმინა და ასტეხა ერთი აურ-ზაური. კომისიამ რაკი დარნასა, რომ მათ შეჯიბრისას ბოლო არ უჩინდა, არივე მხარეს მისცა ერთი საათი, რომ მონოგებულიყვნ და თვითონ კი წავრდა მამასახლისის ბინაზე, სადაც გემჩილელი სუფრა ეგულებოდა. ისარგებლა ამით ესტატემ და უფრო ცხ.რე შეტევაზედ გადავიდა. არც ალექსანდრე გამოეტოდა. ბოლოს, ბრაზმორულმა ტატომ შეუტია ოსებს — რა პირი დაგიღიათ, თქვე ძაღლის წიწილებო, თქვენა, კვირა ხედავთ, რა სიმრიდე გევარებათ და რალას გაჩუმებულხარ! ჩაჩქმეთ ევ ლაწირავი, საიდონაც მოთრეული კუდა აზნაური, დაკარით მაგ ძალის გავარნიოსა მაგასა, არც მაშინ გაწუმდება? — ოსებიც თითქოს ამ მისისნებას ელოდენ, იწიგ ალექსანდრეზე კომბლებით. ალექსანდრემ იშიშელია მამისული ხმალი და შეპკივლა ოსებს: „გაფრითილებით, არავინ მომახლოვდეს, თორებ ძვირად დაფუსვამ, თუ ვინ-შემ გამედა. და დაბარტყა“ — ა. ამ სიტყვებით თვითონ თანდათან იწყო უკან დახევა; ხმალით მიწაზედ შემოფარგლა წრე და ალუთქვა. — ვინც ამ წრეს გადოვა, შავ დღეს დავაყენებო, ოსებმა კომბლები დაუშვეს და თვითონაც იწყებ უკან დაწევა. კაცს ეგონებოდა, ბოროტ ტატოს ჩაეშლა სამზადისიო, მაგრამ უცაპა, ალექსანდრეს შეუმნევლად, უკანიდან ქურდულად მიეპარა მას ერთი ისი, დასცხო თავში უშველებელი ქვის ლოდი და გაუჩეხა თავი; დასისხლიანებული ალექსანდრე იქვე წაიქცა; ამის დანახვაზედ ერთბაშად მისცვეიდენ მას დანარჩენი ოსები



და დაუწყეს გულწასულ ადამიანს კოშმლებით ცემა, მოურიდებლად; სადაც კი მოხვედობდათ, იქ ურტყავდენ უწყალედ და შეუბრალებლად მომართებულ კოტელზედ სოფლიდან ხალხი; ცოტხალ-მკვდარი, ალექსან-დრე საკაცუნედ დააწეინებს, მაგრამ საბრალომ დიდ ხანს ვეღარ იცოცხლა. მამამ ობოლაანთ-კარში მიიყვანდენ, გზაში გარდაცვლილიყო. მა-მამ რომ ეს მკვდარი შეილი დაინახა, ერთი საშინლად ირტყა თვეში ხე-ლი და საზარელის ხმით შეძლოვა: — „ვაიმე შეილო, ეს რა ნახტომი შემეშალა!“—ო. ამის შემდეგ საცდავ ელიზბარს ენა ჩაუვარდა; მეორე დღეს იმანც განუტევა სული. მამა-შეილი ერთად დაასაფლავეს, წმ. გა-ორგის ეკლესიაში.

კველა ამ უბედურ ამბების დროს ელიზბარის უნცროსი ვაჟი საო-დიონი თავის პოლკთან ერთად სოხუმის სიახლოეს იდგა. იმ ხანებში კველა ოსმალეთთან ომის მოლოდინში იყო და სარდიონის პოლკს და-ვალება ჭრინდა, თუ საჭირო გახდებოდა ოსმალეთისთვის ხელი შეეშა-ლა, რომ შავი ზღვის ნაპირზედ ჯარი არ გადმოესხა; მაგრამ იმ ხანად ომი გაგასძეს და სარდიონს ლონისქიერა მიეცა დაობლებულ სახლისა-თვისაც მოეხედა. განსაკუთრებულ იჯახური პირობების ვამო მას 11 თვის შევებულება მისცეს.

სამხედრო სამსახურში გაჩვეული სარდიონი პირველ მოსვლაზედ ხამათა გრძნობდა სოფელში თავსა; მიუხედავად ამისა, მანც იმდენი მოახერხა, რომ 11 თვის განმავლობაში მამულის საქმები ძველ კალა-პოტში ჩააგდო და წაქცეული იჯანი ფეხზედ წამოაყენა. სარდიონი ჯერჯერობით პოლკში სამსახურს მაინც თავს ვერ ანებებდა. ბევრი მო-საზრება აიძულებდა მას ასე მოქცეულიყო. დაწყებული ყირიმის ომის დასრულებიდან რეს-ოსმალოს ახალ ომადე, რომელიც 1877-78 წწ. მოხდა, არა ერთხელ დაუპირებია სამხედრო სამსახურის მიტროვება, მა-გრამ ვერც თავში გაბედა და ვერც შეძლევ, როცა თავისი ახლო ნათე-სავების ჩრევით დაკოლიანდა, რაიც ცოტა დაგვიანებით მოუბდა. და-ცოლინების შეძლევ წელიწერი ისე პრ გაივლიდა, რომ სარდიონი ერ-თი ან არი თვით არ მისულიყო ობოლაანთ-კარში, სადაც მთელი თვე-ობით რჩებოდა.

იმ ხანებში ლრმად შეიცვალა საქართველოს სასოფლო მეურნე-ობის პირობები და ამნ ხომ უფრო იძულო სარდიონი არ გაეშვა ხელი-დან ჯამაგირიანი სამსახური, სადაც იგი თუმცა ნელის ნამიჯით, მაგრამ მაინც თან და თან წინ მიღირდა წარმატებაში.. იმისი ანგარიშით სამ-სახური მას მეტს გარანტის აძლევდა მამულის ერთიანობაც დაეცვა



და მამის და ძმისგან კარგად ნაკეთი საქმეც არ ჩაემალა. საქართველოს მუნიციპალიტეტის მამულებს უკვე მაშინ დაეტყო შემოსავალის დაკლება. იმ დროში ჭარბობის მიზანით მამულების უმთავრესი შემოსავალი იყო პური, ქერი და ცოტა ლენინ. ქართლის პურს ჯერ კიდევ პერნიდა გასავალი თვით კავკასიის ფარგლებში. არ იყო ცოტა თუ ბევრად ღონიერი მემამულე, რომელ-საც წინადევ არ ჰქონდა საქმე დაკერილო რომელიმე მოიჯარადეს-თან, რომელნიც დიდ ძალ ხორბალს და ქერს ყიდულობდენ ქართლის სოფელებში რუსის ჯარის და ხმირიდა კუკასიის ამ თუ იმ რაობის მო-სახლების დასაკამაყნოებლად. იმ ხანაში, როდესაც მემამულე ყმე-ბის შექმნი შრომით სარგებლობდა, ხენა-თესეა საქმაოდ კარგი შემო-სავლიანი წყარო იყო. მგრამ დადგა ახალი დრო, ბატონიშვილა გადა-ვარდა, მუშის ხელფას თანდათან მაღლა, იწევდა და ამ პირობებში პუ-რის თუ ქერის თვითონიერებულება იმ ზომაზე იზრდებოდა, რომ ვეღარ უძლებდა უტრი შეღვათით პირობებში რუსეთის თვალუწვდენელ მინდვრებზედ მოყავანილ ჭირნახულის ფასებს. ფასების ამ კონკურენ-ციამ უფრო იჩინა თვითი, როდესაც შავ ზღვაზედ ნაკოსნობა დაიწყო, კავკასიის გზაზედ მისკვარა-მოსკვა გადავიდა და ბოლოს ფოთამდე რკინიგზაც გაიდა. ქართლის მემამულეებს ცხარე კრიზისი დაუდგა. ბაზრისთვის მისწოდებლად პურულის მეტი არა გააჩნდათ რა. მეხი-ლეობა ჯერ ოდნან იდგამდება ფეხს და თვაშშ მას უფრო ვიწრო ხასიათი ჰქონდა; საექსპორტო საქონლის უნარი მან მხოლოდ შემდეგ მიიღია. ქართლის ლენინ მხოლოდ ახლომახლო ქალაქებში იყიდებოდა და იქ კი ცხოვება ჯერ კიდევ პრიმიტიული, ნახევრად სოფლური იყო. სა-ზოგადოთ, ადგილობრივი პირობები ისეთი იყო, რომ მემამულეებს არ შეეძლოთ მხოლოდ საკუთარი ძალებით და უნარით ამ კრიზისის თა-ვიდან მოშორება.

სხვა ქვეყნებში, სადაც ჩრდილო-ამერიკის და შემდევ რუსეთის ია-ფრა პერს ასაფიერო ტრანსპორტის განხილვით, ასევევე კრიზისე-ბი მაყენა, მთავრობათა და ადგილობრივი ძალების შეერთებულის ღონისძიებებით ძლევულ იქმნა. მაგ არ მოტა საქართველოში. მას არ ყავდა მისთვის მზრუნველი მთავრობა და ის, რაც იყო მამინაცვლის რო-ლში გამოდიოდა, რომლის თვალში საქართველო რუსეთის კოლონიად უნდა გადაქცეულიყო და რუსეთის საწეველ ფურად დარჩენილიყო სა-მუდამოდ! რაც შეეხება ადგილობრივი ძალებს, ჯერ ერთი რომ იმავე რუსეთის მთავრობის პოლიტიკის მეობებით, მათ აკრძალული ჰქონდათ საჭირო დაჯავუფების მოხდენა, თუნდაც ერობის სახით, და შერე — არსად არ მომხდარა, რომ სახელმწიფოს დაუხმარებლად იმისთვისა კრი-ზისების გადატანა შესძლებოდათ, რომელნიც ეკონომიკური პირობების ღრმა ცვლილებებით იყო გამოწვეული.



რა კი საქართველოში ეს ცერ მოხერხდა, თვით საუცხოვოდ შოთა რეზიდენცია
ლილი მამულებიც კი ოლარ იძლეოდა საცმაშ შემოსავალს. აქედან დღემდე რეზიდენცია
წყო მამულების განშირებული დაგირავება, გაყიდვა და მით ბევრი
ცნობილი მამულის ერთიანობის მოშლა.

თუ რომელიმე ცოტად თუ ბევრად მომსხო მემამულე ჯერ კიდევ
არ იშლიდა ცელებურ „უდარდელ“ ცხოვრებას, ამას იგი აღწევდა არა
მამულის შემოსავალით, რაც ალარ ყოფნიდა, არამედ ან სახელმწიფო
სამსახურით ან მამულში რამე პრიმიტიული „ხელობის“ შემოლებით;
ასეთი იყო, მაგალითად, ურმების ქირაჩედ გზავნა. ასეთმა მდგრმარევა-
ბამ მიიყვანა სარდიონიც იმ დასკვნამდე, რომ დროებით სამსახურში
დარჩენილიყო და ამით უზრუნველ ეყო ოჯახის ჩენა და მისი მომა-
ვალი.

სარდიონის მეულლის სოფიოს ჩასითი და საზოგადოთ იმისი ჭყა-
დამჯდარობა და მოფიქრებული საქმიანობა, რაც ასე ამშვენებს ბევრ
ქართველ მანდილოსანს, საუცხოვოდ ლურჯობდა ხელს სარდიონის ასეთ
გადაწყვეტას; სოფიო იყო უნცრისი ქალი, ელიზბარაან ოჯახთან
ცელადვე მეგობრული გრინბობით და, ავტორებულ ერთ აზნაურიშვი-
ლისა, სულ ბავში იყო, როდესაც აბლად დარჩენილიყო და მას აქეთ
თავის უფროს დის სახლში იზრდებოდა. 18 წლისა რომ გახდა, ულ-
მაჩესი ქალი დადგა; ხშირად ამბობდენ, თამარ-დედოფლის თვალ-წარ-
ბი და ტუჩ-ქბილი აქვს ჩენ სოფელის: თვით სოფელთ კი არც თა-
ვის სილამაზეს ამჩნევდა და არც თავი მოჰქონდა, რომ თამარ დედო-
ფლალს ამსაგაესტენდეს. ბავშობილანვე ჰყავანი, მარდი, ერთო ცქრილი და
მხიარული რამ იყო; ამასთანავე მწიგნობარი, „ვეფხის ტყაოსანი“ თით-
ქმის ზეპირად იცოდა, ხუცურსაც კითხულობდა და მშვენიერი ხმის პა-
ტრიონი, საუცხოვოდ მღეროდა ყველა იველა იველ ქართულ სიმღერებს, და-
ირის დაკრაში ბათალა არ ჰყავდა და ლეკურს ხომ ისე უვლიდა, კაცს
ეგონებოდა დედამიწას არ ეკარებაო. ამასთანავე უშიშრად და მოხდე-
ნილად ცხენზედ მჯდომი. სოფიოს მზითვეში მოყვა თუმცა პატარა, მა-
გრამ ერთი კარი სააზნაურიშვილო მამული და თანაც ორი ნაყმევა:
„გამდელ“ თვალმასა და მარინიკა-გოგო, რომელიც სოფიოს ტოლი
იყო. თვალმასა ისე უყურებდა სოფიოს, როგორც შეიძლს. მხიარული
და კვიმატი მარინიკა სოფიოსთან თანშეზრდილი ამხანაგი გახდა. მარ-
თალია ..მ დროს ბატონყმობა ჯერ არ იყო გადადებული, მაგრამ ამ
სამი ქალის დამტკიდობულებაში არაფრი ბატონყმერ არა ყოფილა
რა. სოფიოს ისე უყვარდებოდ თვალმასა და მარინიკა, ისე შესჩერება მათ,
რომ იქნება გათხოვებაზედ და უცხო ოჯახში შესვლაზედ უკიც კი
ეთქვა, თვალმასა და მარინე თონ რომ არ გაყოლოდენ. მარინიკა სულ

პატარა გოგო ყოფილა, როდესაც სოფიოს მამამ იყიდა იგი ვიღაც შეისავარებოდა კარ ურისაგან: ერთ ძეველ ქართულ ოთვში და ბებერ ცხენში გასცვალა თურქმე. საქვირველი ის იყო, რომ მარინეს, მიუხედავად სოფიოს სიყვარულისა. არასოდეს არ შორებორდა დარდი საკუთარ ჯგახთან მოშორებისა. მის დიდობის და მეტყველ თვალებში ყოველთვის მოსჩანდა სევდა, მწუხარებდა და თანაც რაღაც სიძულვილი და მუქარა. რომ დაეკითხებოდენ ჩაფირებულ მარინეს: — გოგო, თვალები რას დაგრძელები, ეს ემუქრები ეგრეო, — უპასეხებდა: — მეც არ ვიწი, ყველა და არავისო.. ტოლებთან და სოფელოსთან თამაშობის დროს უცემ შედგებოდა, მოილრუბოლებორდა, თითქო რაღაც ცუდმა ფიქრმა გაუელვა თვეში, ერთხელ თმაშობის დროს. თოთონაც არ იცოდა რად, კრახელი თვის საკურრელ სოფელოს და ჯერ კიდევ არ გაციებულ თორჩეში გადააგდო. მართალია უცბად მოვიდა გონს, თავგანწირვით თვითონაც გადავარდა მუგზულებით სავსე თორჩეში და იქიდან ცეხი არ მოუცელია, მანამ სოფიოს არ უშველა მშეცილებით ამოსვლა. რასაკვირველია, ეს ამბავი მათ შორის დარჩის და უფროსებს არა უთხრეს რა.

სამაცეროდ სულ სხვა თვისებისა იყო მოხუცებული და მთლად ქბილებ-ჩაცეინული თვალმაისა. იგი, ეტყობოდა, დიდი ხანია შერიგებოდა თვის ბერის; მის მზეც და მთვარეც სოფელოზედ ამოითოდა; ცხადი იყო, რომ თვის სიცოცხლის მიზნად თვისის გაზრდილის ბერინერება დაესახა და ამაში ხედავდა საკუთარ ქმაყოფილებასაც.

ასეთი იყო ის ვიწრო კავშირი, რომელიც აერთებდა სოფიოს, თვალმაისას და მარინეს. სარდიონხმა რაკი ეს იცოდა, მით უფრო დამშვიდებით ბერავდა თვის პოლკში ყოფნის დროს სოფიოს ობოლაანთ-კარში დატოვებას. დრო-გამოშვებით სოფიოც მიღიოდა ხოლმე თვისი ქმართან; პირველ ხანს თითქო ახალისებდა ახალი სანახაობის და ცხოვრების ხილვა, თვისის მახვილი გონებით და ნიჭით რუსული ლაპარაკი და წიგნიც კი შეუმჩნევლად შეისწავლა, მაგრამ სხვა არე-მარეს და ჰაერს შეჩეკეული, ისევ სოფლისენ იწვევდა მისი სული. იქ, ობოლაანთ-კარში მთელი თვეობით ჩებორდა თვალამისა და მარინესთან ერთად. როგორც ესთქვით, სარდიონხ, წელიწადი ისე არ გაივლიდა, რომ ერთი ორიოდე თვით მაინც არ ასულყო სოფელში. ამ მისვლას უფრო მოუხშირა მას შემდეგ, რაც მას და სოფიოს დაებადათ შეილი, რომელსაც პაპის ანდერით დააჩქევს შალვა. ელიზბარის სურველი ყოველთვის ის იყო, რომ მისი პირველი შეილისშეილი ელიზბარის მამის შალვას სახელის მატარებელი გამხდარიყო. იმ შალვასი, რომელსაც თვის დროზე იცნობდა თვით მეფე ერეკლე მეორე და დარდა აფესებდა მის ვაჟაცობას.



მანამ რუს-ოსმალოს ომი ფაქტიურად დაიწყებოდა, ზემოთ მითხვაში მითხვაში — ვინ იქნებოდა აღნიშნული კავკასიის ჯარების მთავარსარდლობა. იმ დროს უწარჩინებულები და ყველაზედ უფრო დამსახურებული გენერალი, ერთი ქართველთაგანი იყო, რომელსაც ვერც პირადი სიმამაცე დაეწუნებოდა და ვერც სარდლობის ნიჭი; ყველა დარწმუნებული იყო, რომ სწორედ იგი მიიღებდა მთავარსარდლობას, რაც სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსების წინაშე მას არაითარი დანაშაულობა არ მოყენდოდა და ამ მხრივ თავისი ფორმულარი არ წაუხდებია. მაგალითად, ლიქვიდული ქართველი ფფიციერების წინ წასაწევად თითოეული კი არ გაუნძრევია; ამნაირი თითოეული და რიცხვობრივი იგი საყოველთაოდ იყო ცნობილი და თანაც გაკიცეული ქართველ საზოგადოებაში. მართალია, ოფიციალურ წრეებში იმ აზრისა იყვნენ, რომ გავიდა ის დრო, როდესაც ქართველებს ელაქტუცებოდენ. რომ ქართველებმა მოკავშირს თავისი დრო და მიერჩიან მათ დაუხმარებლადაც მოახერხებენ კავკასიის საქმეების წაძოლებას, მაგრამ იმ ქართველი გენერალის სამხედრო ლირებულება ისმალეთის ურინეთის ცოდნასთან ერთად, ისეთი იყო, რომ იგი ფასს წარმოადგენდა თბილ კარგად წარმოებისათვის. ამიტომ ეგონათ — მთავარსარდალი თუ რუსი იქნებოდა, მისი უახლოესი თანაშემწერ და ფაქტიური სარდალი ის ქართველი გენერალი გახდებოდა. რუსის მთავრობამ საქმე სხვაგვარად გადასწუყირა: ამნაირ სარდალი კავკასიის მომქმედ კორპუსის უფროსის სახელწოდებით, დაინიშნა სომხეთი გენერალი ლორის-მელიქოვა. ამ გენერალს ძალიან ნაკლები ფასი ჰქონდა როგორც მხედართ-უფროსს და მის საომარ ნიჭისაც არავინ სკონცა, სამაგიეროდ ის კარგად კაშიცილი იყო ადმინისტრატორიულ პოსტებზე. ამ დაინიშნით რუსის მთავრობამ კარგი ხერხი იქმანა. სომხის სარდალი დანიშნა ერთობ საჭირო იყო. რაღაც იმი სწარმოებდა იმ საზღვრებში და იმ აღილებში, სადაც ისმალეთის ქვეშევრობი სომხები სცხოვრობდებოდა. იმის წარმოების პირობები რუსეთისათვის დიდათ გაადგილებული იქნებოდა, თუ სომხის მოსახლეობა გადაუდებოდა ისმალეთს და რუსის ჯარს მიაწვდიდა კოველვარ სიღუმლო სამხედრო ცნობებს. ამიტომაც მართლაც სასაჩვებლო იყო სარდალი სომხის დანიშნა. გარდა ამისა, რუსეთის კარიულ ხაზინას დიდათ გაუჭირდებოდა იმის ხარჯების იქრის ფულით გაწევა. ლორის-მელიქოვი დავალებული იყო ნაკლებად მოეთხოვა იქჩი და მანაც აღითქვა სულ ქართლის ფულით გაწარმოებ სამხედრო მოერაციებს. მოლოდნი, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, აუსრულა ლორისმა და ამიტომ მისი სარდალი დანიშნაც გამართლებული გამოდგა.

პირველი მსხვერპლი რუს-ისმალოს მისი სწორედ ის ქართველი



გენერალი გახდა. მან ვერ აიტანა ვალაც „მეტიჩარა“ აღმინისტრატორის მის თავზედ დასკუპება, შეურაცყოფილს „დამბლა“ დაემართა, მალე გარდაიცალა კიდეც. ლორის-მელქოვის გარდა, სხვა სომები გნერლებიც იყვნენ დანაშაულა პასუხსაგებ ადგილებზე და სულთანიდ მოწყობილი საჯაშუში აპარატის საშუალებით მათ ყოველთვის ზეპირად იცოდნ, რა ხედოდა მტრის ბანაჟში, ეს გარემოება, რა თქმა უნდა. დიდათ აადგილებდა სამხედრო ოპერაციებს კავკასიის ფრონტზედ. თუმც ქართველები ამ ოში დაჩრდილულა იყვნენ, მაგრამ მათაც ერვოვნ აქა-იქ მეორე-ხარისხოვანი თანამდებობანი, მეტადრე ფრონტის იმ მიმართულებით, სადაც ქართველი მუსულმანი მოსახლეობა იყო.

სარდიონის პოლკი იმ ჯგუფში იყო, რომელიც ახალიციდან არტან-ართვის უვლიდა. პირველად უხდებოდა სარდიონს ოსმალეთის იმ ადგილებში ყოფნა, სადც მუსულმანი ქართული მოსახლეობა ბინადრობდა — მესხეთსა და აჭარაში. მალე მთისა პოლკმა იარღით დაიყავა საშლელებთან ახლო მდებარე ადგილები. იქ სარდიონმა გაიცნო რამოდენმე ქართველი ბევრი; მათვინ გაითვო, რომ დღი ნაწილი მოსახლეობისა მოხარულია, რომ თავის დროხან დაკარგულ ძმებს უერთდება. რადგან ოსმალეთა ვერ გაამაგრა ეს ადგილები, როგორც ეს საჭირო იყო და მიგვნება რუსებს ჩევნი საკუთარი ხალებით, ჩევნ ვარჩევთ ჩევნ ძმებთან, ქართველებთან, ვიყოთ კვლავ, როგორც ეს ამ 300 წლის წინად ყოფილია. გააცენეს შა: ქართველ-მუსულმანთა ძნელი ეკონომიკური პირობები და ოსმალეთის მთავრობის მათდამი ნაკლები უყრადღება. ეტყობოდათ, რომ ისინი მშად იყვნენ, ხალხის ჩარილის შესამცირებლად, სულაც შეერთებულიყვნებ რუსეთთან, როგორც საქართველოს ერთ-ისხლი ნაწილი, მხოლოდ თუ რწმენა ექნებოდათ, რომ რუსეთი მაპარადის ჩჯულს არ შეუგნიებდა და რუსებს არ ჩაუსხლებდა მათ ამნაირი ლაპარაკი მაშინ ხშირი იყო. რუსის სარდილობამც მოჰკრა ამას ყურა და შეეცადა ესაჩებებლა მოსახლეობის საქართველოსაცნ ლოროვთ, რათა უსისხლოდ შემოექრთებია მოსახლეობის ეს ნაწილი. გამოძიებით გამოირყვა, რომ ქართველ მუსულმანთა შორის კველაზედ უფრო გავლენიან პირი — ვინე შარიფ-ბეგ ხიჭ-შიაშეილი იყო საჭირო გახდა მასთან სიადუმლოდ მოღაბარაკებაც და მისი აუსეთისაცნ გადმოყვანა. ამ მისის ასრულება დაევალა ორ ქართველს, მათ შორის, ერთი სარდიონი იყო. დიდი სახიფათო დავალება კი იყო ამნაირი დავალების ასრულება. სარდიონი და მისი თანამგზავრი, ვაჭრების ტრისამოსში გადატყულები, გადაიღენ ოსმალების საზღვრებზედ. შარიფ-ბეგის გამოგზაუნილ კაცი დახცდა მათ ერთ ჩქარი და ორმა მდინარის გაღმა. იგი წაუძღვე წინ და ლამით სწორედ ოსმალეთის ჯარის ბანაკის ბოლოზედ გაატარა. მგზავრები ყოველ წამს



ელოდენ გამცემლობას და არც იმაში იყვნენ დარწმუნებული, ჩორთული სწორედ შარიფ-ბეგთან მიღიოდენ. აუარეს ისმალეთის ჯას გვერდი მისამართ ზედ და დაბურულ ტყეში შევიდენ. იქ ერთ კლდის ძირს გადმოსხდენ ცენტრიდან; მათი გზის მნიშვნელოვანი აუკუპა კლდეზედ და მაღლიდან სამჯერ დაუსტევინა ვიღაცას; არ გასულა დიდი ხანი და სწორედ იმის-თანავე სტვენით უბასუხეს შორიდან. ოსმალი (ის ჯარველი მაპალი-ანი იყო) ჩამოვიდა კლდიდან და უთხრა სარდიონს: — შარიფ-ბეგმ ნიშანი მოგვაცა, ამოდით უში შერაცხა. ნახევრი საათის შემცევა, სარდიონი და მისი თანამგზავრი შარიფ-ბეგთან ისხდენ, როგორც მისი ძვირფასი სტუმრები. სარდიონს ეგონა, საქართველოში ვარო, ისე ბევრი რამ ჯარული იყო შარიფ-ბეგის ოჯახში. ახოვნი ტანის, მედილური შეხელულების და ბრძანების კილოს მიჩევული შარიფ-ბეგი დაუხვდა რუსის სარდიონის მიერ გამოგზავნილებს, როგორც სწორი სწორის; კვეიანმა და შორის-მჭვრტელმა ბეგმა პარველ შეცვერაზედვე უთხრა მათ: — გადაეცით თქვენს სარდალს, რომ ჩვენ არაფერი შესახვეწი არა გვაქვს რა რუსეთთან. მართლაც, არტანის ციხის აღება საქმის დიდი გართულებაა ისმალეთისთვის, მაგრამ ჩვენ არ ვსაჭიროებთ ისმალოს ჯარის დაბმარებას. ჩემი საკუთარი რაზმები საქმია არიან მხოლოდ იმიტომ; რომ რუსი აქ ვერ შემოვცეს, და თუ მოლაპარაკებაზედ მოვდივო, მხოლოდ იმიტომ, რომ არ მნიდა ხალხმა მეტი ზრდალი ნახოს, ისმალეთი სხვა ფრონტებზედ, მისთვის უფრო საჭიროზედ, ებრძეს რუსეოს, — ამიტომ აქ ისმალეთის ჯარი ნაკლებად არის. ასეთ უყვრადღებობას ისმალეთის ჩვენი ხალხი არ აძარვებს, ამიტომ მზად ვართ თოთვის გაუსროლად ჩიგდარით მოტლი აქარ-ქობულეთი. ჩვენი პირობა კს არის: არ მოგვემალოს ჩვენი ცხოვრების წესი და ამ მხარეში ჩვენი გამგებლობა, არ შევიწროედს მაჰმადი რჯული; ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ასე ლარიბიდა მიწოთ, არ ჩიმისახლონ რუსი თუ სხვა უცხოელი, პირადათ ჩემ ლირებადა და ხარისხიც მიკავა ამ ქვეყანაში, იგი უნდა შემჩრეს, აგრეთვე შერჩეს თავისი უფლებები სხვა ბეგებს და აღებს. თუ რუსის სარდლობა ამაზედ თანასმაა — შეტევაზედ წამოდით იქ მდინარის ნაპირისკენ, სადაც ჩიდადა გადებული. წამიყევით ჩემს კაცებს, რომელნიც გზის უჩენებენ რუსის ჯარს. რუსების დანძვაზედ მე წა-მოვალ წინ ჩემი ლაშქრით, რომელსც ნაბრძანები ექნება პატარში ის-როლოს. თქვენი ჯარი იერიშით გაღმოვიდეს ჩემზედ, ჩვენ უკან ვაკი-წევთ და ბოლოს იარაღს დავკრით, ვისომ როგორც დამარცხებული.

გართლას ამბობდა ბეგი, თუ ვინმებს თვალის ახვევა უნდიდა. არავინ იცოდა; არც ის იცოდენ დანამდიღელებით, რომ ასეულა იგი ისმალოს რომ ღალატობდა. მართლა გაიღვია მასში ქართველის სულმა და გულწრიულებად ხარობდა, რომ ერთ საქართველოს გულიდან მოწყვე-



ტილი მისი ნაწილი კვლავ, უერთდებოდა საერთო სამშობლოს — მა—
შინ არც ეს სჩანდა ნათლად. ცხადი იყო მხოლოდ ის, რომ გაეღლინა მარტინ შედები
ბეჭები, ოფიციალურად სწორედ ამ ვერსიის წამოყენება დასპირდა დამატებით განვითარება

ეს პირობების საქართველო ექინობა რუსის გენერალს, რომელმაც მალე
ყველაფერზე რუსის მთავარსარდლობის ფანჯრობა მიიღო და თანაც
ბრძანება ვასუა, ფრთხილად, მაგრამ მაიც ნდობით მოქცეოდნ შა-
რიფ-ბეჭების დახმარებას.

სწორედ, ისევ მოიტეა ბეჭე, როგორც დაპირდა რუსის სარდლო-
ბას. უნდა ითქვას, რომ ამ მაში მონაწილე ქართველობის უმეტესობა
ოსმალეთთან შეტაქებას ისე სოვლიდა, როგორც საქართველოს ძველ
ეროვნულ მმების გაგრძელებას. ზოგიერთ ქართველ გენერალს თავის
ბარგში ორიოდე ქართული პატრიოტული წიგნიც კი ჰქონდა ჩადებუ-
ლი. ერთ ზემო-ქართლელ გენერალი, რომელიც საქმაოდ მოზრდილ
ჯარის ჯგუფს ბრძანებლობდა, არა მაღავდა, რომ ომის დაწყების წინა
დღეს ის გატაცებით კითხულობდა ნიკ. ბარათაშვილის და გრ. ორბე-
ლიანის პატრიოტულ ლექსებს: — კანგარი ვკითხულობ ხოლმე, რადგან
ის ლექსები მაღავდებენ და მით ენერგიას მიმატებენ ოსმალეთის წინა-
აღმდეგ ბრძოლისათვისო.

როდესაც სამპარანო საქართველოს ფრონტზე მიწყდა სას-
ტიკი შებრძოლებანი და რუსების სამხედრო მილწევანი იმ გზით წავ-
და, როგორც ამას შარიფ-ბეჭე შეპირდა, იმ ადგილებიდან ნაწილი რუ-
სის ჯარისა სხვა ფრონტების გასაძლიერებლად იყო გადაყვანილი. გა-
დაიყვნენ სარდიონოც, რომელსაც გასულ ბრძოლებში იქროს ხსალიც
და კაპიტანის ჩინიც ჭქონდა დამსახურებული. ახალ ადგილზე და მისვლის
მესამე დღეს მას ჟკუ დიდ ბრძოლაში მოუხდა მონაწილეობის მიღება.
იგი სწორედ იმ ზემო-ქართლელ გენერალის ჯგუფში მოჰყვა, რომელიც
ქართულ პატრიოტულ ლექსებით იღელებდა გულს. იმ ჯგუფს დავა-
ლებული ჭქონდა აღება ერთ სიმალლისა, რომელიც ბრძანებლობდა ის-
მალეთის ფართი ბაზას. რუსებს მდინარის გაღმა ნაბირიც ხელში ეჭი-
რათ. საქირი იყო ზომების მიღება, რომ ოსმალებს უკინ არ გადმიე-
ყარათ რუსის ჯარები წყლის გადმოლმა და ერთად ერთი ხიდი არ აფ-
ფეთქებიათ. სარდიონი თავისი რაზმით, იცავდა გაღმა პოზიციას და
იფარავდა ხიდისკენ მისავალ გზებს. მოელი ორი კვირა მოუხდა სარ-
დიონს დაუსვენებლივ ბრძოლა პოზიციის შენაჩინებისათვეს. ბოლოს,
რაცა გაუნახევრდა ძალა, აფრინა შიკრიკი. ჯგუფის უფროი გენერა-
ლი თვით საქიროებდა ჯარებს დიდი ოპერაციების დასწუებად, რო-
მელსაც მისი გეგმით ბოლო უნდა მოელო ოსმალეთის ძალებისათვის.



საჭირო გაზრდა მირაცი მოლაპარაკება ს სრდიონთან. მას ბრძანებული შეუწყვეტეს კავშირი გვიდა უფროსობა დროებით გადაეცა თანამებრესათვის და თეატრის „უკავშირის“ უკავშირი მისულიყო მოხსენების წარსაღვენად. ასეც მოიქცა. სარდიონმა დამტკიცა ახალი ძალების გაფაზენის საჭიროება და მისი განახევრებული როტის დასასვენებლად უკან გამოწვევა. გარმა პოზიციაზედ წასასვლელად არჩევანი ხედა პეტერბურგიდან გამოვზავნილ ერთ გვარდიის ოფიცერს. მან რომ გაიგო — მე მგზავნიანო — ისეთმა შიშვა აიტანა, რომ გადაჭრით სთევა უზა წესვაზედ: — ავადა ვარო! ამ ჯურის რაინდებს, რომელიც კარიერის გულისათვის ეტანებოდენ ფრონტს და ამავე დროს სცილინდრები ბრძოლებს ასცილონებნ, „ხობებს“ უწოდებდენ. სარდიონმა რომ დაინახა იმ ოფიცერის ასეთი უკალისის საქუელი, მიმრითა ქართველ გრეხიალს: — მე გმიშვით, მე წავიყვან მაგის როტასა... და აა, იმ რუსი იფიცირის როტის თავში წრიათად მიეშურება სარდიონ ხიდისაკენ, რომელსაც გააფთრებული მტერი გამუდმებით უშენს ტყვიას და ყუმბარებს... აქ, ამ ხილზედ ნახა სარდიონმა თვითი გმირული სიკედლი. გრერმა იშყო საქრთვ შემოტევა. ამ დროს რუსების ჯარების მხრივ გავარდა ოთხი ზარბაზანი; მათ ერთი ახალგაზრდა რაკველი იფიცერი ბრძანებლობდა. მისი ყუმბარები მტრის შიგ შუა გულში სკდებოდა. ამ სანახაობით წაქეზებულმა მიუკითხა ყუმბარი კუმბარის იმ ოცდაორი წლის არტილერიის იფიცერმა. ისმალინი დაბნენ; ამით ისავებლა ქართველმა გრეხიალმა, თვითონაც წავიდა შეტევაზედ და რამოდენორე საათის შემდეგ ხელთაპრო მტრის მოედნი ჯარი. მრავალი ტკცე და ღოვლათი ჩაიგდეს ხელში რუსის ჯარებმა. ბოლოს, გაღმა მოღლიერებიც დაიკავა მათმა სარდალმა და მით აიძულა ისმალები დაეცლათ ბაზა.

იმ ბრძოლაში სამა ქართველმა ისახელა თავი. სამივე შემდეგ წმ. გიორგის ჯვრებით იყვნენ დაჯილდოვებული. ქართველი გრეხიალის ის შეტევა და იერაშის წინდაწინ მოხერხებულად მომზადება ისეთი ცოდნით და ხერხით იყო მოხდენილი, რომ მთავარ შტაბში, რომელიც მოშორებით ერთი სიმაღლითან დასცემოდ, ბრძოლას, იქ მყოფმა საფრანგეთის სამხედრო ავენტრმა თავი ვერ შეიკავა და აღტეცებულმა ხმა-მალლა, ტაშისცემით წამოიძახა: „ვაშა, ვაშა, თავაღო!“

სარდიონის გვამი ბრძოლის ვათავების ორი დღის შემდეგ, სოფო-ობოლაანთ-კარში წაასვენეს. უზომი იყო სოფიოსი და შალიკის გლოვა ან აბოლოაანთ-კარელი გლეხები სამი ვერსის მანძილზედ დახვდენ ცხე-დარსა და იქიდან ხელით მიასვენეს წმ. გიორგის საყდარში.

სარდიონს სამარე თავისი შშობლებისა და მისი საფლავების ვერდით გაუთხარეს.

(გაგრძელება იწნება)

ვაჟტანგ ოდიშელი

მეორე მხარე

გვიყვარს თავის მომძინარება. რასაც ცხოვრების ზედაპირ-ზედ ვხედავთ, ჩვენდა სამოდ რო დაულაგებიათ, გვინდა მითი ამოიწუროს „ამბავი“. მაგრამ ჩეკი რომ შეგვეძლოს საგნების არსში ისე განკვრეტა, როგორც მინაში და მისი შეორე მხარის დანახვა, ერთბაშად შევძრუნდებოდით, ჭაბუქნი გავფითრდებოდით. ასეთია ის იქთა, მეორე მხარე, რომელიც ერთად-ერთი სინამდვილეა და ამიტომ ჩეკი მის ნახვას გავუჩინა.

ხანდისან მაინც უნებლივდ წავაწყდებით და მაშინ ჩეკი ახალგაზრდობაში ცრუმლები გვსეტყვავს, ხოლო შუა ხანს გარდასული თავისს თავის დამცინავი, ირონიით სავსე ღიმილი გვამყრთალებს.

რადგან მე ძელი, გაუსწორებელი რომანტიკისი ვარ და სიყვარულით ახალ განარებათა იმედი ჩემში ვერ ამოვავდე, ამა-ტომ არ გეტყვით ამ „მეორე მხარის“ (ნამდვილი რაობის) გა-მოჩენისა: ვიცრუმლებოდი, თუ დამცინავ ღიმილით ვნიღაბ-დებოდი...

არ გატყვით, რადგან მე ვმაღლავ ჩემს წლოვანობას (ძე-ლებურად). ვინ იცის... იქნებ კიდევ „გაიხაროს“ და გამახაროს სიყვარულმა...

მინდა რამდენიმე ნახვა „ნეორე მხარისა“ გაგაცნოთ. მთა-ვარს მაინც არ გეტყვით ჯერ, რადგან კიდევ ვმაღლავ ჩემს წლო-ვანობას და საჯაროდ თავის გაბახებას გავუჩინა. ვინ იცის!... იმედი...

რას იზამთ!, როცა სიყვარულის გაუსწორებელ რომანტიკოსს გადაეყრებით, უცნაურობა ალარ უნდა გაკვირვებდეთ.

„მე და ტიკინა“

ის ზაფხული თეთრი პეტლებით იყო საესე. ფუტკრებს უწარის ჭირნახული ახარებდა და ძლიერ ეზიდებოდენ ყვავილთა უამრავ მტვერს.

მაგრამ ჩემისთანა ზემო მათ მანც არა ჰერნიათ, რაღაც ღლე-მუ-ლამ შენთან ეყავ და ლამით შენს სახეს და ფიქრებს ვეზიდებოდი.. ეს ეც უხვი ჭირნახული იყო; მადლიანი, კით თაფლი და სანთელი.

მე ვიყავ ელლინი, თაფლს — ნეკტარს ვეძახდი და შენს თვალებ-ში შავ გედებს ვეგრეტილ.

მაგრამ ელლინი ვიყავ ოცნებით და ცხადში დოონის მაცროთხობ-და. შენი სულის თქმის მთახლოვები ძაშინებდა და მე სვანეთის წყლებზე, ინწებზე და ვიტამინებზე ვლაპარაკობდი. აკი გითხარ — მარტო ოცნე-ბაში ვიყავ ელლინი და სინამდვილეში ქართველი, ზეინაბობა რო თან-დაპყოლია და ნამღველ ზრახებს სისტარშიაც თავს უკრავს. მე ვიცო-დი, რომ შენ ჩემთვის სოლეიმანი არ იყავი, მაგრამ მე ჩემს ბუნებას ვერ მოვერიყ.

პო და ჩემი გრძნობები ათეულად თავდაფარულნი დამჭრნდა და ძეგლებურად „უზრუნველად“ ვესისისებდით ქართულ ლორის იშვიათ ჯიშედ, უცნაური აკრიბატობა რომ აეთვისებინა.

მაგრამ დილით, როცა შენკნ წამოსვლას ვაპირებდი, მეტ ვმირო-ბას ვიჩერდი და ჩემს თავს საშარაოზედ გამოსვლას ქოხოვდი.

აი, იმ დილითაც ასეთის „სამრეკიც“ ვამოველ შზისაგან დავარ-ყებულ ქუჩაზედ და იაზონად (არა თუ ელლინად) მომჭონდა თავი.

მაგრამ ჩენ ერთმანეთს შევხვდით და ყველაფერი ჩეელებურად „დეწყო.“

ჩენ მივღიოდით ნაცნობ გზებით და შენ ვუშინ წაკითხულ რომა-ნის ბოლო თავს ანვითარებდი. მე ვიცოდი, რომ ეხლა იაზონი აღარ ვი-ყავ და დღევანდელი დღეც გუშანდელს ვაიმეორებდა...

მაგრამ იმ დილით ჩიტი ისე ვამითამამდა, რომ ოთახშიაც შემო-მიტრინდა და მაგიდაზედ ჩამომიჯდა; მიხედვი, რომ ეს „გარდატების“ ნიშანი უნდა ყოფილიყო... — და მე ჩეტზედ უფრო გავთამამდი და გულმა ერთმაშად შენს ორგვლივ ფრენა იწყო.

არა, ეს დღე სხვას არ უნდა ჰვავდეს: გუშინ სხვა იყო, დღეს სხვა იქმნება... ეხლა! აი, ამ წუთში რაღაც უნდა მოხდეს. ელექტრო მივლის რა მინდა? არად ვთრთი ასე?... — მოითმინეთ! წამოვიძახე ვიღაც უც-ნობის სმით და ვიუვიო ხელი ხელში დაგავლე-

გაოცდი, ფართო თვალებით მოაცემერდ.

— ეინ არის? რა მოხდა? ცუდათ ხომ არა ხართ?

— არა, ისე...

— როგორ არა! ფერი აღარ გადევთ, ცახუახები კიდეც და თითე-
ბიც სულ გაიძინული გაქვთ. — და მან ორივ ხელით დაუწყო ჩემს თი-
თებს სრებას.

— გინდათ, ექიმთან წავიდეთ?

— არა, რას ამბობთ... მე სრულებით კარგადა ვარ. საიდამ მოიგო-
ნეთ!..

— არა, თქვენ კარგად არა ხართ. მე ვხედავ. იცით რა? დამიჯერეთ
თუ ჩემი ხათრი გაქვთ: წადით სახლში, წამოწევით... დაისვენეთ. თქვენ
დღეს არ უნდა გამოსულიყავთ; გინდათ მიგაცილოთ?

— რას ამბობთ... მე სრულიად კარგად ვარ, გმეორებთ. — და მო-
ვუჩქარე ნაბიჯს.

ის მაინც თავისს არ იშლიდა და მთავარ ქუჩის მოსახვევთან შე-
მაყნა. ეხლა მას უნდა ეტლში ჩამსვას და სახლისაკენ გამისტუმროს;
იაზონი... არა! ეს სასაცილო მღვიმეაჩუობა უნდა გამოსწორდეს. ეხლავ!

და მე მაშინალურად დაეტერებინას გიტრინას, რომელშიაც გამო-
უფენიათ ფოტოგრაფიული სურათები, რა მშენიერია თვითონეული
წყვილი. ვინ არიან ესენი? ბედნიერნი, განტხრომილნი! ვკითხულობ
წარწერას: „სასახლის საუცხოვო ფოტოგრაფია. აქვე — მეორე სარ-
თულზე“. — იცით, მე რას გთხოვდით? —

— ? ?

— გადვილოთ აქ სურათი. ჩვენი ხანგრძლივი მეგობრობას მოსა-
გონარად.

— ? ? ?

— განა რაიმე ისეთს ხედავ ამაში? განა ჩვენ მართლა სულ შორე-
ულნი ვართ? თუ გონიათ, რომ ეს ვისმეს რაიმეს ავალებს? — და მე
გავიცინ.

— ? ? ?

— კიდევ ყოფილობა? საოცარია... მე კი მევონა, თქვენ მაშინვე
დამეთანხმებოდით. ვინ იცის, რამდენი საძმე მოგვეგვაროს ამ ზაფხულის
მოგონებებმა. მე კი ამ აზრით მოვდიოდა. დღეს და სწორედ ეს მინდოდა
წელა მეტოვნა თქვენთვის.

— რა უცნაური ხართ, ღმერთმანი! — და მან ღმობიერად გაი-
ლიმა. ეს უკვე ნახევარ გამარჯვებას უდრიდა და მე იაზონობა არც თუ
მიუწვდომლად მომერვენა: მკლავში ხელი ჩავჭიდე და კიბეზე ავარე-
ნინე.

ჩვენი სიცილი მინგბიან ოთახს აყრუებდა და ფოტოგრაფი ტუ-
ილა ლამიბდა ამ საქმისათვის შესაფერი სერიოზულობა მიეცა.



— მოითმინეთ, ბატონი... ი, თქვენ ასე დაბრძანდით, ჰქონდეთ მუშაობა
გვერდით, და მხარზე ხელი დაადგეთ...

— ხა-ხა-ხა! — იცნოდი შენ და ბროლის მსგავსი მინები იჩხეო-
დება: — ეს მართლაც „ოსიკოს და ფაროენას“, „ყარტოჩეკა“ იქნება... --
და ფოტოგრაფი ისევ გაოცებით გვაცემოდება სიცილით ატაცებულ და
საქმის წარმართებს.

მას ისე მოძებზერდა თავი, რომ ეხლა ჩვენი „პოზის“ გაეკთილშო-
ბილებაზე ალარ ფიქრობდა და არც იმას მიაქცია ყურადღება, რომ მი-
სი კარნახით ჩემს მხარზედ დადგებული ქალის ხელი ნელა ჩაუტრდა...

— იცით რა გითხრათ? რომ სურათი პრეტენზიებს არ ატარებდეს
და მართლაც ცელქობას და „შემთხვევას“ გამოხატავდეს — მიუუმა-
ტოთ და ჩვენ ლირსეულ პიროვნებებს კრდევ რამე ატრიბუტი — ისევ
ხითხითოთ მომეცა რჩევა, მაგრამ თვალებში გამჩნევდი, რომ ქალური
ინსტიტი „თავდაცვისაკენ“ გიხმობდა.

— თუ გნებავთ ეს ფოტოგრაფი გვერდით მოვიჯინოთ! — მოვა-
გო უცებ.

— არა... მაშინ ვიღამ გადაგვილოს... — და შენ დაიწყე ატელიეში
„მესამე“ პირის ძებნა.

— ოო, ეს შევენიჭობა იქმნება... — წამოიძახე, მერმეთ უცრივ
წამოჭერ და თარიღი დიდი ტიქინა ჩამოიღე. ვარდის-ფერ გაშლილ
კაბაში მორთული ბალგრინა ცალის თვალით აღმაცერად გადმოვგუუ-
რებდა. შენ ის გრძელ სკამზედ ჩვენ შუა დასვი და ამით თავი ხითათი-
დან დაიზღვევი.

„ბალერინა“ ყველაზედ გამგონი გამოდგა: — არც სიცილი, არც
რხევა, არც თვალთა პარპალი ამ ტიკინას არა სურდა და სურათშიაც
ყველაზედ გარკვევით და ნათლად ის გაროვიდა. მაგრამ შენ იყვა იქ და

მერმეთ ჩვენ ზაფხული გაგვეპარა და პეპლები და ფუტკრები ისე
წაიყვანა, რომ გამოთხვებაც კი დაავიწყდათ ჩემთან.

არც ჩვენ გამოვთხვებივართ ერთმანეთს; მაგრამ სვანეთის წყლე-
ბის და ჩიყვის ამბები განა იმდენად წარმტაცი რამ იყო, რომ ყოველ
დღე მასზე გვებასნა?

და შენ უფრო მეტი და მეტი „საქმე“ გამოგიჩნდა და შემოდგო-
მისას მეც გამოვეთხოვე ელლინობას.

მე ვეითხულობ „თიმარიანს“, „გარდ-ბულბულიანს“ და სურდოს
შიშით გარეთ ძირიად გამოვივარ.

მაგიდის ზევით მარტინი ჩვენი სურათი ჰქიდია და მე „ბალერი-
ნა“-ს დასწრებით ამ შემოდგომისას ზაფხულის ამბებს კვლავ გიყები;
ჩემი იაზონობა მინდა მოვაგონო... ვარეთ ეხლა რაღა საქმე მაქვს?



როცა ამას წინად საღამოთი ნაცნობ ქარვასლისაკენ ამოვრაოუ; როცა გელი საცავი ჩატლაში და გელი არ დაგრძელდა, ვნახე თაფლაში და გელი უკერძო მოვარდი, რომ შენ მას ქველ ტფილისს ქველ ამქრების ამბებს უყვებოდი. ხელი მის მკლავში გქონდა გაურილი და თავიც მისკენ სულ ახლოს მიგეზიდნა. სიახლოე წარმოშობს ელექტროს. სითბოს და ეხლა ხომ შემოდგომაა.. მე შვინია ამ სიკივეშ საჭიროა სულ ახლოს მიკარათ ერთმანეთს. მე კი სურდო ისე მაშინებს, რომ ოთახიდან აღარ გამოვდივარ და მას უქნივ მჯდომარ შენ და ტიკინას „თისმარისანს“ უჟკითხავ. და მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ იმ დღეს მაინც გამოვიჩინე იაზონობა და ჩემი თავი შენს სახესთან სამუდმოდ ალვბეჭდე.

მე მიყვარს ის პეპლებიანი დღე, თაფლის და ვარდის სუნი რო ასდიოდა და ეხლაც მატყველებს ის ფორმებრაფი, შენს ხელს ჩემს მხარზედ რო „ამაგრებდა“... გაურდა ის ხელი...

შენ რომ წინგრძების წასაღებად ჩემთან შემოიარე, მაშინ შემოდგომა ახალი დაწყებული იყო და ზაფხულის სიცხე კიდევ გათბობდა. ამიტომ ქველებურად გულუბურყვილოდ იცინოდი, როცა ის სურათი ნახე და ჩენი გრძელ-ყურებიანი ფოტოგრაფი მოიგონე.

მაშინ კიდე ჰქონდა ზაფხულის მზეს ძალა...

ეხლა კი შემოდგომაც იწურებოდა და ჩენი ზამთრის კარებზედ ვიდებით და აბა, ნიკებმების სხვა რა უნდა მოეტანა ჩემთვის?

გამაოცა შენმა მოულოდნელმა სტუმრობამ ამ ზამთრის პირას.

ჩენ უხერხულის ფრაზებით ვართობდით ერთმანეთს და მე ვაზნევდო, რომ შენ ჩაიაც სიაღმლოება გაწვალებდა.... მე არა ვარ ინკვიზიტორი და თვითონ შეგიწყვე ხელი და მძიმე სუნთქვა შემჩიტდა.

— მართლა, ჯვარს როდის იწერთ?

— და მერე თქვენ ეს საიდან იცით?

— მითომ ითახიდან რო არ გამოვდივარ, ქალაქში აგენტები არ მყავს?..

— თქვენ გაუსწორებელი, ქველი ეშმაკი ხართ...

მაგრამ „ქველი ეშმაკი“ თურმე ეხლაც არა სცდება. თუმცა დრო ჯერ კიდევ დანიშნული არ არის, მაგრამ ამ ზამთარში... რასაკვირველია, ჩენი დამოკიდებულება ოდნავადც არ შეიცვლება: ჩენ ქველებურად გვეყვარება ურთი-ერთი და ქველებურადვე „საუკეთესო მეგობრებად“ დარჩიებით.

მე ეს სცენა რომელიმე კინოს მაგონებს სენტიმენტებით „მეგობრების“ შესახებ და ვიტრომ — ქველი დრო რომ იყოს ეხლა, ჩემი გუდა-ნაბადი უნდა ავიკიდო და გრძელის ჯოხით მაღალ



მთას გავუდევ... ვიარო და ვიარო, ვიდრუ მის მწერვალზე მიყრუშებულ
მონასტერს არ მივაწყდები.

მაგრამ „მონასტერი“ არაა, ვარეთ ქარ-ბუქია და მეც ბერად ვერ
წავალ. მაშ რა დამჩერენია, თუ არა სამუდამოდ მეგობრად ყოფა? და ჩეენ უზრუნველად ვიცინით და ჰეც მომავალ ქორწილზე გმასობ...

მაგრამ ეხლა მას ამითი ველარ ვართობ. უცნაური ნერვიულობა ემ-
ჩნევა ამ ქალს და ვფიქრობ: — მეტი მოცდა მისთვის უხერხული თუა;
ალბად კარგბთან, ქუჩაში თაფლის-ცერ-თმიანი ყმაშვილი ელოდება
და იყინება.

— იქნებ იჩქარით ქნო? ნუ მერიდებით...

— არა... — და ის ისევ ისე მოუსცენარია თვის სკამზედ. ხან მე მა-
ჩქრდება და ხან ჩემი მავიდის გვრდით. გარცხივ დაკიდებულ სურას.

— რაშია საჭმე?..

არა, ისეთი არაფერია... მაგრამ... მეც უნდა მიეხვდე, რომ ეხლა მი-
სი ყოფა იყვლება, ახალი ხანა იწყება და... ერთი სიტყვით — ძველი,
რაც რაიმე მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, ან რაიმე იქვებს წარმოშობ-
და, უნდა გაჯერეს... მე ალბად კარგად მესმის, რომ ამ სურათის ასე და-
ტოვება ცოტა უხერხულია.

აა, ეხლა ვხვდები ნოვემბრის ნაგვიანევ სტუმრობის მიზანს...

რასაკირველია, ამ მაშინდელ ცელქმის, უბრალო და უმანეო
თამაშის კვალი უნდა წაიშალოს.

რად უნდა ჩაიგროს ხიფათში თავი ამ ქალმა? რა საჭიროა ამ უულ-
გარიზმის, ამ სურათის დემონსტრაცია?

რადა ვარ ასეთი ხეპრე? რად ვერ მივხვდო აქმომდე, რომ ზაფხუ-
ლი წავიდა, ზოაბრები წაითო და ეხლა ცოტა სიუხიზლესაც უნდა მივ-
ცეთ თავი! მხარხე ხელი წუთით იყო და „გაცურდა“...

მე ღიმილით ჩამოვიდებ ამ სურათს: და ქალალდში ვაძვევ, მინდა
მას გავატანო. (დახევა კი მენანგა). არა; აბა როგორ შეიძლება? მას-
თან ხომ უფრო სახიფათოა! ის უფრო ადვილად სჭრის ამ საკითხს. ვა-
მოიღებს ჩარჩოლან ამ სურას, კლამს მელანში ამოსტრის და სურათ-
ზედ თავის სახეს უცებ დაუსტბს.

— რას სჩადით! — ისტერიულად დავიყვირე მე, თითქოს სადებისთ
მჩხვლეტდენ. მე ამას ვერ ავიტან; და მაგრატელს ვაძლევ, რომ ეგ
თავის სურათი თვითონვე ამოსჭრას. ეს გამოსავალი უფრო სწორია,
მარტივია და ის მაღლობით ჩამომართმევს მაგრატელს..

ნოვემბრის სტუმარი მტოვებს ამ ჩამორის პირას მარტი ჩემს, თო-
მსარინთან“ და მიღის თავის ბილიკით. ეხლა ისინ ალბად უფრო მაგ-
რა ეკვრიან ერთმანეთს საშინელ სიუკის გამო და ქარვასლაში დიდ ხას
ალარ იცდინ... მათ უყვართ ტფილისის კინოები, თეატრები, საკა თბი-



ლა და ელექტროს ჩაქრობისას შემთხვევით ლოკაციები მიაბუნები და ტექნიკური იქნებიან...

ამ, მალე მოვა ზამთარიც და იქმნება სანახაობა მათი „დაქორწინებისა“... მე უნდა ნავტალინი გადმოვყარო სმოკინგის ჯიბეებიდან, რომ ამ განახობის დამეს მათთან მკვდრის სუნი არ შევიტონ.

ან ვინ იყოს, იქნებ სახიფათოც იყოს ამ სუსტიან ზამთარში გარედ გამოსვლა და სურდოს ასაკედნად სჯობდეს ჩემს სოროში დავრჩი და მავიღის მარცხნივ ზევით დაკიდებულ სურათს „გარდ-ბულბულიანი“ ვუკითხო; სურათს, საცა მე და ტიკინა ვსხედვართ სულ ახლოს და ურთი ერთის ზრახვებს ვკითხულობთ.

ზაფხული წავიდა, პეპლები გაფრინდენ, „ხელი ჩაცურდა“ და მე და ტიკინა კი სამუდამოდ შევრჩით ერთმანეთს.

და მომავალ ზაფხულშიც ჩემს კოლომბინას არ მოვშორდები და ისევ „თისმარისნ“ ვუკითხავ.

მასთან დამტოვეს, და ჩვენც მუდამ ერთად დავრჩიებით: —

მე და ტიკინა...

კ. თუთშერიძე

ბესიკი და მისი ანა

ქართული მწერლობის აღორძინების ხანიდან ბესიკი ჩვენთვის თითმის ყველაზე საყვარელი და ახლობელი მგოსანია და შეიძლება ყველაზე უფრო „დამწერარი“ ბეღით და სიყვარულით. ამიტომ მისი ფივურის უფრო სევილის ლირიზმით შემოსირმული მოსჩანს ამ საუკუნის მანძილზე, ვიდრე რომელიმე მეორე ქართველი მწერლისა.

შეიძლება ის იყო უკანასკნელი ბოჭქმა სპარსულ ლიტერატურულ ტრადიციებით დატყობისულ ქართულ პარნასია. შეიძლება მას ერთბაშად უნდა ამოეტირებინა ძევლი საქართველო, რომელსაც მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს ახალ გზაზე გამოსვლის წყურვილი მოერია და მის ნაცვლად მწუხრი განიცადა ალ. ჭავჭავაძესაც უყვარდა ძევლებურ თაჩზე დამტერება, აღმოსავლურ ეშნით ამოტირება სიყვარულისა, პაგრამ ის მანც ბესიკი ვერ გახდა, რადგან რუსული მუნიცირი ყელში უჭერდა და პეტერბურლის „ყარეტები“ და გაპჰერიალებული ლამეები აწვალებდენ.

მიტომ ბესიკა და საიათონოვამ „შეკვრებ“ და დააყუნეს ის ნაკადი ძევლი ქართული მწერლობისა, სახელოვანი ვერცხლად გათეთრებული ეპოქა რომ შეუქმნა ჩვენს ერს. ამ უამაღ ჩვენს მიზანს არ შეადგენს მკასის შემოქმედებას ახლა შევეხოთ .. ეს ასე ადვილად და „ხელის წამოკრით“ არ შეიძლება. მაგრამ გვინდა მიმი გავმართლდეთ, რომ ყველაფერი, რაც ამ მგოსნის ვინაობას შეეხება ჩვენთვის ძვროფასი და ახლობელი უნდა იყოს. არ შეიძლება ითქვას, რომ ბესიკი შედარებით ნაკლებ ყურადღების იყრინდდა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. წინააღმდეგ, ჩვენი მკვლევარინი მას უფრო „მედნიერ“ მწერლადა სთვლიან, რომლის ნაწერების გამოცემა რამოდენჯერაც კი მოხერხდა.

თითქოს ეს იყოს რაიმე დიდი დამსახურება ჩვენის მხრივ ამ შესანიშნავ აღამინის წინაშე, რომელმაც ასე უანგაროდ შესწირა მთელი თავისი არსება ქართულ ხელოვნების ერთი ეპოქის გამართლებას.

და ბოლოს უნდა განვციფრდეთ, როცა ბესიკის ამ ბედნიერებას ახლოს გარიცნობით.



თურმე, ნუ იტყვიოთ, ეს „ბედნიერება“ იმით იწურება, რომ ბჭიობიც და კის ლექსიბი დაუბეჭდია და. ჩუბინაშვილს თვის „ქართულს ქრესტიანული მატიაში“ 1846 წ. (რომელშიაც სულ რაღაც ოცამდე ლექსია მოთავსებული) და ზ. ჭიჭინაძეს გამოცემია მის კრემული, რომელშიაც დაახლოებით სამი იმდენ ლექსიბი მოყვანილი, რაც ჩუბინაშვილის „ქრესტომატიაში“ იყო. (იბ. 1885 წლის გამოცემა, ტფილისში).

არც ერთ ამთვანს არ უცვნიათ ლირსად მოეთავსებინათ ბესიეს თრი უდიდესი ნაწარმოები: პოემები „რძალ-დედამთილი“ და „რუსის ბრძოლა“! ასევე მცრავ და რამდენიმედ შეუმოწმებელი ცნობება ბესიკზე მოყვანილი ალ. ხახანაშვილის „ლიტერატურის ისტორიაში“ (მოსკოვის გამოცემა, 1901 წ.).

ამ რიგად ერთ-ერთ რიგიან გამოცემად უნდა ჩაითვალოს მარტი ს. გორგაძის რედაქციით 1912 წელს „ქართ. სიტყვა-კაზმ. შეტრლ. საჭ. გამოცემა“. ს. გორგაძე დიდი სიყვარულით და ხალისით მოვკიდა სა-განს, მაგრამ ზოგ რამეში ისიც დაუძლეველ დაბრკოლებათა წინ დადგა.

პირდაპირ გასაოცარის, რომ ეს შედარებით ახლო წარსულის დიდი მგოლანი, ასე განშორდა საქართველოს დღეის სინამდიდოებს, რომ პირადული ცხოვრების მოსაკრაში ნაშთები, რაც გახსნიდა ბევრ უცნაურ და გაუგებაზ ხაზებს მის ნაშერებში, არაფერი არ დაგვიტოვა. ეს ადამიანი ხომ მარტი პოეტი არ იყო, არც მეფის კართა შემთხვევით დაახლოებული საზანდარი ყოფილა, რომ საითოვასავით მარტო კანტი-კუნტი ამბები დაშორენილიყო მის შესახებ.

ადამიანი გამოსული ლიტერატურული ტრადიციის მატარებელი ოჯახიდან, შეილი სასახლის მოძღვარის და ცნობილ მოღვაწე-რიტორის ზაქარია გაბაშვილისა, (დიდ ანტონ კათალიკოსსაც რომ სძლია და რესეტისაკენ უჩინა გზა, ხოტების და სატირების მშერლისის ის. „კატის ომი“) ძალიან ახლოს მდგრაծი ერევანის ოჯახიან, მის მწიგნობაზ ლიტერატურულ შეილებთან, მის პოეტ ქალებთან, პოლიტიკური მოღვაწე, დავით 2 პირველი მდივანი, სოლომონ დესანა, წარგზავნილი ჯერ სპარსეთში და მერმე რესეტში სავანგებო მინდობილობით (რესეტში უკვე დავით მერმეს დროს*). და ჩვენ არ ვიცით, როდის და სად მიიც-

*) ბ. ზ. ჭიჭინაძის მოწმობით ახალგაზრდა მგოსანი ერევან მეფეს თოთქოს სპარსეთშიაც კი გაეგზავნოს ყაენის წინაშე სახელმწიფო საქმეებისა გამო. ამ ცნობას უკრიტიკულ იღებენ ალ. ხახანაშვილი და ს. გორგაძეც. საფიქრებელია, რომ ზ. ჭიჭინაძეს ეს ცნობა პლ. იოსელიანა-



ვალა ეს უცნაური ადამიანი, რომელსაც უწყალიდ სწვევდა წმინდას სიყავარულის ალ და რომელმაც ტუილისს ბაღები და შემდგე მარტინ ჯუთასის გორაკები და მწევანე მინდვრები სევდის ხევბით გააყრიც.

ჩვენ თოთქმის არაფერი არ ვიცით მის შესახებ და უანგარო, უცნაური (და ცოტათი უსისტემი) მოლვაჩის ჭ. ჭიჭინაძის მიერ სადღაც, როდესაც ამოკითხული ეპიტაფიაც რომ არა გვქონდეს, ჩვენი შერტვება უფრო გაზრდებოდა.

ეს ეპიტაფია (რომელიც ვერც ბ. კაკელიძემ, ვერც ს. გორგაძემ და ვერც სხვებმა ვერ გაიგეს, თუ სად იპოვა ჭ. ჭიჭინაძემ), ამბობს, რომ მათ-სანი მიიცავალა ჭ. იასისა 1791 წელს*).

მაგრამ ამ ცნობას ეჭინააღმდეგება ბესიკის მისი ისახების (რომელიც ავრეთვე მწერლობას ემსახურებოდა და „ანბანთა ქება“-ც დაწერა თე-იმურაზ მეორის ქალის ელისაბედისათვის მისაძღვნელად) ცნობა, რომლის მიხედვით ბესიკი თოთქმს ჭ. კრემენჩუგს გარდაცვლილიყოს და იქვე დაესაფლავებინოთ. ეს საკითხი დღემდე გამოურკვეველი დარჩია და პოეტის ტრალიკულ ბერის სიმბოლიურ გამოხატულებას უფრო აღ-რჩმავებს... ვიცით მხოლოდ, რომ მიიცავალა, როცა იგი „დაბადებიდამ 40 წლისა იყო“. მართალია მან ათი წლით აჯობა მისს მომდევნობიდან დიდ პოეტს ბარათაშვილს, რომელმაც უცხოეთშიერ 30 წლისამ დალია სული, მაგრამ მისს ძელებს 47 წლის შემდეგ მანც ელიჩა სამშობლო მიწის წილში მოსვენება, ხოლო ბესიკის ნეშთი კი სამუდამოდ შეუერთდა კინ იცის მოლდავის თუ უკრაინის მიწას...

მაგრამ თვით მისი გულის საიდუმლოებაც ნელ-ნელა თუ გვეხსნება და დღესაც ბევრია კიდევ მისს ლექსებში, რაც ამოცნობას და „დადგენის“ ითხოვს.

ერთი ასეთი ეპიზოდი ბესიკის ცხოვრებისა, მისი პოეტური ქმედო-

დან ან დავ. რეკტორიდან უნდა ჰქონდეს მიღებული. პრ. ჭ. კეკელიძე კი უარყოფს ამ ცნობას, თუმცა საბუთად მარტო ის მოჰყაეს, რომ ასეთ ახალგაზრდას (დაახლოვებით 20 წლისა; კეკიანი მეფე სერიოზულ საქმეს ვერ მიანდობდათ (იხ. ქარ. სიტყვ. ისტორია ტ. 2 გვ. 474), მაგრამ თუ მართლა საეჭვოა ბესიკის 1772 წლიდან ერეკლეს სასახლედან გან-დევნა, შეიძლებოდა ეს დესპანობა მგოსნისა შემდეგაც მომხდარიყ.

*) პლ. ისახელიანის ცნობით კი 1793 წელს მიცვალებულა (იხ. ცხრ-ვრება გიორგი მე-13-სა).



ბის ყველაზე ძლიერი და ტევადი ამოძხილი მარტო დღეს გავვეხსნა შე
თითქმის ერთ-ნახევარ საუკუნის შემდგომ და ვინ იცის — როდის ატარებული მომენტები
იწურება „ამბები ბესიკისანი“, თუ ასეთ ნელი ტემპით იარა მისმა შე-
სწავლის. ეს მთავარი „სიტყვა“ ბესიკისა, რაც მთელ მის შემოქმედებას
სულს უდგამს და პოეტის ფიგურას ტრალიკულ იქნით მოსახს ანა დე-
დოფალია... და ამ ანამ „დასწევ“ 40 წლის მგონანი და უდიდესი, უძი-
რი სიყვარული საფლავში თან წააღებინა. ამ ანამ დაუბშო მგონანს სი-
ყვარულის კარები და დასვა მის „დარაჯად“ და კეთილშობილ რან-
დათ. მართალია ანას სახელი უკვდაგჲო ბესიკა, მაგრამ ამითი არა
ეშველი რა ჩეენს „დაბნეულობას“ და არ იქნა ვერ გამოიჩევა დღემ-
დე, თუ ვინ იყო ეს ანა, რომლის გონებამ პოეტი „მიამსგავსა მილეულ
მოვარეს“? ზ. ჭიშინაძემ (ხოლო უფრო ადრე კი მვონი დავით ტეკტო-
რიმა) შექმნა ერთგვარი „მითოლოგა“ ამ ანას შესახებ, რომელიც ბე-
სიკის მკვლევართ სინამდვილედ ჩასთვალეს და ნახევარ საუკუნეზეც
მეტი ურყოველად იდგა ეს „ანა“ მაღალ კვარცხლბეჭერე. რატომლაც
ყველამ ამ ლეგნდას უფრო დაუჯერა, კიდრე ოვით ბესიკს და „დე-
დოფალი“ ანა „ბატონიშვილად“ გაღანათლი. ალბად ინტიმობის გრძნო-
ბა უფრო ლაპარაკობდა თეიმურაზ მეორის და ერეკლეს ოჯახთაღმი
და ყველის სურდა ბესიკის ანაც უეპევლად აქედან გამოეყანა. სასახ-
ლეში კი სხვა ანა არ მოპოვებოდა, გარდა თეიმურაზ მეორის უფროსი
ქალისა, რომელიც დიმიტრი რობელიანს ჰყავდა ცოლად და დაქრივე-
ბის შემდეგ (რაც კ. კეკელიძის ზედმიწვენითი გამოანგარიშებით 1772
წ. მომხდარა), თავის ძმის ერეკლეს ოჯახში გადმოსახლდა.

აი, თითქოს აქ უნდა გაბმულიყოს ამ ბატონიშვილ ანას (ორბელია-
ანის ქვერივის) და ბესიკის შორის რომანის ქალი და მასზე უნდა ეთქ-
ვას პოეტი ათასაირად გაფერადებული და ვნებით დამთვრალი სიმღე-
რები სიყვარულისა. სამოკურაათიან წლების გასულს, ბესიკს ჩევ იმ-
რეთის კარზედ ვხედავთ. სოლომონ პირეკლეს ის დიდი ბატივით მიუ-
ლია, წარჩინება და მმეული უბოძებია და შემდეგ, 1779 წელს საიდუმ-
ლო დავალებებით საბარესთშიაც გაუგზნია.

შეიძლება ეს გადასვლა ერეკლეს კარიღის იმერეთის შეფის კარზე
სრულად ბუნებრივად მოხდა და თვით „რომანი“-ს განვითარების პო-
ტენცია ამას არც მოითხოვდა. რა გასაკვირველია, რომ ბესიკი საყვა-
რელ მამას, მწიგნობარს და ლიტერატორს, რომელიც დიდ პატივში
იყო სოლომონ პირეკლით. სწეროდ და იქ სასახლეს და მის წარჩინე-
ბულო დაახლოვებოდა. ? მოსნის მამა ზაქარია მოძღვარი ხომ ანტონ
კათალეკისი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ (ანას და ირაკლის მამის
თეიმურაზის გარდაცვლის შემდგომ, 1762 წ.) იძულებული გახდა ქართლ



-კახეთი მიეტოვებინა და იმერეთში ეძებნა მფარველობა. მაგრამ ქართული რო იყო სენსაცია; საჭირო იყო ბესიკის იმერეთში გადასვლა ტესტშირის შეკრების მანის ხლართობან დაეკავშირებინათ და აქედან — ლეგენდა: ბესიქს „შე-ვნი ზაშვნი“—ს დაწერისათვის ისე გაჯვარება მცვე ერეკლე, რომ და-ჰქონდა მისი და „მეტეხის ციხიდან გადავდება“ უბრძანებია. განა ეს და-საჯერებელი იყო გონიერ და სამართლიან მეფისაგან, რომელიც ასე უხვად აჯილდოვებდა და მფარველობდა მგონებს, საზიანდრებს და აშულებს?, რომელმაც თავის სასახლეში ქართული პარნასი შექმნა, ფართოდ გაულო მგონანთ კარები და რომლის სარდლებიც კი პოეტობ-დენ?.. მერე რა რომ სიყვარულით დამატერიალმა ბესიქმა მისს დაზე, ანა-ზედ მშევნიერი ლექსი სთქვა? განა აღრინდელი ლექსიბი ანასაღმი მი-ძღვნილი უფრო ძლიერი გნების მატარებელი არ არიან? ან თუნდა მა-რთლაც მოსცემოდა მოთელს ქალაქს სიმღერად ბესიკის ეს ახალი ლექსი: „ზანიშაშვნი“, რა იქნებოდა აქ ახალი ერეკლესათვის? განა ასევე გა-ვრცელებული არ იყენებ მოთელ ქალაქში ბესიკის სხვა ლექსიბი და განა ასევე არ მღეროდებ: — ტანო-ტატანოს ცრემლით ისარს, სევდის ბარს შეველს, მე შენი მგონებს — და მრავალ სხვებს? არა, ერეკლე ამისათვის აგრე სასტიკად არ მოეცყრობოდა დიდ მგონანს; და რომ ეს ასეა ამაში დავრწმუნდებით უფრო გვიან, როცა ბ. კ. ეკელიძის მიერ ზედმიწევ-ნით დალაგებულ და ერთი მეორესაგან გამოყვანილ დატებს გავეცობით.

ირკვევა, რომ ბატონიშვილი ანა, როცა ის დაქვრიცდა 1772 წ. ოთა-ნაკლებ 56 წლისა ყოფილა, ხოლო ბესიკი ამ დროს 20 წლის თუ იქნე-ბოდა, და განა ამ შემთხვევაში პარადოქსალურად არ გისმიან ამ ჭაბუ-კის ბაგედან: — „ვარდი ჯერად უშელული, ვარდი მოცინარი იაგუნდი, პაწაწანა“... და ათასი ამგვარი ეპიტეტები ამ 56 წელზე გარდასულ ქვრივ ანასაღმი და განა უცნაური არაა წასჩე თქმა, რომ

„ევლავ მომქულა მისმა ცალმან
და წელთა მიმოტანამან?
კოკობსა ვარდს ნარკიზმან
აპკურა ცრემლი ანამან?“

ან და

მისმა მგვანებან პაწაწინამან
ალხინა გული“...

რასაკვირველია, ეს ანა ბატონიშვილი არ უნდა ყოფილიყო ბესი-

յուս և սարհցուալու սացան*). Մշեմծլցի ամուտ ոչու ալ. ხաხանա՛Շվոլուս „Մշ-
մուզլուուլու կը ա-“ զամոնից զեցաւուլու, հոմի յէ անձ գառ քո առա, խալու՛Շվոլուա՛
դացասա օրացլուս. (ոե. միու հուսուլու զամուցմա “խարտուլու լուր. նու պարագաւա
Ժառուուս”)**)) մացրամ յրեյկլցը եռմ առ կառլու սետո յժու! — ԿՅԵ-
լու միու խալու հիշեն յարցագ զուբնութ դա ծեսոյու յշրիզ անձ առը յր-
տո ամստցան առ յշգցի բա...»

Մշեմծլցի յէ լացի գացու հրայրուուսացն մուգուուցք, հոմլուս
եյլունա՛Շերից ատ զմտացրեսագ մուալից իշենամց ծեսոյու լայլեցմա;
ույց հուցորաւաւ ամեցի ծեսոյու միշրուագ գանդուենուս յրեյկլցը մոյր,
հոմելուց աշազ գացու հրայրու մոյշերից ա... կուզել Մշեմենեցամու,
ձի. կը յելուս ձարեցի միժունա Մշշուգուրցելենու Մշոյինեն անձ ՝կուզու-
մա՛Շիոնունուսաւոցնեն“, հոմ ան յէ թլցի սնճա Մշերիւունունաւ, ան
տցու ան սամք սեցան յանցաւաւ. դա ծեսոյու պայլունց սփրու նշմո-
նիցնուու մյուլուցարու և. շորհցացը ամ յվի յշուրսույուս ջրուս շուլուս Ծյուո-
լուու գամշորդա յրեյկլցը սասակլցս դա սայրուու Ծյուլուսսաւ.

Մշեմծլցի կալուցան միուցան միշրուուս սամեցու յարչեց, սաւ Քա-

*) ՁԻ. կը յելուուց սագաւու մուինու տցու ՝ուակրու“ ան ծաթոնի՛Շվո-
լուս մուլունշենա Մշեցլուս. ամուտ Մշեմծլց իւ մարտունաւ ձասաշերից մուլու^ա
գանմարհուց, հոմ „Շացեն Շա՛Շենու... Շացա մուրտուլ մուլանշենցի քո առա
շուլուսի մունաւ, հոմելուուց յրտու տույլու ան ծաթոնի՛Շվոլու սնճա յու-
գուունու, առամեց մշունուս սարհցուու որու Շացւ տցալու յէ սփրու մերի
լունույուս դա ոյրու ամելցը ամ լոյլիս: „Շացեն Շա՛Շեն Շացւ ցալուս Մշե-
սերանու“, յէ ցալուս Շացւ Քամիշեցիսացն ձայնին մշունուս սարհցուս.
„մրիւունաւ մեշենու... Շաց եաշըրդ մուսունու, յշուրհաւ մինենացն, յրտ
յրտուս միմցաւարն, յրտ პունու, ունու, ունու յրտու Մշեսպարունաւ մո-
մանունու...“...

**) Ձ. ալ. ხախանա՛Շվոլու տցուս յահուլու ցամուշլուց յուլու ա-
սեցացրեցի ասուլու անձ (?) Մշեսակցի դա մոցցուերունաւ, տույլու հույս
ծեսոյուս դա անձ սոցցարուլու ցամուշլուցնեցնուլու ծեսոյու ամուսաւուս ձայ-
շուրու յուլուց (!). Մշեմծլց յէ ան տույլու գոմուրի որելունանուսաւուս
մոյտեղցեցուու դա ամաս Մշեմծլց ծեսոյու սեցա պուլուս Մշերտցանչ ելու ա-
լուս. մերաւ հումանքուլ դա մերք յուրից մուտաւաւ յէ ամեցու Մշեմացնուլու,
մացրամ սինամլցուու սրուլուաւ դա մերից մուլու. (ոե. ხախանա՛Շվոլուս յահ.
սուրպույրեցիս ուշուրու, ցը. 521).



ქარია მოძღვარი და მისი შვილი ბესიკი ასეთ პატივში იყვნენ ჯურაფარისა... მცინა მცინა თავადობაც კი მიღო... სოლომონ პირველის დროს დესპანი, დავით მეორეს მარჯვენა ხელი და სამეფო მდივანი ბესიკი საპატიო როლით იყო აღქურვილი სასახლეში და აქ. ჩასკვირველია, შესაძლო იყო მის გულს გაკვროდა სიყვარულის ძლიერი ბრჭყალი დავით მეორის მეუღლის, მშვენიერ ანა დედოფლისა. ის იყო ქალი მათე ორბელიანისა და აღბად პოეტი მას ჯერ კიდევ ქართლიდან იცნობდა, საცა ასე დაახლოებული იყო ორბელიანთა ოჯახებთან. ბესიკს მისი საუკეთესო ლექსები ხომ სარდალ დავით ორბელიანისთვისა აქვს მიძღვნილი და მას ინტიმურ და უახლოეს მეგობრადაც სოფლიდა...

ამ ხანებში ბესიკი უნდა ყოფილიყო 30-31 წლისა, ხოლო დედოფალი ანა კი 18 წლისა, ასე რომ მათი სულიერი კავშირი და შემდეგ სიყვარულის აღზე განვევა ადვილად ასხისნელია. შეიძლება ბავშობდან-ვე დაახლოებულოთ აქ გაელვით ნამდვილი, ღრმა ვნება და გრძნობა, მაგრამ, რასკვირველია, ეს სიყვარული არ შეიძლებოდა მათოვის ბეჭდნიერების და ნეტარების მომგერელი ყოფილიყო... ამიტომ მეტი სიმტკიცე დედოფალმა გამოიჩინა და გრძნობა სულ მთლად ჩაიხშო, ჩაილა. ბესიკსაც მალე აგრძნობინა ეს დედოფალმა და სიყვარულისაგან გაფაუბულ პოეტისაგან თავი შორს დაიჭირა; ამიტომ განმეორებით მოსთკვამდა მგოსანი:

„მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა,

როდის იქნება შემომხედო გულსა მწირებსა“?

„თვით შენმა გულმა კარგად იცის, ვარ შენი მკედარი, შენმან სურველმან ჩამოლია გული კლდე-მყარი...

პირველ შექრისა გემო იყავ, ახლო ხარ მწარი,

სამართლინი გზა დააგდე, დამთხვევ კარი..

მე ტკბილის გულით შემოგყურებ, შენ მემალები;

გინდა რომ გოველდე შეუზრელი, არ გებრალები!

რამდენს რიგით ცეცხლით დამწვე, მით მშირს ძალები!

შენსა ბესიკსა შენი მიჰკლავს ცეცხლის ალები.“

(ეხ. „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“).

აღბად დედოფალმა თუ მიუჩინა მცინანს ადგილი არა თვით „ბალში“, საცა უხვად აფრქვევდენ სურნელებას, „ვარდის კონები“, არა-მედ მის გარედ მოშორებით... და ამიტო ამბობს გულმოკლული პოეტი:

„ბალის კარს დაუჯექ შენაძალები,

ცრემლით აღმეცხენ მწირნი თვალები,

ვიყავ ბედისა დასაბრალები...
მეც მომხვდა ხოჯლის შკვლოლი ბრჭყალები“...

საფიქრებელია ისიც, რომ თვით დედოფალმა ანამ მოუწყო ბე-
სიქს მისი ხელმეორედ დესპანობა. აღმად დავით მეცეს ანას თანხმობის
გარეშე არ გაუშევია შორეულს რესეტში ერთგული მღივან ბესიკი;
უეჭველია, დედოფალი ძალიან მოიშონებდა ამ აზრს (თუ ის მთლიად მი-
სი არ ყოფილი), რომ ამ გზით როგორმე თავი დაქსნა ჭირვეულ პო-
ტისაგან, რომელიც დაეწენებით სდევნიდა მას დაყვარულისთვის და-
ხშული კარების გასხნას მოსთხოვდა. აღმად ჯერ კადევ სულ ბავშვე
და გაუბედავ დედოფალს ოცებდა ამ გაგიებულ მგოსნის გადაკრული
შაირი, ანთებული თვალები და კნებინი ბარათები...

„ოდეს გნახვიდი, შევიმატნი ათასი წელი,
აწ დამლევიან ყოვლი დღენი; უცხოდ ვარებო“...

უთვლის პოეტი დედოფალს.

და იმედ გაცრუებული, შორს გარდახვეწილი მგოსანი შესჩივლებს
სატრიოს, საყვედლურსაც ჰქიადრებს, რომ თავიდან მისს გულში რაღაც
იმედიც კი ჩაუნერგა და მერმეთ კი უწყებლოდ გასწირა და გარდახვეწა:

„მღიმარის პირით წამიპარე, დამიდგი მახე,
ასე მეგონა შემრჩებოდა ეგ შენი სახე;
ანთებულს ცეცხლსა შესაწვევლად ხელი შევახე.
დამწვარი მაინც შემიბრალე, ძესიკი ნახე“...

ბესიკისათვის სხვა ქვეყანა არ არსებულა, ქვეყანა რეალობის, ყო-
ველ-დღიურობის — რასაც ჩეკენ სინამდვილეს ვეძახით. მისთვის ემპი-
რიულობა უკუღმო იყო შებრუნებული და მეფე დავითის მთავარი მდა-
ვანი და სახელმწიფოს დესპანი ის უფრო მისი „ქვეშეცნებული მეობით“
თუ იყო, ხოლო საკუთარ რეალობის (ჩეკონთვის კი ირკონალ) ქვეყა-
ნაში ის მარტო თავისი სიყვარულის „მდივანი და დესპანი“ იყო, თუმ-
ცა მეფის დავალებას ეტყობა კარგად ასრულებდა ეს გაორებული პი-
როვნება.

სიყვარულის საგანს მოცილებულს სიცოცხლეც დაკარგულად და
უაზროდ მიაჩნდა და (მისი მეორე ნახევრის პრაქტიკულ საქმიანობის
დროსაც) მისი პოეტური არსი სიცალიერეს დასტიროდა:

„გამტყორცნა სოფელმან, მოვმორდი მზესა,
დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად!
რაყიფად შემექნა ბეფიცე ჩემი...“

პოეტისათვის „გამოჩნდა სოფელი უბედობისა“, მას აღარა აქვს
ცხოვრებასთან დამაკავშირებელი ენერგია, არც ხალისი, არც ნდომა,



შას შემდეგ რაც დაპკარგა „უმთავრესი“, რაც სხვათაოვის არც თუ ასე
მუდამ „სევდის ლაშქარი“-ს შემოსევის უძრის. მისი უსატრფომლუ ჭრაში შედება
სებობა ჰეშმარიტად უმზეოდ ქენობაა ნორჩი ყვავილის.

„სად მიღრკების მზე, სად უჩინარობს?
სად სოოეს ნათელსა, სად მონარნარობს?

დავიარგე სატრფო ჩემი (კხოგრება,
დავიარგე განტბრომა და გახარება,
დავიარგე სამოთხე და უკვდევება“...

და განა გასაგები არაა სასოწარკვეოით მონაკვნესი, რომ „ელვათა
კრომისა, მუდამ ხსოვნას ვერ უძლო გულმან“... ჰეშმარიტად მეტად
უცხო, ტურავა და უცნაური უნდა ჯოულიყო ეს ბესიკის მატკვევბე-
ლი დელფინი, მისი ვულის „ხელწიფე“ და მასზე ოდნავედ მუდამ
„შუტლი“ და განშორებული... ბესიკის მის ასწერად გრძნობისა და ენის
მჟევრობა არ დაკლებია და განა ასმდენჯერ! (მაგრამ მაინც უწყალო
იყო გული ამ დელფინისა).

„ტან-ნაკეთ სრულო, ალვად რეულო, შაშპარ-სოსანო,
ნაროო-ზმირინო, ხმა-სირინო ამოდ ხმოსანო,
ზილფო კასიავ, ნამკ-სასიავ-კინამოსანო,
დათხულ-დალულო, ბროლ-და-ლალო უფასოსანო
შენსა ვერ მჟევრეტსა თვალთა სდიან ცრემლი-წურგილი!“

ამ შესანიშნავ დელფინის სახე უფრო მოკვეთითაა მოცემული ერთ
პატარა მედალინშ, რომელიც ამხელს,— (ეს მერამდენედ?) — თუ აა
ღვთაება ყოფილი ეს ანა დელფინალი მგონისაოვის:

„მოგ შორდი სულსა, აღნავ შემჟულსა,
ბრენ განკაზმულსა, ანდამატ გულსა,
ჩემთვის მოსრულსა, გონება-სრულსა“...

აშკარაა დელფინი ანა არ იყო დაშორებული პოეტის ესთეტი-
ურ-მხატვრულ ღელვათავან, მას კარგად ესმოდა ძიება მგონისა და
ალბაზ ბესიკის, როგორც პოეტის ჰიდი მოყვარული და პატივისმცემუ-
ლიც იქნებოდა. ორბელიან-ყაფლანიშვილთა წრეში აღზრდილ დელ-
ფინს, აშკარაა უხევად გამოყვებოდა მწერლობისაღმი თაყვანისცემა;
ის დრიდარი ტრადიციი კართულ ლ-ტრერატურისა, რამაც დიდი ხნით
დაისადგურა ორბელიანთა წრეში, ალბაზ თან წამოიღო ანა დელფინა-
ლიმა იმერეთის კარზე თავის მზითევთან ერთად და ზაქარიას და ბესიკის
დაახლოვება ხომ უფრო გაულვივებდა ამ ჩანასას. მაგრამ მგონის, რო-
გორც ხელვანის მოყვარული და მასთან ტკბილად მოუბარი, შემქუ-
ვი, ეტყობა მარტო ლექსებში ამლერებულ ვნებას და რითმებად და

ფერებად გარდაშლილ სიყვარულს ეტორტმანებოდა, უნათესავდებოდა, ხოლო ეშით დამთვრალ ბესიქს ეს „ტორტმანი“ გრძნობათა ოქანეში ისვრიდა და იქედან უშედეგოდ „ს.ო.ს.“ აძახებდა. ნაპირის მდგარი დელფალი ოკეანეს დაცხობა და პოეტის გადარჩენა რომ შეეღლო, მხოლოდ დაკინვით უპასუხებდა „გრძნობს მორევში“ შორს წასულ ბესიქს. ამიტომ იყო, რომ პოეტი მას „მახის დამგებს“, „მლიმარის სახით წამპარავს“ უწოდებდა.

და ამიტომ დასხერდა გულ-დაღალული მგოსანი:

„ჰე გულო კრულო, ისრ-კრულო, ბედსა ხაჩ მწარეს!
გიხმს თავო, ზლვათა შესართავო, ჩბოდე მისს არეს“...

ანას ბესიქი როგორც მგოსანი უყვარდა, მაგრამ ხელი პოეტი ჭალის ამ „გაორებულ“ გრძნობებში გარკვევაზე უარს ამბობდა და დე-დოფალს ძველებურად საყვედლურით ავსებდა:

„რად შესცვალე ევი გულნი,
ანუ რად მიცვ შენგან ობლად?
სული შენ გაქვს მას დღეს აქთ,
ოდეს ვიყავთ ორნი მწყობრად!“...

ეს „გაორებითი“ მიღომის მიჯნურისა უფრო მოკვეთით და მეტი სახეობით აქვს ბესიქს გაღმოცემული მეორე ადგილას:

„შენის ბაგისა ორნა მეცნეს: ტკბილი და მწარე;
ორკუცად შენი სიყვარული თვას დამიფარე!“...

მაგრამ მგოსანმა მარტო „ტკბილის“ დაწაფება მოინდომა და დე-დოფალმა პოეტიც კი, მისთვის საყვარელი და თაყვანსაცემი პოეტიკ დასთმო და არ გაიკარა.

ტრიალული და მწვავე იყო ერთიანთვის განშორება, მიჯნურისა, გრძნობის „ხელმწიფის“, ხოლო მეორესათვის კი წარმტაცი შიორებით და ხმოვანი ფერებით დატვირთულ მგოსნისა... მაგრამ ხანდისხან განშორება უფრო მეტი მეტყველებს, ვიდრე განხორციელება, მიღწევა საწადელისა; განსაკუთრებით ასეა ეს ხელოვნებაში და დარჩება ურყევებად... იქ, საკუ სიყვარული დაბრკოლებებს არ ჰპოვებს, საკუ არა თუ ხელოვნების გამაფაქტორებელი სულიერი დაბრკოლებანი, არამედ ჩვეულებრივი—ობიექტიური წინააღმდეგობაც კი არ ელობება, იქ ხელოვნება ზეფაპირზე დაცურას, უფესეს და უცხოვლოა. ასეთი შემოქმედება წარმავალია და უფერულია... ბესიქს ამ მხრივ ბედი ჰქონდა თავის უბრობაში: დელფალი მას სიყვარული არ აპერა, მისი გული დაუცხრომელი ცეცხლით აანთო და აა, საუკუნეზე მეტია იწვის ბესიქი და ანათებს ჩვენი მწერლობის გზაზედ. მაგრამ მგოსანმა ეს კურთხეული



დედოფალიც უკვდავ ჰყო და ჩენც გვიყვარს ის, ვისზედაც პოლიტიკური მიმდევარი იტყოდა:

„მონა ვარ მისი მუდამ უარ
და მისა შემამკობელი, —
იგია ჩემი ხელმწიფე
და ჩემი დამადინობელი!“...

შეიძლება მართლაც იყო ამ დედოფალში რაღაც დემონიური, მგრა-
სნის მტანჯავი და გამოუყონბი, რომელიც ტებილ „უბნობდა“, მუდამ
„ლახვარის ცემაზედ“ გადადიოდა; შეიძლება ჰქონდა საბუთი ეთქვა
ბესიეს:

„მე გული სრულად შემოვწირე, შენ ხმაც არ გამეც,
შენ ჩემი ჭირი გიხარიან, — მე ვსტირ დღე, ღმეც!“...

მაგრამ ამით დედოფალმა დაწევა მარტო, „ბესარიონ გაბაშვილი“,
მაგრამ განამტკიცა და აამალლა „ბესიი“ და ჩვენ არ ვაძაგებთ დედო
ფალს, 40 წლის მგოლანი რომ შორს გარდაცვეწა და უციობ ადგილს სა-
მუდამოდ დაუხუჭა მთვარის და შვიდ მნათობის მოყვარული თვალები...

და აი, სადოლაც კრემენჩუგილან და იასიიდან კიდევ გაისმის ობოლ
სიყვარულის ნაზი ქვითინი, აღმოსავლურ ფერებში გაშლილი, ღაუც-
ხრომელი ცნება და ისევ იმ ძეველ ნაცნობის, დახვეწილის ქართულით
ვერდებს ის დედოფალს:

„უსურვაზურად გეხვევი
უმანქოს აღნაგობასა;
ფუქრით გულისად შენთან ვარ
და ვისმენ შენს უბნობასა..
ძოწნი ბაგენი, ჩემნი მდაგენი,
ჩემდა საუბრად აღძარ ენანი!“...

და თითქოს რაღაც ბუნებრივია იმ ჩივილში, რომელიც ერთ-ნახე-
ვარი საუკუნის შემდეგაც გვესმის... არ შეიძლება გაერთება ამ ორ ადა-
მიანთა სიკვდილის შემდეგაც კი და ბესიეს სული ისევ იწვის დაუ-
შრეტელი ალით:

„მე შენისა შორს ყოფნისათვეის
გარს მედების ცეცხლის აღნი!
სამართლის მსგავს, დამწვარ გულსა
გარდამასხი ვარდის წყალინი!“...

- თითქოს გრძნობს მგოლანი, რომ ის ქართველი ერის სადიდებელი
გახდა, რომ მთელი საქართველოს სიყვარული დაისაკუთრა, მაგრამ მა-
ინც სჩივის საფლავიდან უწნაურ ობლობას და სიღარიბეს და მარტო ამ
დედოფალთან შეკრაზე ოცნებობს:

„ყოვლი ქვეყანა ხელთ მჭობეს,
უშენოდ არ მიამების!“

ვიცოდე — შეგვყრებოდე, —
გონება დამიამდების!“...

და განა შეიძლებოდა ბესიკის სულს მოსვერება ეპოვნა, როცა ანა დედოფლისათვის დამწვარი გული, მისთვის შემწილი და ანატირები ლექსები ჩვენ ამ ერთ-ნაერარ საუკუნის მანძილზედ სხვას, შეიძლება ბესიკისათვის სრულიად უცხოს და უზათესავოს მივაწერეთ და მივუძღვნით?!

და ჩვენ ვეძიებდით ანა „ბატონიშვილს“ იქ, საცა პოეტი ანა „დედოფლანზე“ მღეროდა და მის აჩრდილს მისტიროდა. არც თუ ამ დედოფლის ბედი ყოფილა სანატორელი — იმერეთის მეფობის დაცემის შემდეგ ის რუსეთში გაიწყიოს, საცა თან უნდა წაეყვანა იმერეთის ტახტის მემკვიდრე (სოლომონ მეორე, შემდეგ) თავისი პირმშო კონსტანტინე, რომელიც ცხარე ცრემლებით ეველრებოდა ციციანოვს: დაეტოვებინათ თავისს ქვეყნაში, მაგრამ ულმობელმა ჩანერგატმა არ იცოდა შებრალება, საცა რუსეთის დამკვიდრებაზე იყო ლაპარაკი და დედოფლალი და კონსტანტინე რუსეთის განკარგულების თანახმად ჩრდილოეთისაკენ გაისტუმრა*, საცა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის შეილნი და დედოფლალი უკვე აღრევე გადაესახლებინა. ბრინასეს მოწმობით, დედოფალი ანა უკვე ლრმა მოხუცა 71 წლისა გარდაცვლილა რუსეთში.

ასე დაშორდენ ერთმანეთს სიკრმეში ეს ორი საინტერესო პიროვნება, რომელთაც საქართველოს ლიტერატურაში ნათელი გაქანება მოგვცეს განუხორციელებელ, ძლიერ სიყვარულისა.

და ჩვენ დღეს შეგვიძლია ბესიკის სულს დამშვიდებით ვამცნოთ, რომ მისი გულიდან ალმოცენებულ კვავილები იმ საფლავზე მივაჭის, საცა ეკვთხინია; და მის ელვარე სიმღერებს იმ ადგილას მივმართავთ, სადაც დედოფალი ასაფლავია, რომელიც მან უჟინობად შეინახა და რომელსაც ჩვენ დღესაც ისევ კხედავთ, როგორიც ის იყო ამ ერთ-ნაერარ საუკუნის წინ „უებრო დანატული“, „ფერად პირი ზამბაზისა“, „შავნი ხალნი ზედა კერილად!“...

*) დაწვრილებითი ცნობები ამ დედოფალზე და მისი ალექსანდრე 1-ან და ციცანოვთან მიწერ-მოწერაზე, აგრეთვე მისი ვაჟის, მემკვიდრე კონსტანტინეს შესახებ მოიპოვება არქ. კომისიის აქტებში, ტომი 2.



ამ დელფინის ლიტერატურულად გაცოცხლება, ნამდვიურა საკუთრივად
აღმოჩენა ბესიეს საუკეთესო მკვლევარს ეკუთვნის*, მას შემდგენ „შეკრულება“
„ანა ბატონიშვილზე“ სკეპსისი პრ. კეცელიძემ შემოიტანა.

ამ რიგად ეხლა სრულიად დადგენილად უნდა ჩაითვალოს. რომ
ბესიეს სატრიუფიალო ანა იყო მართლაც დელფინი იმერეთისა და არა
ანა ბატონიშვილი**, და ერეკლე მეორესი. ნულარ გავიმეორებოთ აწიც
არქაიზმებს და ნულარ შევაწუხებთ კიდევ ბესიეს ამ ძევლი ლეგნდებით.

და თუ ჩერებ ანა დელფინს მოვასხნიერთ, უძველად შევეხებით
ბესიეს სათუთ გულს, საცა მან ანას უძირო სიყვარული შეისვა... და
შეიძლება ამით გასრულებდეთ ვალს უკვე „ბესარიონ გაბაშვილის“
წინაშე, რომელიც მართლაც მოკვდა ამ სიყვარულით და უკანასკნელად
გვიხვეა:

„მეცა გახსოვდეთ მცარე დლიანი
მომიგონებდეთ ფერ-ნამკრთალებსა...“

ხოლო ბესიეს ეპიტაფია არა აქვს, რადგან ის უკვდავია...

*) ს. გორგაძეს ამ საგანზე მოხსენება წაუკითხავს 1925 წ. საქართ-
ველის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში (ოქმი 210), სა-
უა პირველად გამოუთქმას აზრი იძახე, თუ „რომელი ანა იყო ბესიეს
ტრაგობის საგანი“.

**) პ. გრ. ფერაძეს ბოლოებას სამკითხველოს ქართულ ხელნაწე-
რებში ომოუწენია ბესიეს ერთი უცნობი ლექსი, გადაწერილი სხვა
ლექსებთან ერთად ლ. ისარლოვის მიერ. როგორც ყოველი ახალი აღ-
მოჩენა ამ საინტერესო მცნისის შესახებ, ეს ლექსიც დართა საყურად-
ღებოა და ბ. ფერაძეს წრფელი მაღლობა თუ ეომისი მარტო. მაგრამ
ლექსი იმდენად სუსტია, რომ ქნელა ბესიეს ლექსებს შორის მისა მო-
ქმედვა, თუმცა სრულიად სამართლანად აღნიშნავს ბ. გრ. ფერაძე, რომ
ლექსის წყობა და ტექნიკა მართლაც ბესიკურია. ამავე დროს ბ. გ.ჭ.
ბესიეს ტრაგობის საგნად შეცდომით ისევ ანა ბატონიშვილს სახაეს,
რადგან ს. გორგაძის უკანასკნელი გამოკვლევა მისურის უცნობი ყო-
ფილა. ასევე სწორად არა გადმოცემული დატა ბესიეს ტფილისიდან
გაძევებისა (თუ ეს გაძევება საერთოდ მოხდა). 1779 წ. ბესიე სოლომონ
პირველის მიერ უკვე დესპანად იგზვებდა სპარსეთში ყაენთან, ხოლო
მისი იმერეთის კარზე გადასულა რა თქმა უნდა აღრევე უნდა მომხდა-
რიყო. არც გორგაძეს უთქვამს ეს ასე ბეჯითად, მას ეს დრო 1772-დან
79-მდე აქვს ნავარაუდევი. (იბ. გ. ფერაძის წერილი ბესიეს ახალი ლე-
ქსის გამო, ჟურნ. „ჯვრი ვაზისა“, ნომ. 1, გვ. 19-24).

మిస్. శ్రుత్తిజిద్ది

అశాష్ట భవితవాన్మూలి లుటిపా

మొక్కలు సాయుర్నాలు వ్యోమిల్చి శ్రేష్ఠములుగా, రాసాయినిక్లుగా, మంజులు శ్వాసాసక్యులు బానిలు గ్రేరమాన్చులు లొరిక్యిలు గార్హిజ్వా-దాశాసింహేదా. నీరమి అశ్రిత గీతా అశ్రిత సాక్షిక్రాన. మే శ్రేష్ఠప్రభేది అథ లొరిక్యిలు గాన్చితార్జులిలు శ్వాసాసక్యులుగా, మంజులుగా దా దాఖలుశ్వాసాలుగా శ్రేష్ఠములుగా, గ్రేరమాన్చులుగా ఉండుతారు. గ్రేరమాన్చులుగా ఉండుతారు.

అబాలు గ్రేరమాన్చులు లొరిక్యిలు హిసాక్తులు శ్రుందు వ్యేషించ గాస్చులు సాయుర్నిలు 80-ాం శ్లేషాశి, రంద్రులుసాప లొర్క్రాట్రూలుశి, — క్రెమ్పున్బెంబాశి సాంగ్రంగంత — గమ్మేఘులు నాట్రూర్లాల్సిస్ట్రూలు మిమార్ట్రూల్చులు, మన జ్యాహరు అబాలు దా బంల్రా మంజులు ఇమ శ్రేష్ఠములు స్టుల్సిస్ట్రూలుగా త్వాట్రూలు శ్రేమంజ్మేఘులుశి, రంమలులు మంజులు శ్రుందులు క్రూలుసిప్పించినిలు దా రంమార్ట్రూలులుశిని దీర్ఘమా మిందాడ్చ శ్రేష్ఠములు. నాట్రూర్లాల్సిథి అమిలు సాఫ్ట్సిన్సాల్మిఫ్రేగ్రూలు ఏప్రెండ్రూ త్వాస్ట్రులుగాలు క్రెమ్పున్బెంబాశి, „శ్రేష్ఠమాశ్రేభ్ర్యులు సిన్సిమాల్విల్స్“, మిలు సాక్షులు.

మాశిన్సిప్పులు గ్రేరమానిలు గాన్సాప్రెంట్ర్యూల్చులు సిస్ట్రోఫ్టిం గాజ్యాన్చెంబ్యులు మా ఎక్సోమియ్యూర్మా దా క్రూల్రీట్రూల్చులు గాన్సితార్జ్యోద్యుమి, గామోష్ట్రోప్యుల్మా సాంగ్రంగ్యోట్చే గామార్జ్యోద్యుమి దా ఏర్పొన్చులు గార్హితాన్యోద్యుమి ఏర్త ఉండ సాంగ్రంమింట్టులుశి, అబాలు ఇమించులు మిలు క్రెమ్పున్బెంబాప దా శ్రేసామ్బించ్చులు దా శ్రేసామ్బించ్చులు గామింట్చుబించ్చులు ఇగ్గా. సాక్మార్హిలు గావించ్చుబించ్చులు మ్యుసిప్పాశి — రింబార్ల శ్ర్యూలుశి, జ్యాండ్రాజ్యోద్యుమి — మాజ్స క్రొన్బ్యూర్రిం, మ్బాట్ర్యూర్మాశి — బొయ్ల్యోన్, లొర్క్రాట్రూలుశి — గ్రేర్కాంర్ల క్యాప్ట్రుల్మాన్, రంమ గీ అశ్రిత సామార్టోల్లినాద మింగినించు. దా గ్రేరమాన్చులు ప్రోశ్చిలో, లొరిక్యిలు అబాలు గీ శీత ప్రొవిడా: — ఇస మొమ్పాల్స్ ప్రొవ్రోబ్సాలు, మిలు అబాలు శిన్నార్హిలు, అబాలు సాంగ్రం దా మిలు మిమార్ట్రూలుగాలు గార్క్యోప్పులు స్టోగ్రాల్-ప్రొల్లిట్ర్యూల్రి బసింహి మిలుక్కా. నాట్రూర్లాల్సి ప్రొస్ట్రుల్మా మిమార్ట్రూలుగాలు దాప్పిక్రాన్ అథ బానిలు గ్రేరమాన్చులు మ్బాట్ర్యూలు లొర్క్రాట్రూలు దా గీ గాగ్రాస్క్రేల్లు మ్యుప్పుర్కామ్యెర్రై సాయుర్నిలు మిష్ట్రూల్చులుంద్రై. శ్రీంగార్ అథ దార్శనులు సామ్హ్యేర్లాం అసాంగ్యోశ్చే గామోప్యుల్చు ఇస్యెతి లొరిక్యిలుంగా, రంగంర్హించ అసిను: శ్రేష్ఠాం గ్రేర్కాగ్గా, క్షుగం ఘోం కొఱమాన్స్త్రాల్సి దా రాంగ్యు మాసిలా రింగ్గు, గీ మ్యుసిప్పాశి శ్రాంక్యోప్పు ప్రొల్లిట్ర్యూల్రిలు దా సంగ్రాల శిన్నార్హిలు క్రెమ్పున్బెంబాశి, మిలు మ్యుమ్రై లొరిక్యిలుశి; శ్రమాగ్గులు మంభేంర్లాడ మ్బాట్ర్యూలు శ్రేమింజ్మేఘులుగా శ్రేష్ఠమిగ్గులు, మిలు ఇంద్రియించ్చుల స్ట్రో



ლიერ განცდებს სახავენ და მათ გამოსახატად ახალ ფორმას, ახალ ტექსტურას ახალ რიტმს ეძებენ. ხელოვნების დანიშნულება მათი აზრით არის და-სახა და ჩამოკვეთა იმ არსების, რომელიც არისტოკრატულად განკურ-ძოებულ პიროვნებაში სცოცხლობს და მას, როგორც ეთიკურად, ისე ესთეტიკურად, მოსევნებას არ აძლევს: — მის ფსიქიურ ცხოვრების შეადგინს. ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი თავის ცნობილ „ცხოვრების ბალა-და“-ში ამბობს:

„და ბაეში ღრმა თვალებით,
რომელმაც არა რა იცის, იზრდება და კვდება.
და ყველა იმ გზით მიდის.

და ტებილი ხილი, დამწიფებული წყდება ხეს ლამე,
როგორც მკვდარი ჩიტრი.
ამონდენიმე დღე და ის კვდება.

და ჰერის ქარი განუწყვეტლივ,
და გვესმის სიტყვა, — ვისერით სიტყვებს.
ტანში კი ვგრძნობთ დაღლილობას და სურვილს...

რად გვინდა ჩვენ ეს ცხოვრების თამაში,
ჩვენ, რომელნიც მარად მარტონი ვართ
და მოგზაურობაში არასრუოს ვეძიებთ მიზნებს?!

ამ გზითვე მიდის შესანიშნავი მცირები რაინერ მარია რილექს მხა-ტიგრული შემოქმედება, მელანქოლიურ სულის მარტოობაში, მისტიკურ განდეგილობაში შობილი და განცდილი. ფორმით დამთავრებულ, ღრმა ლექსებში, რომელთა შორის საკუეთებონი შეკრებილ არაან მის თხზუ-ლებათა მეორე და მესამე ტომში („საათების წიგნი“, „სინეტები ორ-ფეუსს“, „რექვიეტი“), რილეკ ზე-არსებას ესაუბრება, მარტოობას ეტრ-ფის, სიკედილს უმღერის, — ესმის ხმა ზეაღმაფრენ არა-მიწიერ მუსი-კისა და მით სცოცხლობს, მიწას მოცილებული.

რაინერ მარია რილეკ მაღალ-ნიჭიერი მწერალია, რომელმაც წა-რუშლელი კვალი დასტოვა ახალი გერმანიის ახალ ლიტერატურაში. დაბადებით ის, როგორც ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი, აქსტრიელია და გარდაიცვალა ჯერ კრდევ ახალგაზრი 1926 წ. თავის მშვენიერ „წერი-ლები ერთ ახალგაზრდა მწერლისადმი“-ში რილეკ ამბობს:

„მხატვარ-ხელოვანის არსება არის: — არსება ხის, რომელიც ძა-ლით არ აწვდის ნაყოფს თავის წევნს და უშიშრად უცდის, — გაზაფუ-ლის ქარიშხალის გადატანით, — ზაფხულის მოსელას. და ზაფხული მო-ვა... კველაფერი უნდა განიცალოს მგოსენბა, — ყოველი შთაბეჭდილება,

უკველი შთანასახი გრძნობისა, გამოუგმელისა, ბნელისა, უნდა ჭარბი შემოტკიცა თარდეს და დამთავრდეს და მოთმინებით უცადოს იმ ღროს, როდესაც მხატვრულ შშობიარობისათვის ყველაფერო მზადაა, — გზა ნათელია“.

ასეთ შეხედულებას ატარებს რილქე „ლექსის წერის ღროს“ და ამიტომ არის ის ასე დახვეწილი, ასე დამთავრებული.

„მხოლოდ მას, ვისაც თავისი ლირა აჩრდილობისათვის უკლერებია, აქეს უფლება დაუსრულდება, უნასწარმეტყველურ ქებათ-ქებისა“ ამბობს მეოსანი ერთ თავის სონეტში.

ამ ორ მეოსანთან ახლო სდგას თავის ესთეტიურ მიმართულებით სტეფან გეორგე, თუმცა ის, თავის ტემპერამენტით, რომელიც ციფია ვით მარმარილი და გონებით, რომელიც უფრო სცვრეტს, ვიდრე განიცდის, სხვა ხაიათს აძლევს თავის მხატვრულ შემოქმედებას.

ჰოფმანსტალი რილქე თბილ გრძნობებით აცხოველებენ თავის ლექსებს, რადგან გრძნობა არის მათი ინთვილდუალური ცხოვრების აზრი და შინაარსი. პირველის ნაწარმოებებზე აშენებს რამარტ შტრაუსი თავის მუსიკალურ შედევრებს, — აქ კი — გეორგესთან — გონება მეფობს, — აქ იკვეთებან ქნიდაკებრივიდ თლილი ლექსები, რომელთაც რილქესა და ჰოფმანსტალის ლექსებთან საერთო ცხოვრების უარყოფა

და თავისითვის დამოუკიდებულ ესთეტიურ სამეცნი შექმნა აქეს. აქ ეს მოთხოვნილება გრძნობათა ღელვის, — აქ გონებრივ არისტოკრატიზმის კი ვ გარდაშვერილების შედევრია ეს გრძნობა. ბევრი ლიტერატორი — და მათ შორის ისეთ ნიკიერი და ცნობილი — როგორიც არის ეხლახან გარდაცალებული შექმნირის მთარგმელი და გოთეს კომენტატორი უზრდოლფი — მხატვრულ შემოქმედების შედევრად სთვლის სტეფან გეორგეს ლირიკას და მის პირვენებას წინასწარმეტყველის ბეჭედს ასევმს, — თვითონაც ასეთი აზრის არის მეოსანი თავის თავზე. მაგარმ მისი ლიტერატურული წრე „ფურულები ხელოვნებისათვის“ უფრო მეცნიერულსა და ფილოსოფიურ საზოგადოებას წააგავს, სადაც მოხსენებები იქითხებიან ესთეტიკისა და ეთიკის უფრო განცენებულ საკითხებზე, ვიდრე თვით ხელოვნებასა და მის დანიშნულებზე. და ამ წრემ ვერ გამოუშვა ვერც ერთი მწერალი, ნიკიერ მხატვარის ნათელი სახით რომ შემოსულიყო ახალ გერმანულ მწერლობაში: — სტეფან გეორგემ ვერ შესძლო პოეზიაში სკოლის შექმნა და დარჩა მარტო ცხოვრებისა და ხელოვნების თავისებური გაგებით. თავის ცნობილ ლექსში „ცხოვრების ხალიხა“ მეოსანი ამბობს: —

„არავის ესმის საიდუმლო მისი ხელათისა...“

და ერთ სალამოს ცხოველდება საგანი იგი...“

...არ ესმის მრავალს მისი ბუნება...“

სტეფან გეორგე — მეოსანი ინდივიდუალისტი, მწერალი წარმატებული გამომხატველია და მხატვარია იმ ხანის (90-ანი, 900-ანი წლები), როდესაც გერმანიის, დიახ ევროპის ინჟელიგენცია, აღფრთოვნებული და გატაცებული ნიკეშე ფილოსოფით, უარყოფით და ერთგვარი შემთხვევაში უურებელი ფართო მასების ამოძრავებას, დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეების ზრდას, რაც მისი აზრით, დიდ საფრთხეს წარმოადგენდა პიროვნებისა და მისი კულტურულისათვის. და დღეს კვლავ დიდი გასავალი აქვს ჰუგო ფონ გოგებანსტალის, რილკეს, განსაკუთრებით კი სტეფან გეორგეს პოეზიას, მის მხატვრულ შემოქმედების მიმართულებას, ფილოსოფიას.

მოდერნულ დემოკრატიის იდეების კრიზისმა, საზოგადოებრივ სულისკვეთებამ, რომლის შინაარსი: „მომბრძორდა ყველაფერი“—ში გამოიხატება, უფრო გასაგები გახადა თანამედროვე ინტელიგენტისათვის პოვანანტალის პერმანენტული უკამაყოფილება, რილკეს პეისიმიში და სტეფან გეორგეს განდეგილობა. — და მასების მწერლები ისინი არა-სოდეს ყოფილან.

მუსიკა პიროვნების ვნებათა ღლელვის, მისტიკა რელიგიურ ვიზიონების, ლირიკა არისტოკრატიულ ესთეტიზმის და რჩეულთა კულტის არის ამ მაღალ-ნიჭიერ მგლსანთა შემოქმედების შინაარსი და მხატვრული თემა.

ამ მიმართულების, ამ, ასე ესთეტიკა, დაჯგუფების წინააღმდეგ ახალ გერმანულ ლირიკაში გამოდის ის ლიტერატურული შეკოლა, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი არიან რიპარდ დემელი და ფრანც ვერფელი.

არა მხოლოდ დამთვრებული ფორმა და დახვეწილი მხატვრული სიტყვა, არა მხოლოდ ცალკე პაროვნების კულტი და მის ესთეტიურ განცდების განვენებულ მუსიკის ჰინგები; — ხელოვნებას უნდა ამოძრავებდეს, მხატვრულ შემოქმედებას უნდა ათბოდეს სიცოცხლის მაჯის-ცემა, ადამიანთა საზოგადოება და მისი მისწრაფებანა. მაგრამ არც ცხოვრების ფორმებისა და მის განვითარების არა ნამდვილ ხელოვნების საქმე. მხატვრული შემოქმედების პროცესი არის პროცესი არა მარტო ესთეტიურ ჰერეტიკ, არამედ აგრეთვე ცოცხალი მოქმედების, მოძრაობის, სიცოცხლის გარდაქმნის; — ის განხორციელებაა დინამიკის, — ის მოქმედებაა, მოძრაობაა თვით.

არც ნატურალიზმის ფოტოგრაფია, მაგრამ არც ფორმალიზმის წმინდა ესთეტიკა: — თავისუფალი ხელოვნება, რომელიც სცოცხლობს



და აკოცხლებს, რადგან ამ ქვეყნად ჩატარებული სიცოცხლის მომაწყა-
რებელია, — თვით სიკედილიც.

და ამ სიცოცხლის მომღერალია რიპარდ დემელი: — ადამიანის,
მისი ტანჯის, სიხარულის მწერალი, რომლის მხატვრული პიროვნება
დატვირთულია მძლავრ გრძნობებით და ფაქტიზი განცდებით. აյ იბა-
დება მისი შემოქმედების ტენდენცია, რომელიც ასე გარევევით და ნათ-
ლად იხატება მის „რომანი რომანისებში“, „ორი ადამიანი“ და „იმფა“-
ში. და შეიძლება დემელის ლექსი არ იყოს ასე დამთავრებული ფორ-
მით, ისე მდიდარი სიტყვით, ისე უნარლო გარეგან ფერადობით, რო-
გორც მაგალითად რილკესი, მაგრამ სიცოცხლის მაჯის ცემაა შიგ, სუ-
რათებით და ბუნებრივ მოძრაობით არის საესე იგი. შეიძლება რიპარდ
დემელი ჩაითვალოს მოდერნულ გერმანულ სოციალურ ლიტერატურაში.
რომელმაც გავლენა მოასცინა, გზა გაუკავა მის იმ გან-
შტოკებას, რომელიც ცნობილია მუშარი, პროლეტარული სახელწო-
დებით. თავის ცნობილ ლექსში „მუშა“. მგოსანი ასე ამეტყველებს მას:

„ერთი საწოლი გვაძეს, ერთი ბავში გვყაეს ჩევნ, მეულლევ ჩემო! ა-
სამუშაოც გვაძეს ჩევნ... მზე, წვიმა და ქარი ჩევნთვისაც არი.

ცოტა რამ გვაკლია მხოლოდ ჩევნ, მეულლევ ჩემო,

რომ ვიყოთ ფრინველიშით თავისუფალი: მხოლოდ დრო...

... მხოლოდ ის გვაკლია ჩევნ, მეულლევ, შვილო,

რაც ჩევნით სცოცხლებს, ჩევნით წინ მიდის...: მხოლოდ დრო!

რიპარდ დემელი გარდაიცვალა 1926 წელს და დაუტოვა გერმანულ
ლიტერატურის ისტორია განხა, რომლის მნიშვნელობა დღით-დღე იზრ-
დება, რომლის ღირებულება ახლო მომავალით ვერ განისაზღვრება.

მისი ადგილი დღეს ფრანც ვერფულს უკავია. ამ მწერალის მხატვა-
რული თემა კულატურის დამტევი სიყვარულია: ადამიანი, ბუნება, ყო-
ველი ცოცხალი არსება იწვევს მაში განსაკუთრებულ გრძნობას —
სიახლოების, ნათესაობის გრძნობას. ლექსში ეს გრძნობა პიმანდ იქცევა.
ამ მხრივ ვერფულის მხატვრული შემოქმედება განსხვავდება დემელი-
საგან: მისი შინაარსი უფრო რელატიური ხასიათისა, ვიდრე სოციალ-
პოლიტიკური, ასე კსოვებათ, რევოლუციური ხასიათის. ვერფულისათ-
ვის სიყვარული უშრალო სიტყვა არ არის, — ის მისთვის ცხოვრების
შინაარსია, მისი მიზანი. სიყვარული — „სულა; რომელიც უჩრდილოდ
თოვლზედ დამდგარი ესტუმრება მთვარეს და იქ იქაჩება“ სითეორე-
ში. ერთი ლიტერატურული კრიტიკისა, თვითონ პოეტი ახასიათებს ფ-
ვერფულს, როგორც „სულა; ლიტერატურის“. ამ ბოლო დროს ამ ნიჭიერ
მწერლის მხატვრული შეგრძნობა ერთგვარად დაიბყრო მეტაფიზიკურ-



მა შევნებამ. ერთ თავის უკანასკნელ სიტყვაში შემდეგს ამბობს ჰუკინიშვილი
ვერფელი: „ბევრს ლაპარაკობენ აზრით მიმართულებაზე ხელისურებით მოვარდის ში. ურაპატრიოტიზმისა და ურაკომუნიზმს შეა არავითარი განსხვავება არ არის. ლექსის თემა საგნები და განწყობილებანი კი არ არაა, არამედ განთავისუფლებული სული აღამინისა მის მეტაფიზიკურ მარტონობაში. ლექსის საშუალება აბსოლუტური ენა არის. რადგან არსებობს მხოლოდ ერთი აბსოლუტური ენა. როგორც ერთი აბსოლუტური მუსიკა ასებობს, — ენა, რომელიც კი არ გადასცემს, არამედ უკვე თავის ასებობით ჰქმნის. ეს არის პოეზიის მარადი სიღუმლოება“... ასე ლაპარაკობს და ამტკიცებს, მაგრამ საგდენიეროდ ამ აზრს არა თუ ვერ ატარებს ნივიერი მგოსანი, რადგან პოეზიის მარადი სიღუმლოება სიკოცხლის, რეალ ცხოვრების მარად მოძრაობის, მისი დანამიერი სიღუმლოებაა. აქ დახსინათებულ მწერლების გენერაციას ეკუთვნინან აგრეთვე ვილჰელმ ფონ შოლცი და ქრისტიან მორგენშტერნი. თემა მათი ლირიკული ლექსებისა აბსტრაკტულ-რელ გიოზური ხასიათისაა; — ღვარება, სიღუმლოება მისი ასებობის და მოქმედების, ქრისტიანინში და მისი ფილოსოფია არის მათი მხატვრული შემოქმედების საგანი. ამ მხრივ ორივე მგოსანი, განსაკუთრებით ფონ შოლცი საშუალო საუცნოების მისტიკურების გავლენაში იმყოფება.

ჩვენ ზევით გაეკრით მოვისხენეთ ის ლიტერატურული გენერაცია, რომელსაც პროლეტარიული ეწოდება და რომლის განვითარებაში რაჟარდ დემეტრა დიდი როლი ითამაშა. მუშაურ ლირიკის საუკეთესო წარმომადგენლები არიან: კარლ ბროევერი, პაინტის ლერში და გერრიტ ენგელკე. ინდუსტრიის, ქალაქების უმაგალითო განვითარებამ, მუშაობა კლასის მდგომარეობამ, მისმა ბრძოლის მიზნებმა, „აღამინის-მასის“ გამოსკვლამ ისტორიის სცენაზე წარმოშვა ეს ახალი მიმართულება ლიტერატურაში, ხელოვნებაში საზოგადოთ და ამით ახალი სული შეიტანა კაცობრიულ კულტურის ამ განშტროვებაშიც. აქ სხვა კი არ სწუხდა და სწუხს მუშის ბედზე, არამედ თვით მუშა მღეროდა თავის მომავალზე, თავის მიწნებზე და დღევანდელ ჭირ-ვარაბის მოსაცილებლად მუშურდებდა და მოუწოდებს ბრძოლისაკენ, გმირულ თავდადებისაკენ, როგორც ასალი დროის წინასწარმეტველი, განმათავისუფლებელი ერის და კაცობრიობისა, პიროვნებისა და საზოგადოებისა.

„მუდამ ვვრჩნოდით ჩვენ შენდამი სიყვარულს, საშობოლო ჩემო, მაგრამ ის ჩვენ სახელით არ მოვვინათლავს. და მაშინ, იდეს გასაჭირი კარზე მოვადგა უღარიბესი შეიღლა შენი, შენი ურატგულესი დამცეველი შეიქნა“ -- ამბობს თავის, ომის დროს დაწერილ ლექსში „აღსარება“ მუშა-მგოსა-



ნი კარლ ბროეგერი, შაგრა არა „პროზული სიმართლის“ გაღმოცვემით
ჩემი „თარგმანის“ თანახმად, არამედ იმ აღვზნებით და პათოსით, ჰქონდა გრძელი
გრძნობით და ესთეტიკურ ფორმით, რომელიც „ღვთით მცოსანს“ ანუ „დამართება
სიათებენ.“

„ჩვენ მზადა ვართ ხელებით ვატაროთ, მხრებით შევუდგეთ ჩვენ დროს.
ყოველი მკლავი, გრძელმს რო სცემს, ატლასია, მიწას რო ატარებს“. —
— ამბობს მეორე თავის ლექსში: „მუშას სიმღერა“ მცოსანი.

ჰაინრიხ ლერში — მუშა მცოსანია. რომლის მასტერულ არსებაში
შესაჩენებ როლს თამაშობს რელიგიური სულისკვეთება. აღამიანთა,
ხალხთა შორის ძმობა, კეთილი განწყობილება და სიყვარული არის მთა-
ვარი მოტივი მის შემოქმედებისა, რომელიც ქრისტიანულ, კათოლიკურ
მსოფლმხედველობის გავლენაში იმყოფება. ის ახალგაზრდა მცოსანი,
რომელიც ომში წასვლის დროს აღფრთოვანებული გაიძახის: — „გერ-
მანიამ უნდა იცოცხლოს, ჩვენ ყველა რომ დაიხორციოთ კიდეც!“ —
თვით ომში, ერთ საშინელ ბრძოლის შემდეგ, ასეთ გრძნობებს ასხამს
ლექსში: —

„ფრანგო, ჩემო მეგობარო, ჩემმა ტყვიამ დაგცა შენ.

არ გამიჯავრდე, რომ გაგიმეტე.

მე შენი ძმა ვარ, შენი მეგობარი.

ჩვენ ირივე განვიწინდეთ ერთი ღმერთის სისხლით“...

ყველაზე უფრო ნიჭიერი, ყველაზე უფრო შესანიშნავი მუშა-მცო-
სანთა შორის არის უთურდ გერმანიტ ენგელკე, რომლის შესახებ ერთი
გერმანელი ლიტერატორო შემდეგს სწერს: „გერმანიტ ენგელკეში გერ-
მანულ პროლეტარულ პოეზიამ დაპკარგა გენიოსი. ის დაეცა ბრძოლის
ველზე დიდი ომის უკანასკნელ დღეებში, ფლანდრიაში. უმძიმესი და-
კარგვაა, კვეტები, იმ მაღალ ღორებულების პიროვნებათა შორის, რა-
მელიც გერმანიის კულტურამ დიდი ომის დროს განიცადა“.—

და მართლაც უნიჭიერესი ხელით არიან დაწერილი ამ უდროოდ
დაკარგული ლიტერატურის ლექსები. სწორედ მაზე მოახდინა რიპარდ დე-
მელმა ყველაზე დიდი გავლენა... ნაჩვენები გზით წავიდა ენგელკე, მი-
სი ბუნების მოთხოვნილების თანახმად, მაგრამ უკან დასტოვა მასწავ-
ლებელი ნიჭით, ტეპერამენტით, თემის მოტივის მოძებნით. ის არ ეძა-
ყოფილდება დღიური საკითხთ, ამ თუ იმ სიციალურ თუ პოლიტიკურ
მომენტით: — ის ზოგადს, უნივერსალურს ექბეს და იტევს თავის მდი-
დარ მხატვრულ ბუნებაში. ის უარპყოფს ლექსის ძველ რითმებს, ძველ
ტანს, ძველ რიტმს: — ის ახალს ექბეს, აბლა ფორმებს, ახალ სიტყვას-
გერმანიტ ენგელკეს ლექსთა კრებულს ..ახალი ევროპის რიტმი“ ჰქვაა,
მის პირველ ლექსს ამ კრებულში „ქვეყნის გაჩენა“. შინაარსი, — ტენ-



დენცია მისი ლექსების ისე გადაჯაჭვულია მათ ფორმასთან, ზორბეულ შეკულტურის მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებზე შეიძლება ლაპარაკი პირველ ჭავჭამისათვე ლისა, და არა რომელმე მიმართულებაზე.

ახალი მხატვრულ სიტყვებს შექმნა, ცხოვრების ყოველდღიურიან ბიდან რომ ლექსში განსაციფრებელი სიძლიერით და მშვენებით გადადას; — უჩვევი სახეები, სურათები გენოსური ხაზის მოსმით რომ თვალწინ გიდგებიან, ახასიათებენ ამ მუშა მოსსანს, რომელმაც ახალგაზრდა სიცოცხლე ქიდრფას სამშობლოს სამსკერბლოზე მიიტონა.

აქ ჩამოთვლილ და გარჩეულ დაჯგუფებებს დიდი ღვაწლი მიუძლვის ახალი გერმანული ლირიკის განვითარების სტორიაში, — მათი წარმომადგენელნი თვით არიან ამ ლირიკის შემძნელნი.

რაინერ მარია რილკე და სტეფან გორჩევ, რისარდ დემელი და ფრედრიფელი, ბროეგერი და ენგელკე საერთაშორისო მნიშვნელობას აძლევენ გერმანულ ლირიკას, რომლის მაჯის ცემა გოეთეს შემდევ ასე სუსტი, ასე უსწიშვნელო იყო.

მთ ანსევაებს, აშორებს ერთმანეთისაგან ცხოვრების გავება, მთართულება, შინაარსი, — ტენდენცია მხატვრული შემოქმედებისა, მაგრამ აერთებს მხატვრული გრძნობა, ნიჭი, ესთეტიკა განცდებისა და ეს ხდის მათ ყოფნას ძვირფასად გერმანიის ხელოვნებისათვის, მისი კულტურისათვის.

და მათ შორის განსაკუთრებით ბრწყინვას ორი ვარსკვლავი: — რაინერ მარია რილკე და გერრიტ ენგელკე მაღალ ესთეტიკურსა და ეთიკურ იდეალებით დატვირთულნა. ა. ხელოვნების დიად თავისიუთალ განცდებში, განდღვილი და მემინილი, ესთეტიკულიდუალისტი და მხატვარი-კოლეგტივისტი ერთმანეთს ხვდებან, რელიგური მისტიკოსი და სოციალისტი ერთმანეთს ხელს უწვდიან. — მიმართულების მიხედვით კი არ ფასდება მხატვრულ ნაწარმოები, არამედ მისი ესთეტიკური და ეთიკური ლირიკულებით.

და ამიტომ ვერ დავივიწყებთ იმ ორ მდოსან ქალსაც, რომელნაც ლირიკულად ემსახურებიან თანამეტროვე გერმანულ პოეზიას: — ავნეს მიგელი და ინა ზაიდელი არის მათი სახელი. პირველს უფრო ხალხს და ცალკე პიროვნების სულიერი ცხოვრება ანტერესებს, მეორეს კი ბუნება; პირველი ამიტომ ისტორიისაკენ იხტება, წარსულით, გადმოცმებით არის შეპყრობილი, მეორე ბუნების მშვენიერებით არის გატაცებული, მისი გავლენით აღმიანის სულზე.

ამიტომ ავნეს მიგელი მაღლადის არჩევს, — ინა ზაიდელი კი წმინდა ლირიკას ეტანება და აქ ის ნამდვილი ქალია.

იხახარ

დიდი სახელმისამართის ჩარჩოები

ალექსანდრე ბატონიშვილის

ოჯახის ბიბი

საქართველოს მწუხარის უამს ყველანი გრძნობდენ, რომ სოლომონ ლეონიძის ნათელი და გონიერი თავი, მისი გამჭრიანობა და შორსვერება საქმეს ვერ უშველიდა და საჭირო იყო ძლიერი მკლავიც, ვაჟაპული შეტევა, ძველებური ბრძოლის უნი და გამამხნევებელი შეძახება ალექსანდრე ბატონიშვილისა. მაგრამ, სახელისწერიდ, ვერ მოხერხდა ამ თავისა და მკლავის გაერთიანება მთელი საქართველოს მოცულობით. სოლომონ ლეონიძის „რიტორობა“, დავით ბატონიშვილის რუსეთა-სამიზნი რომანტიკულმა მინდობამ ჩაჰქოდა და ოლექსანდრე ბატონიშვილის ხმალი ქნის ერისთავებმა გადამტევრიეს და თან მისი მარჯვენა ხელი: იულინ და ფარნათ ბატონიშვილი შეკოჭილნი ლენტრალ ციციანოვს მიპევარეს. სოლომონმა დავით ბატონიშვილის ტყვევიბიდან გაქცევა მოახერხა და ეხლა იმერეთს მოავლინა თავისი სიბრძნე და და-პლომატიური გამოყდოლება, და მან ერთხელ კიდევ სცადა სამშობლის უკანასკნელი კუთხის გადარჩენა რუსთა დიდ მოზღვავებულ ტალი-საგან. სოლომონი შეკვეთი განწირულ საქმეს იცავდა და იმერეთის ელჩო-ბის გახანგრძლივება ველარ შესძლო პეტერბურგში.

ხმილისა და ფაქტის რაინდმა ალექსანდრე ბატონიშვილმა კი „დიპ-ლომატის“ გზა რუსეთთან თავდანვე წაგებულად მიიჩნია და მარტო შეტევებით და აჯანყებებით ცდილობდა, რომ ახლად შექმნილ მდგრ-მარეობას სიმტკიცე არ მისცემდა; რომ ქართველი ხალხი უცხო ძალის ვაბატონებას არ შეჩვეოდა და სტაპილურიად არ მიიჩნია რუსეთის მიერ მოულონელად მომხდარი ოქუპაცია.

პეტერბურგი ბრძოლა, მდგომარეობის გართულება, სხვადასხვა მხარეებიდან მოვლა, პანიკისა და დეზორგანიზაციის შექმნა ახლად შე-მოსეულ ძალთა რაზმებში: — ა. ეს იყო სამოქმედო ვეგმა ალექსანდრე



საქართველო

ბატონიშვილისა და მის გვერდით პდგომ ძმათა ,მმისწულთა ფურცელითა თანხმებელთა. ეს შეტევები ხშირად საქმაოდ მომზადებული არ იყო: არც იარაღ, არც სურსათთ და ფული იყო მომარიგებული, მაგრამ ყველა ამისათვის ცდა დროს უკარგავდა ბატონიშვილს, ხოლო ეს დრო კი რუსის მოხელეობასა და მის ერთგულთ საქართველოში ღრმად უდაბდა ფესვებს. მართლაც გასოცარია ის თავანწირულება, რომლითაც ეს კაცი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში უტევდა რუსის მხედრობას ხან ერთი და ხან მეორე მხრივ. და თუ ერთი მოკავშირე დაუსუსტდებოდა და ხელიდან გაუცდებოდა, უცებ მეორეს აიჩინდა (სპარსეთი, ომალეთი, დაღესტანი და კრისტიანი და ხანები ახალციხისა, განჯისა და ერევნისა და სხ.). ვადიოდენ წლები და რუსის მთავარსარდლებს გული უსივდებოდათ შეპჭრობის მოლოდინში. წყალობანი მას პირველში პატიებას და ყველაფრის „დავიწყებას“ თუ პირდებოდენ, ბოლოს „პენსიონებს“, ჩინ-ორდენებს და ყმებასაც სთავაზობდენ; — ოლონდ როგორმე კი ექმნა პირი რუსეთისაკენ და იმ „შეულ“ საზღვარზე ფეხი გადმოსცდენოდა.

მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოიგეს ბატონიშვილის გული და ბოლოს ის -ლა დარჩენოდათ, რომ ერმოლოვის (მთავარმართებელი) პირით გარეცხადებიათ: აბა რა მნიშვნელობა აქეს ასეთ „ქარაფშუტა, თავშე ხელ-ალებულ, მოხეტალე ბატონიშვილა?“ სადაც უნდოდეს, იქ დარჩეს და რუსეთი კი მას ჩირადაც არ ავდებს და არც კი დაუწყებს ლაპარაკს „ო. (იხ. პოტრო, „კავკ. ომი“). მაგრამ როგორიაც ეს მრავალ-სიტყვაობა და ყოყოლინობა არ უდებოდა „დაით რუსეთის“ შემტევ მომზედებებს; და ალექსანდრეს ისინი რომ ისეი უდიდეს როლს აკუთხებდენ, ეს სჩანს იმ ვერაგული მოპყრობიდან, რომლითაც რუსეთი გაუმასპინძლდა ბატონიშვილის ოჯახს, რათა ამ გზით ის ხელთ ევდოთ იგი. ჩვენ ქვევით დაკანიათ: რომ მოულოდნებოდა შემთხვევაშ მოვგარა რუსებს ბატონიშვილის ოჯახი, მაგრამ რაც შემდევ რუსეთმა ჩაიდინა, ეს კი „შემთხვევა“ არ იყო, არამედ უფრო მისი ბუნება.

ალექსანდრე ბატონიშვილი უკანასკნელი იყო ერეკლესა და გიორგი მეფის მხავარ-რიცხოვენი ოჯახის წევრთაგან საქართველოს მიჯნასთან ახლოს რომ დაშთენილიყო და ქართული დროშით და მამაპაპური ხმლით ხელახლა ეპიზოდოდა დამონგბულ საქართველოში ბრძოლით შეკრას და ამიტომ ყველა სამაჰმანიან სახელმწიფოებში, სახანოებში და თემებში მოკავშირებს ეძიებდა. ბოლოს მას ორივე მხრივ შემოაცალეს სიმაგრე — ოვაის საყარაელი მმისშვილები, საქართველოს ღირსების აღდგენისათვის მასთან ერთად რომ გაიზინულიყვნენ: — თეომურაშ (პეტერბურგს გაზავნეს) და ლევან (კრისტიანების კახეთის ამბოხების ჩაქრობის შემდევ (1812 წ.). ბატონიშვილი გრიგოლ




იოანეს-ქ, რომელიც ფრონელის სიტყვით, „რაღაც“ სასწაულით გულებული და-ერთი გადარჩენოდა ციკიანოს რუსეთში გადასახლებლად“, და-პატიმრებულ იქმნა და ისე წარიგზავნა ციცს ჩრდილოეთისაკენ; მით დაამთავრა მთავარმართებელმა რტიშებევმა ციციანოვის მიერ დაწყე-ბული გადასახლება ბატონიშვილთა. მერამ ვიდრე საქართველოს სა-ზღვრებთან ჯერ კიდევ თავისუფლად დაპეროდა ოლექსანდრე ბატონი-შვილი, რუსეთს მანიც გული საგულებში არა ჰქონდა. საქართვის იყო ოსმალეთ ან საქართვითან მდგომარეობის გართულება, რომ ამ ნაშის „ასპიდისას“ (ასე უწოდებდა ციციანოვი სახელოვან ბაგრატიონთა. (იხ. აქტები, ტ. 2) ხელახლა წამოეყო თავი და დიდი რუსეთის „შესხეულე-ბით უკვე გაძენიერებულ“ ყოველ საქართველოს კითხვა კვლავ დღის წესრიგში დამდგარიყო.

ეს ამბავი უკვე 30 წლის მანძილზე მოდიოდა, სიცხველეს არა ჰქარებდა და ქართველის გულში კიდევ რაღაც „რომანტიულ უნი-დაგო იცნებებს“ წარმოშობდა; ქვეყანა არ წყნარდებოდა და აბა სანამ უნდა ეთმინა კიდევ დიდ რუსეთს მწვავე და მძიმე ნესტარი ბატონიშვილ ალექსანდრესი. ვაკეცობით მისი ხელში ჩაგდება ვერ მოხერხდა, გაკ-ჭრული გზები ალექსანდრეს ძლიერ მუხლებს ვერა „ჰქავდენ“ და ის მუდმ უკვებლად უსხლტებოდა რუსთ. ვარც რუსული ოქრო აღმოჩნდა შესაფერის სამაგისტრო ბატონიშვილის თავისათვის და არც ქართველ-თა, არც ლეგთა, არც სომებთა ან სპარს-ოსთა შორის არ აღმოჩნდა ისე-თი, რომ სანატრელ ერეკლეს ვაჟი პეტერბურგის ჯვრებში გაეცალათ.

რუსობას ის გარემონა კიდევ უფრო აბრაზბდა, რომ უკვე მოხუც ბატონიშვილს მემკვიდრე შეეძინა და პრეტენდენტობის წინააღმდეგ ეს წელთა ბრუნვა ძალას ჰქარებდა. ამ საქმეშიც რუსეთს სპარსეთმა გაუჩინა გართულება; თავში თითქოს იმედიც იყო, რომ ურჩი ბატონი-შვილი, რომელსაც რუსეთის სიძულვილში არასოდეს ზომა არა სკოდ-ნია, ბოლოს მანიც უოჯახოდ და უძროდ უნდა გადასულიყო. რუსთა სანუგეშობ პირველმა ცდამ ბატონიშვილის დასაქორწინებლად უშე-დეგოდ ჩაარა.

ალექსანდრემ სიყრმის ქაშს დანაშნა დიდი ყბარდის თავადის მი-სისტემის შშვენიერი ასული. ამ შესან-შნავ ოჯახიდან ადრევეც მოჰ-ყავდათ ბაგრატიონებს მშვენიერნი ასულნი და მათში აღბად კველაზე შესანიშნავ უნდა ყოფილიყო ვახტანგ მეექსეს მეუღლე, რომელსაც მონათვლის შემდევ სახელად რუსულანი ეწოდა და იყო დედა შესან-შნავ დელოფალ თამარისა (თეიმურაზ მეორეს ცოლისა) და ბებია უფ-რო შესანიშნავ მეფე ერეკლესი.. ალექსანდრე ბატონიშვილს ალბად ერთგარ გადარჩნის ნიშნად მიაჩნდა უკვე „დაქანებული“ საქართვე-ლოსათვის რძლად იმ ქალის მოყვანა, რომელიც ერეკლეს ბებიას სა-



სხლოთ იყო დანათესაცემული. მარამ მშევნეორი ასული ყაბარისა თა-
ვადის, მართალია, საქართველოს ესტუმრა, მაგრამ პატარძლობის გრძელები
ღარ შეესწორ და ალექსანდრეს კოლად ვერ იქცა, ისე უცემოვ და მო-
ულობრელად მიიცვალა. (იხ. ბუტკოვი, 1. 505).

ალექსანდრესთვის საგლოვი რუსებს სამხიარულოდ დაურჩათ...
ამბები სწრაფად ვითარებოდა, ღელვა იზრდებოდა, რუსეთი მაგრად
იდგამდა ჩევნში საძირკველს და მის მოძრე ალექსანდრეს ამ დროს
საკუთარი ოჯახის შესაქმნელად აღარ ეცალა, როცა სტუმარი უდეველის
და უძლიერეს ოჯახს ბაგრატიონებისას, 12 საუკუნე რომ უმაგრებდა
ზურგს, ანადგურებდა და საქართველოს — ორი ათასი წლის სახელმწი-
ფოს ერთბაშად შლიდა. და ალექსანდრე გაიჭრა ბრძოლად და გააგდო
ფიქრი საკუთარ ოჯახზე.

და როცა საქართველოს სამეფო გვარულობიდან ალექსანდრეს
გარდა ყველა ავგავეს, რუსებს იმედათ ჩემბოდათ, რომ ალექსანდრეც
ერთხელ სპარსეთში ან დალესტანში დალევდა დღეს და მისი მომდევნო
მემკვიდრე კი აღარავინ ჩემბოდა.

მაგრამ ბაბა ხანის ლირსეული ვაჟი, აბას მირზა, სპარსეთის შაჰის
მემკვიდრეობა რომ ხედა და საქართველოს რუსეთის ხელიდან გამო-
გლევისათვის იღვწიოდა, ასე არა ფიქრობდა... მას მუდამ აღონებდა ის,
რაც ახარებდა რუსეთს, სპარსეთის ახლოს რომ მაგრად მოიდგა ფეხი
მოტყუებულ საქართველოს მამულში. ეს დაუცხრომელი მეომარი, და-
რბაისელი და ლირსეული მოწინააღმდეგე, მარტო იმის ოცნებაში იყო,
რომ საქართველოს მიწა-წყალი „რუსულ უწმინდობისაგან“ გაენთა-
ვისუფლებია და გურჯაისტანში ბაგრატიონის ტახტი კვლავ აღედგინა.
მდგომარეობას არ სცილის ის, რომ აბას თვით სპარსეთის ინტერესები
მოითხოვდა. ის გვერდით არ იშორებდა მისებრ დაულალავ და დარბაი-
სელ მებრძოლ ალექსანდრე ბატონიშვილს და საუკეთესო მეგობრადაც
სთვლიდა. მართალია, შეხიზნული ბატონიშვილი და მისი მხლებერინი
შაჰმა დიდი წავლობითა და საჩუქრებით ააქცი: სასხლე, ფული, მამუ-
ლი და პატივი საშვილისშვილოდ დაუქცევდა მათ, მაგრამ ბაბა ხანმა
და უფრო კი მისმა მემკვიდრე აბას-მირზამ ბალინ კარგად იცოდა,
რომ ლირსეულ ერეკლეს შვილს ემიგრანტობა არ უხდებოდა და ვერც
როდისმე მიუღებოდა. ბულბულის ამბების სათავე სპარსეთ-არაბეთი
მუდამ ყოფილა და აბას შაჰმა და მისმა ვაემა როგორ არ იცოდენ, რა
„პატივს ჰყორდა ნაზა ბულბული, გალაშია ვამომწყდეული“! მარ-
თალია, მემბში აბას-მირზას და (მასთან ალექსანდრეს) ბედი ადგილად
არ სწყალობდა, რუსული ზარბაზნები და ქართველთა რაზმები, რო-
მელთაც რუსეთი ჭრისტეს ჯერით ხელში და რუსული ჯერით მეკრდზე,
ასე გულუბრყვილოდ ატყუილებდა, სპარსეთს უწყოლოდ ამარცხებდა



და საქართველო ისევ რუსეთს ჩემოდა; მაგრამ იმედი მაინც არ იღებს შემონაბეჭდის მიზანს. მათ და მათ მიზანი ძველებურად სჯეროდა რუსების განდევნა კავკასიონიდან. საქართველო ხელახლა უნდა ამდგარიყო და ამ დროისათვის ალექსანდრეს ფიქრი და ზრუნვა არ უნდა დაეგდო „ემიგრანტობის“ დროსაც. ამიტომ აბას-მირზა მას დაუინებით ურჩევდა კოლის შერთვას და პეტერბურგის გაჩენას, რათა რუსებს მისი უძეობის იმედი მაინც გაქარწყოლებოდათ. და ალექსანდრე მეგობრის და დამხმარეს ჩემის ჩვეულებრივი პატივით თუ შეხვდებოდა. (იხ. პოტტო, „კავკასიის ომები“, 4.).

არ ვიცით, ბოლოს უფრო აბას-მირზას ჩემვამ გასჭრა, თუ ერევნელი მელიქის სააკ ალამალოვის ქალის არა ჩვეულებრივმა, მართლაც ზოპრულმა სილმამაზებ, რომ უკვე ხანში შესულმა ბატონიშვილმა დაქორწინება გადასწუყიტა. კიდევ მეტიც, აბას-მირზას ანგარიში არ წაუხდინა და ამით რუსებს დავთორები უფრო აურია: მალე მზეთ-უნახავისაგან ბატონიშვილ ალექსანდრეს ვაჟი შეეძინა და რომ უფრო ადვილი ამოსახსნელი გამხდარიყო რუსთათვის ეს სიმბოლო, მემკვიდრეს უკვდავი ბაბუას სახელი დაარქევს და პატარა ერკულე სპარსეთის კარზე ლალობდა და „გურჯაისტანის ვალიად“ ეძიადებოდა. რუსეთის ელჩმა სპარსეთში იციდა, რომ კარგ სამახარებლოს ცერ მიიღებდა პეტერბურგში ამ ამბის მიწოდებისათვის, მაგრამ აბა რა ეჭნა: სანამ უნდა ემალა „კირი“, რომელიც თავის თავს ალარ მარავდა. ალექსანდრემ სხვაფრივაც გაუმართლა იმედი აბას-მირზას. ამ დაქორწინებით მან დაპლომატიურ-პოლიტიკური დივერსიაც მოხადინა და მამისა და მმის ტახტზე მიეკლებული. საქართველოს ძელი მოხარკე ერევნის სახანო ამით თუ ეს შემოიტკიცა, დაახლოვა მაინც ეს ის სახანო იყო. რომელსაც ასეთი დაეინებით ეგვერა უძლეველი ციკანოვი და რომელმაც ასე მოულოდნელად აჭამა სირტცეილი მასც და რუსის ჯარსაც, და 1804 წელს, ხანგრძლივი ალყა უშედგოლ მოხასხევინა თუ კინმე კიდევ იყო ერევნის სახანოში საქართველოსა და სპარსეთისაგან სამუდამოდ თავის დახსნაზე და ძლიერ ქრისტიანულ რუსეთს წემობრძანებაზე რომ ოცნებობდა, ეს იყო სომხობა; და რომ ციხე შიგნიდან არ ვატეხილიყო, საჭირო იყო ამ სომხობის დაყვაება-დაშოშმინდა და მისა და რუსეთის შუა კათალიკისა მიერ გადებულ ხიდთა აფეთქება; და ეს ასაფეთქებელი მასლა ამ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ყველაზე უფრო წარჩინებულ სომხურ ოჯახს (სააკ ალამალოვის) დაუმოყვრდა. მაგრამ უწყალო ბედი სხვაგარად სჯიდა და ხიდის „აფეთქება“ კედარ მოხერხდა; ამას ეხლაც ხელი შეუშალა მეორე ქართველმა — ლენტრალმა ერისთავემა, რომელმაც ქართული თავდამოწებით სტრატეგიაც დაივიწყა და რუსაც, — ისე მამაცად და მოულოდნელად შემოიტრა სპარსეთის სილმეში, რომ თავრიზის აღებაც კი



შესძლო. და როდესაც მს პასკვეიჩის მიერ ერევნის აღების ამბავი მარცვებულია, მამაცმა ერისთავმა სამგეორილ მას თავრიზის აღება მოსულის მარცვებულია იყო ძველებური: „იაშიოლ“!

მეტად ორიგინალური მხედარი უნდა ყოფილყო ეს რუსთის ძლევამოსილებისათვის თავდადებული ერისთავი. ესეც იმ დანარჩენ ერისთავი ჰგავდა, რომელთაც ერევნეს უინით საქართველო და მისი თავისუფლება დავიწყება და უმაგალითო ერთგულებით შეეწირენ რუსთა ხელმწიფეთ... სჩანს ამ ერისთავი, რომელსაც რუსის ჯარის კაცინ მეტრის სინაზით „ბატუშკას“ ეძახდენ, მამაცობასთნ ერთად მოხერხდა და დიპლომატია არა ჰკლებია და როცა უკვე მის მიერ დაპყრობილ თავრიზში სარდალი პასკევიჩი შემოვიდა და ერისთავს მაღლობის მაგირ ყვირილი და ლანძღვა დაუწყო (რომ ამ ქალაქის აღება მას ერისთავმა დაასწრო), ერისთავმა შევენიერად შეიკავა თავი; და როცა პასკევიჩია გინებით გული მოივერა, ერისთავმა შორიდებით მოასხენა, რომ თავრიზის აღებაც, ისე როგორც ერევნისა, მარტო პასკევიჩის საქმეა და ის ულოცავს მას ამ გამარჯვებას. ამ მოხერხებულმა პასუხმაო, მოვითხრობს ისტორიის პოტტო, პასკევიჩი სულ დააბნია და ეხლა ის კულხე მოეხვია ერისთავს და ჯვარჩეც წარადგინა იმ „დახმარებისათვის“, რაც მამაცმა ქართველმა რუს სარდალს თავრიზის აღების დროს გაუწიო. მაგრამ ისტორიის პოტტო მაინც არ გვეუბნება, ვინ აღმოაჩინა ამ დროს თავრიზში აღექანდრე ბატონიშვილის მეულე მარიამი და მისი ყრჩმა ვაერ ერევლე... ვინ შეუკრა მოულოდნელად ვზა ამ ოჯახს და გასაჭანი არ მისცა: ამნარად, გარედ დარჩენილ აღექანდრეს მოსწყვეტა?

მაგრამ ჩეენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით. რომ აქაც ერისთავებმა თავის „ლალატის ტრადიციას“ ერევნეს ოჯახისადმი არ უდალატეს და აღექანდრეს ოჯახზეც ამ დროს ერისთავმა იფიქრა... ღენერალ ერისთავს არც ამ 25 წლის შემდეგ დაეგდო ის უცნაური ერთგულება ერისთავთა, უფრო ქნისა და შემდეგ არაგისაც, რომლითაც გრ. ციცანოვსაც კი მოჰქონდა თავი. არ ასა სწერდა ის მინისტრ კოჩუბეის:

„ერისთავნი იმდენად ერთგულნი არიან რუსეთისა, რამდენათაც მე შემიძლია თავი მოვიწონ ჩემი ერთგულებით... ერისთავიან ერთალერთი გვარია, რომელსაც ისე ვენდობი, როგორც რუსებს“—... („აქტ.“)

„ბატუშკას“ არ იქმარა საჩდლისათვის აბას-მირზას რეზიდენციის გასაღების ჩაბარება, მას მეტი ერთგულების გამოჩენა მოსწყურდა და აღექანდრე ბატონიშვილის ოჯახის ფუშკაშიბით ხომ საუკეთესოდ თამტკიცდებოდა ეს რუსეთისადმი ერთგულება.

ამ დროს აღექანდრე ბატონიშვილის მეულლე 23 წლისა ყოფილა და როგორც ისტორიის პოტტო მოვითხრობს — ეს მარიამი იყო



„იშვიათი სილამაზის“: კიდევ მეტიც — „ზღაპრული სიტურფით“ ყო-ურთიერთ ფილა შემძინილი. ამ ქალის გავლენა მთავრობის წრეებში ცნობილი იყო იშვიათი მაზრა და ამაზეც მთელი თავრიზი ლაპარაკობდათ, — განაგრძობს პოტტო.

უნდა ვიფიქროთ: ამ ქალს ჰქონდა იქ ნამდვილი პოლიტიკური სალინი გამართული და არა მარტო ალექსანდრე ბატონიშვილთან გახიზნული ქართველები იყრიდეს აქ თავს, არამედ ერევნის სახანოდან და დაღესტანიდანც, და ალბად თავრიზის ანტირუსული ნაკადი ამ ოჯახში ჰომიდი სთავეები.

პასკევიჩმა არ დაყოვნა მარიამისა და მცირეწლოვანი ერეკლეს თავრიზიდან გამგზავრება და რომ ამას უცხო ხალხის თვალში ცუდა შთაბეჭდილება არ მოეხდინა, დედა და ზელილი მარიამის მამასთან, მელიქ სააკონა ერევანში გაისტუმრი... ემცნო თუ არა რუსეთის ხელმწიფებეს ეს ამბავი, მაშინც სიხარულმა მოიცავა იგი და დაჩქარებით დაიწყო იმ „მზრუნველობის“ გამოწენა პატარა ერეკლესამიც, რომელიც არ დაუკლია საქართველოს ბატონიშვილთავის, ულმობელად რომ გადალალა საქართველოდნ, მატული და სხლო-კარი ჩამოართვა ხაზის სასარგებლოდ და რუსული ჩინძით დააკვერა.

ამ ცდის მოუხედავად, საქმე თავიდანვე ნელი ტემპით წავიდა. აზ-კარა იყო, სიხარულის გრძნობას გონიერად სხლია და მარიამს და პატია ერეკლეს საშუალება მიეცათ რამოდენიმე წელი მაინც გაეტარებინათ მელიქ აღამალოვის ოჯახში.

სასტიკი ზეერის მიუხედავად, ალექსანდრე ბატონიშვილი მაინც ახერხებდა ცოლშვილთან კაშშირის დაჭრას წერილებით და შეიკრიბას საშუალებით და თუმცა გათვანა მოშორებული იყო, მაგრამ შეიში არაფრისა ჰქონდა, რა კი ცოლშვილი სიმამრის ოჯახში ეგულებოლა დაბინავებული.

ცუბოლოს მეტად გაუმნელდა მარტოობა ბატონიშვილ ალექსანდრეს და სცადა ლეგალური გზით გამოეთხოვა უკნ თავისი ცოლშვილი. რესეთის ელჩი შემფოთდა, კავკასიის მთავარმართებელი შეშინდა და ეს ამბავი პეტერბურგს აცნობა. ეხლა კმეტი დაგვიანება აღარ შეიძლებოდა და ხელმწიფემ პატარა ერეკლეს პირადათ ხილვა და „გამედნიერების“ სურვილი გამოისტევა. საგარეო საქმეთა მინისტრი ნესსელროდე 1832 წ. ნოემბრის 4-ს საგანგებო დაგალებით მიმართავდა სომხეთის ოქტის მმართველს ღენ. ბებუთოვს ერევანში, რათა მას ეს საქმე მშეაღმინად მოვეგარებია. ამის შემდეგ გაიმართა განუწყვეტელი მიწერ-მოწერა პეტერბურლ-ტფილისა და ტფილის-ერევან შორის, მაგრამ შედეგი კი არა სჩანდა რა.

ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე უფრო სხვა წარმოდგენის იყო შვილის გაბეჭდინერებაზე და ცივი უარით ისტუმრებდა ღენ. ბებუთოვს

და მის მიერ შეძლეულ დიდ „პენსიონებს“, და რუსთ ხელშიდის წყალი ლობებს გულს ოდნავადაც არ უსწინდა. საქმეს ვერც იმან უშვეობის მიპერატორმა შეილთან ერთად დედაც მიიპატია პეტერბურგში — და აღუთქვა, რომ მას პეტერბურგში, სადაც მისი ერეკლე საუკეთესო სასწავლებელში მოთავსდებოდა,, ფუფუნება და ბრწყინვალება არ მოაკლდებოდა. ბარონი როზენი ბებუთოვს სწერს, რომ მას პირდაპირ ათცებს მარიამის ასეთი უარი... ჯერ ერთი რომ უარი საერთოდ არ შეიძლება, რადგან უმაღლესი ნება უკვე წარმოითქვა და შეიძლება — ყველაფერი ხომ მხოლოდ პატარი ერეკლეს გაბედნირების წადილით ხდებოდა; „მე მეონია, რომ“, ამბობს როზენი, „ ყოველი დედა არა თუ რაიმე წინააღმდეგობას გაუწევდა ამგვარ წინააღმდებას, არამედ პირიანთ, სიხარულით აღიგებოდა მთავრობის ასეთ წყოლობათა გამო, თუ კი ამ დედას თავისი შეილი უყავას“—ო. (იხ. წერილ. როზენისა ბებუთოვს, 12—4—1833, აქტ. 8).

მაგრამ მარიამს მართლაც უფრო ძალიან უყვარდა თავისი შეილი, ვიდრე ამის წარმოდგენა ბარ, როზენს შეეძლო. და ამიტომაც უცნაური სიმტკიცით იღებდა ხელს ყველა ამ დამირებულ „ბენიერებაზე“ ბატონიშვილის მეულლე.

გასაოცარია ის ლისსება, რომლითაც ამ ქალმა თავიდანვე დაიჭირა თავი და რომლითაც იდუმალ მოკრძალებას იწვევდა იგი რუსთა ბანაკშიც. მარიამით თავ ბებუთოვის დაეინგებით მოთხოვნაზე წერილობითი პასუხი აღითქვა მთავარმართებლისათვის და ტფილის და პეტერბურგიც გულის ძეგრით ელოდა ამ უვიორგვინო დელოფლის „ნოტას“... სამწუხაროდ, აქტების მერვე ტომში, საღაც ამ ამბის შესახები დოკუმენტებია გამოქვეყნებული, არა სჩანს მარიამის წერილობითი პასუხი; აღბად ის ან მეტად სასტიკი აღმოჩნდა და დასასტამბავად უხერხული, ან პეტერბურგში გაიგზავნა დანარჩენ მასლოებთან და იქ დარჩა, როგორც ამას ზოგი საბუთის შესახებ ბ. ბერუ აქტების წინასიტყვაობაში აღნიშავს. მაგრამ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი დაეკინებითი „მიმატიურებისათვის“, რომელიც უფრო ტყვედ წაყვანას ჰგავდა, მარიამი რუსებს ვალში არ დარჩებოდა.

ბარ. როზენი ამ წერილის გამო მარიამის მამას — აოამალოვს უსუფუძლო ეჭვის ქეეშ აუნებს, რადგან, მისი აზრით, მამის გარეშე ქალი ვერ გაბედავდა თავის წერილში გამოეთქვა ასესახტიკად და მვრცლად დებულება მთავრობის რაღაც უდიგრობის შესახებ (აქტ. 8, გვ. 217). ამავე დროს როზენი აფრიანილებს სომხეთის მმართველს — კარგად ეჭიროს თვალი მარიამზე, რომ ჩუმად არ გაიქცეს, ან შეილი არ გააპაროს საღმეო. თ-დი ბებუთოვი ასავითარ ცდას არ აკლებს, რომ საჭ-



მე შევიდობიანად მთავრობის, მაგრამ ღიანერალის გარჯა ძველებურად უშედეგოდ დატჩა...

„გააფთორებულმა მარიამმა განმიცხადა უეპოლ“-ო, ატყობინებს ის როზენს ტფილისში, „რომ თავისი ხელით ვანგმირავს ხანჯალით საკუთარ შვილს, თუ მართლაც მის წაყვანას დააპირებენ“-ო. რუსებზე არ შეიძლებოდა ამას შთაბეჭდილება არ მოეხდინა და ახლო წარსულის ამბავი არ მოეკონებინა, როცა დიდი ერეკლეს მეორე რძალმა დამტკიცა მშენებირად, რომ შეეძლო ხანჯალს ხმარება ასეთ დროს. იქნებ ღენერალ ბებუთოეს ღენერალი ლაზარევის განგმიჩული მკერძი თვალ-წინ დაუდგა; და ქიდილი ამ მარიამისა მისი უფროსს რძლის ამცების შემდეგ ნახევრად განაღდებულად ჩასთვალა — ერევნის ღენერალმა. ამიტომ გასაგებია, რომ ბებუთოეს ჩიტათის თავიდან ასაკილებლად არჩია მარიამი როგორმე ტფილისამდევ გეგმზავრებინა ვითომდა მთავარმართებელთან პირადათ მოლაპარაკებისათვის და ხელმწიფესთვის თხოვნის გასაგზავნად. მეორე წერილში, რომელიც აღმად შეცდომით იმავე რიცხვითა დათარიღებული, ბებუთოეს როზენს ატყობინებს უცნაურ და გაუგონარ „სიჯირუტს“ და სიმტკიცეს, რომელსაც ეს ქალი იჩენდა დაულალავ თხოვნა-ჩერევა-მოლაპარაკების დროს. ეს სიჯირუტე ხშირად ისტერიული ხდებათ, ამბობს მმართველი; ამ გააფთორებულ ქალთან არავითარი საბუთი არა სჭრიდა და მე ყოველი იმედი დავკარგე, რომ ის ნებით ან შეილს გაუშევბს, ან მასთან ერთად წამოვაო. ამიტომ ერთად-ერთი გამოსავალია, რომ, როგორმე ტფილისამდე მაინც ჩაიტყუილონ ეს ქალი. აშეარაა, მარტო ამ გზით თუ შეეძლო ბებუთოეს ამ სახითათ თანერაციიდან თავის დახსნა. აღმად ამ ჩერების თანხმად მიმართა მთავარმართებელმა როზენმა, თავაზიანი და რიტორიული წერილით მარიამს და ურჩია ტფილისში ჩაბრანებულიყო პატარა ერეკლეთურთ. მართალია, უმაღლესი ნების შეცვლა არ შეიძლებოდა და ერეკლე უნდა საყუთარ „ბენდინერებისათვის“ პეტერბურგს გაიგზავნოს, მაგრამ როზენი პირდღობოდა მარიამს შეილთან ერთად ტფილისში იმდრინ ხანს დარჩენას, ჩამდინ ხანსაც კი თვითონ მოისურვებდა ბატონიშვილის მეუღლე; და შემდგომ, თუ იანახმა იქნებოდა, თვითოვე შეეძლო გაპყოლება შეილს რუსეთში და თუ არა, შეეძლო ერევნის მამსთან დაბრუნება. როზენი ეხლა ამის ცდაში იყო, რომ ეს დედა-შვილი როგორმე ტფილისში ჩამოყანა და ამით ალექსანდრე ბატონი-შვილთა კვევლი კავშირის საშუალება მოესპო მისთვის.

ამ ხანებში მთავარმართებელი უკვე აშეარად უხვევს ხელმწიფუს პირველ ინსტრუქციას „შთაგონების“ შესახებ და თ-დ ბებუთოეს უბრძანებს: — თუ სხვა არა გაუვა არა ძალა იმართოს და ისე ჩამოიყანოს მარტო ერეკლე მაინც ტფილისში. ამგვარ ძალადობაზე გადასვლას თა-

ვისი მზეზები ჰქონდა, რაც როგორნან ერთად პეტერბურგმაც შეიტყო

საქმე ის იყო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა, გაივი ფუ, რწყნული
რა ვერავული საშუალებით ფიქრობს რუსეთი მის ხელში ჩაგდებას „ფრაქტეკა
როგორ უწყალოდ უპირებენ საყვარელი ცოლშვილის წართმევას, მა-
ზნვე შესძრა სპარსეთის მაღალი წრეები. რუსეთის ამ განზრახვით ალ-
შვილებული სპარსეთის მთავრობა ჩერიგიულად ერევა საქმეში და დო-
პლომატიურ ნაბიჯსა სცდამს, რუსეთის ელჩი სიმონიჩი თავრიზიდან
სასწრავო ინსტრუქციებს ითხოვს, რომ შეეძლოს რაიმე დამაჯვრებე-
ლი საბუთი დაუსახელოს სპარსეთის მთავრობას იმისი, თუ რად არ უჭ-
ვებენ მარიამს და ერევლებს სპარსეთში საკუთარ ოჯახში, ალექსანდრეს-
თან. სიმონიჩი (ელჩი) სწერს როზენს, რომ „დასახელებული“ საბუთი
— თითქოს თვით მარიამს არ სურდეს ქმართან წასვლა, ან თითქოს სა-
გზოს ფული არა ქონდეს, საბუთად ვერ გამოდგება; სპარსეთის მთავ-
რობას და თვით ალექსანდრეს ადვილად შეუძლიათ წარმოადგინონ
საჭირო თანხა.

ამაზე მთავარ როზენი მეტად ვრძელი წერილებით მიუვებს რუსე-
თის ელჩს და საჭირო დარიგებას აწვდის. რომელშიაც ბრაზი და ნერკი-
ულობა უფრო გამოსცვივის, ვიდრე დოპლომატიური ელეგანსი. როზე-
ნი ურჩევს შეატყობინოს სპარსეთის მთავრობას, რომ დაბრკოლებას
მარტო გზის ფული არ იწვევს, არამედ ვალები, რაიც მარიამს ამ წლებ-
ში დაედონ და რის დატარევასც თითქოს დიდ თანხა სქირდება; და თუ
ალექსანდრე ბატონიშვილმა ამ დიდ თანხის შოგნაც მოახერხა ან სპა-
რსეთის მთავრობამ თვით წარმოადგინა ეს ფული, ამ შემთხვევაში რუ-
სეთის ელჩს ევალებოდა განეცხადებინა, რომ მას არ შეუძლია ამ თან-
ხის მიღება, ვიდრე პეტერბურგის მთავრობისაგან შესფერ ნებართუას
არ მივიღებო! მაგრამ როზენს თვითონაც ეკეცვება ამ მოქორილი „დადი
ვალებით“ ფონს გასცლა და უფრო მოკლე და მოჭრილ გზას იჩივევდა,
რომელშიაც კველაფერი იყო გარდა დიპლომატიური ეთიკისა, რაც
განსაკუთრებით სპარსეთის კაზზე ასე უცილო უნდა ყოფილიყო. მთა-
ვარმართებელი უჯავრდებოდა კიდევ რუსს ელჩს — რად იძება სა-
კუთოდ ამას? ან სპარსეთის რად არ მოუჭრით, რომ ეს რუსეთის ში-
ნაური, „საოჯახო“ საქმეა და რა უფლებით ერევა ჩვენს საქმეში შაპის
მთავრობაო? ალექსანდრე ბატონიშვილი, როგორც 30 წლის წინად გა-
მდგარი და მტერი, გამოცხადებულია კანონის გარეშე, ხოლო მისი ვაჟი
ერევლე რუსეთის ქვეშევრდომია და არა სპარსეთის, და ჩვენი საქმე,
რაც გვინდა იმას ვუზამთ მასმ.

ეს წმინდა რუსული სალდათური „პასუხი“ ვერც ერთი შერივ უკა
დააქმაყოფილებდა ელჩ სიმონიჩს და ამ წერილს მოჰყევა სხვა კიდევ შეა-
ვლი იმავ ხასიათისა. როზენი მკვახე და მჭრელ ტონს, როგორც ირკვე-



ვა, სხვა საბუთიც ჰქონდა; მთავარმართებულს დიპლომატიის აშვარი დელიკატობა, და ბატონიშვილ ალექსანდრეს ოჯახის ბედის გამო ჩატარებული მისამართი იყო, რომ ალექსანდრემ რუსეთს აჯანყებდი მოუწყო და საქართველოს მაძრის პროვინციად გადატეცვას არ შეურიცდა მა 30 წლის მანძილზედაც კი. ასეთი „ბუნტარი“ მარტო უმაღლესი სახელმწიფოს ლირს თუ იყო და აბა რა საჭირო იყო ამის გამო რა პლომატიური გართულებანი? რომენი სხვანაირად სხიდა ამ ამბებს და რასაკუთრებულია, სრულად უსაბუთოდ: მას ეგონა, რომ რუსის ცატი განსაკუთრებული ხატრია და მორცებით ეპყრობოდა ალექსანდრე ბატონიშვილს, როგორც ნათესავს. სიმონის ცოლად ჰყავდა ამილარაზე რის ქალი, რომელიც იყო და ალექსანდრეს მშისვილის, თეიმურაზ გიორგისძის ცოლისა, მაგრამ, ვიმერებდი, ამ გარემოებს არაეთისარი მნიშვნელობა არა ჰქონია ამ საქმის მსეულობაში და სიმონისიც ცე-თივე ერთგულებით ასრულებდა პეტერბურგის ნებას, როგორც ბატონი რომენი, მაგრამ, ვით დაპლომატს და მით უმეტეს, ირანის კარზე მყოფს, სულ სხვა ერთგული სტირონდა, რაც რომენს არ ესმოდა...

მთავარმართებულს არა ჰქონდა უნირი განზრახვა დაემალა და სა-გნებს ნამდვილი სახელით ნათლავდა; ამიტომ ის გულის ტკიფილოთ სწერდა ელჩ სიმონის — რა დროს ნორებია, რის დიპლომატია, როგორ საქმე რუსეთის ინტერესებს შეეხებათ?: „ალბად თქვენც აშეარად ხე-დავთ, რომ აუცილებელია ერეკლეს რუსეთში დარჩენა, რათა ამ ყვაწე წვილს მიეცე წესირი აღზრდა და განეგრიცის მას მომავლი კე-თილ-დღობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, იხტიალებს რა უცალ ჭე-კანაში თავის მამასთან ერთად, ის ბავშვიბიდანვე შეთვისებს აზრს, თი-თქოს საქართველოს რაღაც პრეტენდირთ იყოს, და დარჩება ყოველი განათლების გარეშე, და მარტო სიძულევლით აღიცხება ყოველივე რუ-სულისაღმი; და რადგან ბატონი ალექსანდრე მუდამ სცდილობდა უა-შირი დაეჭირა ლეკებთან და ჯერ კიდევ შირშნაც კი ურჯულო ქაზი მულასთან იყო, ასევე შეინახავს ამ კავშირს მისი შვილიც და როგორ წა-მოიზრდება, შეეძლება მთებში შემოვვეპაროს, სადაც დაუცხომელ ავტაკად გახდება, ან და მდგომარეობის მიხედვით, შეეძლება საგრძნო-ბი ზიანის მიყენება მთავრობისათვის“. (იხ. აქტები, ტ. 8, გვ. 220).

რომენის შორისშეცვრეტელობა მართლაც რომ ძალიან შორს მი-დიოდა ამ დროს და ეს ყველაზე აღრე ალექსანდრე ბატონიშვილმა ას-წავლა. მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ პატარა ერეკლესა და მისი დედის ტრალედის, თავრიშში რომ დაწყო და ერევნით ტფილისზე და უემ-დეგ პეტერბურგზე სევდის არშიად გადაირა.

როგორც დავინახეთ, ბოლოს რუსეთი სტოვებს მოკრძალებას და



როჩენა ბებულოვს უბრძანებს — ძალაც კი იმმაროს ერეკლეს ტფილის ში წამოსაყავანად ეს უკარისახა მას ან ერეკლეს მამის ჩქარა ხელშემოწმენა გვდების წაღილმა ან ჰერეტიკური მართლაც უხერხეულ მდგრძელეობა— ში ჩავირდა ღლექსანდრე ბატონიშვილის დაქინებისა და სპარსეთის დიპლომატის ჩარევის გამო. ბა—ლი ალექსანდრე მართლაც რომ არ აღლევდა მოსვენებას რუსეთის ელჩს და მის უსაბუთო და მოქლე-ფურის ტყუილებს, კოლშვილის ასე უხეშად წართმევის მიზეზად რო ასახულებდა, სპარსეთის საგარეო სამინისტროს ნოტები სულ აღვილად ააშა-არავებდენ. რა თქმა უნდა მარიმი მთავარმართებელს ვერ გაუქმდავ-დებოდა და ბოლოს იძულებული შეიწა მამის, მების და ახლომდების დაყინებით რჩევას დაყოლოდა... მაგრამ იარაღი მაინც არ დაუყრა და მმას ჭალი ჯერ მარტო ტფილისამდე წაყოლის დათანხმა. ბებულოვი 5 აგვისტოს 1833 წ. თარილით ატყობინებს მოთმინება გამოლეცოლ ბარინ როზენს, რომ ბოლო დროს იმ მუქარამ, რომ პატარა ერეკლეს ძალით და მარტოვა გაგზავნიდენ, გასჭრა; და ამ გზით მარიამს შეუთანხმდენ, 8 აგვისტო დაენიშნათ ტფილისში წასასვლელად. შემდეგ მარიამმა კიდევ შესძლო რამდენიმე ხნით გადაედებნა ეს ვალა. ებლა დანამდვილებით შევვიძლია ვსოფელი. რომ მარიამის „დათანხმება“ სწორედ ნაანგარიშები სტრატეგიული მოვლა იყო.

რა კი ერევანში მეტი გაჩრება აღარ ხერხდებოდა და შესაძლო იყო, მას შემდეგ რაც ქარას ძალად მოსწორიტეს, ეხლა შევილიც კი დაპკარგოდა, თოთქოს სურდა „ნებაყოფლობით“ ხელბოდა მთავარმართებელს ტფილისში ორი თხოვნითა. მარიამმა ბებულოვც კი დაიყოლია და როზენისთვის მიაწერინა — როვორმე ეს ორი სათხოვარი აესრულებინათ დიდი ერეკლეს ჩძლისათვის... პირველი იყო: ტფილისში საქართველოს ხნით დარჩენა, რათა ჯერ სულ ყრმა ერეკლეს (რაღაც 6-7 წლის) შეურა-კითხვა (თუნდაც რუსულით) მაინც ესწავლა; მეორე: გაეგზავნათ არზა ხელმწიფე იმპერატორისათვის და ეშუამდგომლათ ბატონიშვალი ალექსანდრეს ბედის შესამსუბუქებლად; და თუ ის რუსთავან ყოველი მხრივ შენდობილ და პატივულ იქნებოდა, რა თქმა უნდა, მოისურუბდა და ცოლშვილთან თვითონაც რუსეთისაკენ გამგზავრებულიყო. ამ თხოვნას, როგორც ვსოფელი, მხარს უჭირდა ბებულოვიც და ამინ უურო გა-აბედვინა მარიამს ერევნიდან ტფილის წასულიყო. აშკარა იყო — აქ-აც ჩვეული, ნაცად საშუალება და ხერხი მეტყველებდა ბაგრატიონთა და მათი ჩძლების, რომ როგორმე საქართველოში დარჩენის საშუალება და ვადა ვაეხანგრძლივებით და ვინ იყს, იქნებ ამ ხანგში ბევრი სუვ შეტრიალებულიყო და ისინიც საკუთარ ქვეყანაში ძეველებურად დარჩენილიყვენ. ამ ჩძლებში ყველაზე მეტი საბუთი, რა თქმა უნდა, პარიაში ჰქონდა, რადგად კარგად იცოდა, თუ რა დიდი გავლენა და პატი-



ვი ჰქონდა მის ქმარის სპარსეთის კარზე შობოებული; და თუ აქამდე ერა-
რას გახდა, იმედი იყო მალე ყველაფერს მთავარებდა, ოღონდ კი გამო-
დრომდე როგორმე არ გაცოლდნ დედა-შვილი მშობლიურ მიწა-ჭყალ-
აი, ამას აღწევდა თითქოს მარიამი ტფილიში წასელით და სჩანს არა
თუ უშედეგოდ დარჩენილა ეს ცდა. 1833 წ. 22 ენერინისოვეს მთავარ-
მართებელის აპარატის საშაულებით გაეგზავნია მარიამს წერილი ა-
ყვარელ ქმრისათვის, საცა თავის და შვილის ამბავს ატყობინებს და აკ-
ნობებს ხელმწიფის განზარხვას მათთვის რუსეთში გავზავნის შესახებ თა-
ბოლოს მოკრძალებით ურჩევს: თვითონც ითხოვოს ხელმწიფესასან
პატიგბა და ნება ცოლშვილთან ერთად რუსეთში გამგზავრების შესახებ.
დიდი პატიგით მიმიღო აქ მთავარმართებდებომათ, სწერს იგი ქმარს, ძა-
რამ რაა ჩემთვის ან დღე ან ღმე, როცა თქვენგან მოშორებით ვარო..
შემდეგ მარიამი მას ატყობინებს: პირადათ ველაბარაკე ბარონ როზენს,
რომელმაც განმიტადა, რომ ხელმწიფის ნება ერეკლეს რუსეთში წაკუ-
ნის შესახებ ურყევიათ. მე კი ამაზე თქვენ თანხმობა არა მქონდა და
უარის თქმაც ადარ შეიძლებოდა, აელმწიფის სურვილის წინააღმდეგ,
ამიტომ განცუცხადე როზენს: თანამდა ვარ წავიდე, თუ კი ჩემი ბატონი
და დამტირებელი, მეფის ძე ალექსანდრე აქ ჩამობრძანდება და ჩენებ ერ-
თად წაევალთ და წარესდგებით რუსთა ხელმწიფის წინაშეო. მთავარ-
მართებელს, დასხენს მარიამი, შეტად მოეტინა ეს ჩემი წინადაღება და
ძალინ კარგადაც მიმიღოო. და სოხოვს მარიამი ბატონიშვილ ალექ-
სანდრეს, „ასუხი დამიჩარეთ“-ო... (იხ. აქტები, ტ. 8, გვ. 223).

უეკველია, კარგად იცოდა მარიამია მისი „დამტირებელის“ და
„ბატონის“ ამბავი; იცოდა, რომ ის რუსეთს არასდროს არ შეურჩევ-
ბოდა და ბრძოლას არ დაგდებდა, მაგრამ საჭირო იყო დროის მოვება
და ეს დრო ხომ მის სასაჩერებლოდა მუშაობდა. „აქტებიდან“ სჩანს,
რომ ალექსანდრე ბატონიშვილს გაუგია თუ არა მისი ცოლშვილის ტყი-
ლისში წყვენის ამბავი, გაორკეციბული ძალით დაუწყა მოქმედება
საქმეში სპარსეთის დიპლომატიის უფრო ენერგიულად ჩარევისათვის.

15—9—33წ. რუსეთის ელჩი სიმონიჩი თავრიზიდან მთასხენებს
მთავარმართებელს ბატონიშვილი ალექსანდრეს დაუღალავ ცდაზე და
აქომბებს, რომ აზერბეიჯანის მმართველს უკვე ჰქონდა მისთან ამ სავან-
ზე ოფიციალური მოლაპარაკება. წერილიდან სჩანს, რომ ბატონიშვი-
ლი ალექსანდრე ვერ დაქმაყოფილებულა აზერბეიჯანის მმართველის
ნაბიჯებით და უთხოვნა სასწრაფოდ გამგზავრება შაპის მემკვიდრე
აბას-მირზაშათან, რომელსაც ყოველივეს პირადათ მთასხენებდა. რუს-
თა ელჩი უკვე შეშინებულია, რომ ალექსანდრეს ბატონიშვილის პირა-
დი და დიდი ხნის მეგობარი და საყვარელი თანამებრძოლი პრინცი აპას
მირზა მართლა ბეჯითად მოჰკიდებდა საქმეს ხელს და ასე უბრალო



ფრაზებითა და ნოტებით აწი საქმეს ალარ ეშველება რაო... ერთობის განვითარება
ამავე ღრუს ბარონი როჩენი ჟკვე გრძელება წერილებს აგზავნის ტერიტორია
ტერმურგში ცენტრალური მთავრობის დასამშვიდებლად: — თუკა
სპარსეთი ოფიციალურად ითხოვდა ალექსანდრე ბატონიშვილის ცოლ-
შვილის ისევ სპარსეთში დაბრუნებას, მაგრამ მან მარიამის მამის ჯა-
მარებით საქმე მოაგვარა და ებლა დედა-შვილი ტფილიში იძყოლებან,
რათა გაზაფხულზე პეტერბურგისკენ გამოეგზავრონა. ამავე ღრუსი,
მარიამის თხოვნის თანახმად, ხელმწიფოს ჩერევით მიმართავს, შეუჩდოს
ცოლვები ალექსანდრე ბატონიშვილს, მ სცეს რუსეთში ჩამოსვლის ნე-
ბა და წყალობებასც ნუ მოაკლებთ. ამგვარად, ალექსანდრე ბატონი-
შვილს კიდევ ერთხელ მიანიჭეს წარდაწინ „უკანასკნელი“ ამნისტია...
თუმცა მას არც ებლა ითხოვნა კრძმებათვის. როჩენი ამ ამნისტიას
ენკრისტოვის დამლევის წერილით ითხოვდა და უკვე 7 ნოემბრის სა-
სწრაფოდ სწერდა პასუხს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომ ხელმწიფუმ
„ყველაფერი აპატია“ ალექსანდრე ბატონიშვილს და თქვენი ნაბიჯები
შეტაც მოიწოდა.

ებლა თავსატენ საკითხად ის გახდომოდა — სად დაგასახლოთ
ბატონიშვილი დაბრუნებისას და იმდრენი ჯამაგირი დაუნიშნოთ. და
შესაფერ ჩერევას ბარონ როჩენს ჰერთხვდენ. უკანასკნელი თანახმა იყო
სადმე რუსეთში დაგენერალურებიათ ბატონიშვილი, ხოლო საქართველო-
ში კი არავითარ შემთხვევაში არა. მაგრამ ებლაც ტყუილა ჩაიარა მი-
წერ-მოწერამ და მილოცვებმა, ტფილისიდან პეტერბურგს მეფის კუ-
ლის მოსაგებად რომ იგზავნებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილი (კოლ-
შვილის დატყვევებით და „მეტვლობით“ ვერ ჩაიტუქს რუსეთში და
ხელმწიფის საჩუქრები და წყალობები მხოლოდ ზიზქი იწვევდა მას
გულში. მნე და გაელენიან ალექსანდრეს მანც სჯეროდა, რომ სპარ-
სეთის დაპლომატიური ჩარევე ბოლოს აიძულებდა რუსეთს მისი კოლ-
შვილ უკან დაებრუნებინ და ამ ბრძოლის ველზე მანც არგუნებდა
ძველ მტერს დამარცხებას და წართმეულ ოჯახს კვლავ აღადგნდა...
ამ იმედს უჟეველად ჰქონდა საფუძველი, რადგან ძლევამოსილი იკ
მისი მეგობარი აბას-მირზა, რამელიც ასე სკოლობდა ალექსანდრეს
მემკვიდრე გასჩენიდა და ეს მემკვიდრე მმის მარალი ტრადიციის მა-
ტარებელი გამხდარიყო, რუსეთის მოძულე და საქართველოს აღდგენი-
სათვის დაუძინებელი მტერი... აი, ეს მემკვიდრე ებლა რუსეთმა ვაიძ-
ვერულად მოპარვთ წართვა არა ვარტო მამს, არამედ ბაგრატიონებს,
საქართველოს და შეიძლება სპარსეთსც. ამიტომ ლამთბდა ალექსან-
დრე ბატონიშვილი ჩეარა ენახა აბას-მირზა და აზერებიჯანის მმართუ-
ლობის არა საქმაო ენერგიულობა მოეხსენება ამ საქმეში. მაგრამ...
ბედა ამ შემთხვევაში არა სწყალობდა ბატონ. ალექსანდრეს სწორედ



ამ ხანგბში აბას-მირზა მოულოდნელად გარდაიცვალა და ახალ შემკვეთი დრესთან, მემედ-მირზასთან ასეთი ინტიმური განწყობილება არა ჰქოული იყო იმ მიზანისას. რომ მისი ხათრისისთვის „პრინცის“ რუსეთთან საქმე გაერთულებითი. ალექსანდრე კიდევ სწორდდა და ანუგვშებდა მარიას: — მალე მემედ-მირზა წავა თავისის, სადაც მეც გავემგზავრები და რუსის ელჩის წარვუდები თქვენს საქმეზე პრინცის დახმარებითო. (იბ. 3—12—33 წ. წერილი ალექ.-სი მარიამისაღმი). მაგრამ სჩანს ამ ჩარევიღან არა გამოიიდა რა...”

მარიამმა მართლაც ჩინებულად შეასრულა თავისი გეგმა: მოახრინა სწორედ ერთი წლის მოგება და 1834 წ. აგვისტომდე ერეკლითურთ ტფილიში დაჭყო; მაგრამ სპარსეთიდან შველა მეტაც დაგვანდ.... რუსეთიც ხედავდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი შეტავებაზე და უკინ დაბრუნებაზე არც კი ფიქრობდა, პერიქით, მარიამსა და ერეკლეს ითხოვდა თავისთან სპარსეთში. ამიტომ მეტ დაყოვნებას აწირ ალათ ჰქონდა და როზენბა დედა-შვილი პეტერბურგისკნ გაისტუმრა.

„აქტებიდან“ კიდევ სჩანს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი 1834 წ. აგვისტოში ისევ თავისის ყყფილა და მემკვიდრესთან აუდინებაც ჰქონია, მაგრამ მარიამის და ერეკლეს ბედი ამან კედარ შებრუნა.

პატარა ერეკლე კადეტთა კორპუსში მაბარეს და ერთი წლის ზე-მდევ სასახლის პატებში ჩარიცხეს და მაღლ არდენებით დამძიმეს, ზეგ-რამ იმიტომ, რომ, როზენის თქმით, „საქართველო დავთწყებოდა და შის მოებს „ყაჩაღად“ არ მოვლენოდა, ჩოგორუ მამა მისი“, საქართველო-საოცის რომ იწოდა და იბრძოდა ღრმა მოხუცებულობამდე...

ალექსანდრე ბატონიშვილი სიკვდილამდე შერჩა მტერებდ ფუქს, დიდი ერეკლეს დროშაზე რომ მისცა, და რა კი ვერ შესძლო მთის სა-ქართველოს სასახლეზე აფრიალება, გულში ჩაიხუტა და საფლავში თან ჩაიტანა. 73 წლის ალექსანდრე თეირაპში და მისი რაინდობა და გმირობა ისე ლირსეულად დაუფისა მოწინააღმდეგ რუსეთში, რომ უკანასკნელი ნეუგეშიც წააჩოვა, ცოლშვილი ქურდულად გამოაცალა და ჩირილო-ეთში გადაკარგა...

შეენიერი მარიამ რუსეთის სუსხბა დააზრო და დამტირებელზე და საყვარელ ბატონზე უძილო და უძირო ფაქტებმა დალიეს მასი მთრთოლევარი გული...

დაშანო რუსეთის ბაგრატიონთა უკანასკნელი ოჯახიც საქართველოში: მძევლებად წაიყვნა დაუტბრომელი მტრის უსაყვარლესი უ-სებანი იმ იმედით, რომ მასც ხელთ იგდებდა... რომ ეს ცოცხალი პრო-ტესტი, სინიბისის მხელა, საქართველოზე მოხდენილ გაუგონას კა-მართლობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩაუყარდებოდა და ამით დიდი რუს-თის დიდი მორალური მარცხიც დამატდოდა... მაგრამ იმ ძელ მარცხს კიდევ მეორე მიემატა.

დ. სალიჩაშვილი

სპარსეთის რევოლუცია

1908 — 1909 წწ.

(მოგონებანი)

(დასასრული)

ნიაზი ბერი ციხის აღება

ამ სიმაგრის აღება არც ისე ადვილი გამოდგა; თუმცა იგი აშენებული იყო დაბლობზე, მაგრამ თოქეს განვებგ მოებით იყო შემორტყმულ გამაგრებული. ამ მოების აქეთა ძირში მდინარე გვყოფდა ჩვენ და ცახებ. მდინარეზე ერთი ქვის ხიდი იყო გაჯებული, კარგად გამაგრებული და დაცული. კიხესთან მიახლოებებისათანავე ქართველების თაოსნობით ნაჩირევად იერიშზე მივედით, მაგრამ ჩქარი დავრწმუნდთ, რომ ასეთი შეტევით ამ სიმაგრის აღება შეუძლებელი იყო. როგორც სჩანადა ვერხდებოდა ცდა და პაზიციური ბრძოლის წარმოება. ქართველების პოთმინება ელეონორ. ჩვენივე წინადაღმით სამხედრო თაობირმა ვაღაზევიტა ნავტოებით მდინარეზე რაზის ერთი ნაწილის გადასხმა და ჟორე ნაწილით კი პირადი ხილის მიმართულებით შეტევა. ასევე მოადაღმის 12 საათზე დაიძრა ორივე ნაწილი. მე მოვხედდ ხილის მიმართულებით. ჩემს გარდა ამ რაზმში ქართველება არ ერიენ. ჩვენი ამოკანა იყო: ხილის ყურით შეუმჩნევლად მასვლა და იქ ცდა, ვაღრე მეორე ნაწილი მდინარეზე გადავიღოდა, რასაც ყუმბარის ხმით გვაცნობებდა. თვეის მხრივ ჩვენც შეტევას ყუმბარისავე ხმით შევატყობინებდით. ჯამის 3 საათზე მე ჩემი რაზმით უკვე ხილის ყურთან შეუმჩნევლად ვაღევი. კოკის-პირული წვიმი მოდიოდა, მაგრამ ჩვენ მინც არ დაეძრულვართ. მდინარე საშინაოდ აღიდდა. აშკარა იყო, მეორე ნაწილი ამ პირობებში თავის მიზანს ვერ მიაწევდა. სპარსელი რაზმელების ერთი ნაწილი უკან დაბრუნებას შეეცადა. ჩემი დაყოლიებაც მოიწადინეს, მაგრამ მე ყუმბარით დავეძუქრე და ვაიძულე გაჩერებულიყო. გაჩდა დილის 7 საათი. ეხლა კი ცხადი იყო, რომ უკან უნდა დაებრუნებულება ყავით: საშიშო იყო მეტი გაჩერება, ვინაიდან ხიდის მეორე მხარეს შე-



ეძლოთ ჩვენი შემჩნევა და რაზმისათვის ზიანის მიუწვდო. ამიტომ შემჩნევა
ბრძანება გავეცი ძეველ პოზიციებზე უკან დაეხიათ. ჩვენი რაზმი ზემოაღმართება
ათზე უკვე თავის ძეველ ადგილზე იყო. გამოირკვა, რომ მეორე რაზმი
შეეცალა ნავტიკებით მეორე ნაპირზე გადასულიყო, მაგრამ მდინარის
აღიდების გამო, ვერ მოეხერხებიათ. მხანაგები ბევრს დამცინდენ
ჩემს პუნქტუალობას, მაგრამ მე მათი არა მცხოვრდა. საშინალად ვიყავ
წევით დასველებული... რამდენიმე დღის მოშზადების შემდევ, როცა
მდინარემ იქლო, ჩვენ იმავე წესით მივიტნეთ იტრიში. იტრიში ისკით
სწრაფი და მარცი გამოდგა, რომ მოწინააღმდეგემ ველარ გაუძლო და
ჩეარა ზურგი გვაჩვენა. ისინი არ მოელოდენ მდინარის მეორე ნაპირს
მტრის დანახვს. მათ მიერ ციხის დაცულა და ცხენებით მთაში გაბნევა
ისეთი ნაჩირევება და არეული იყო, რომ ვერაფრის წალება ვერ მოიუწ-
როთ. მათ სიმაგრეში ბევრი დარჩა დიდ-ძალი ხორავეულობა და აგ-
რეთვე მოხარული ფლავით სავსე ჭაბები. ეს ციხე და უფრო კი შეიძი
სასახლე საუცხოვ სანახაობას წარმოადგენდა: მშვენიერი ბალი ლაპა-
ზი ხევნებით, ცოტი მაღლიაზე მარმარილოს ქვით ნაშენი სასახლე, მას
წინ ერთი მარმარილოსავე დიდი და გარშემო პატარა აუზები. აქეცან
მშვენიერ მარმარილოს კიბის მიჰყავდით თვით სასახლეში, რომლის
ფანჯრები, კარებნა და გუმბათი სხვადასხვა ფერი მინებით იყო მორთვ-
ლი. ოთახია მოწყობილობა წმინდა სასახლელ-აზაბული სტილით. ლუ-
მის და ვეფხის ქანდაკებანი ნამდვილი მათი ტყავით შემოსილი. ასას
გარდა ათასანირა საუცხოვ ფრინველები. ყველა ეს ისეთ წარმტაც
შათაბეჭდილებას სროვებდა, თოთქოს საყარალი დიდედ ზღაპარს ვე-
უბნებოდა. მაგრამ, სამუხაროში, ერთი ლიმის მეტი ვერ გავთით ამ
სამოთხეში; მეორე დილის ვერ გვენა რაზმა წინა მდებარეობ მოე-
ბის გადასახვა, რადგან გვემის თანახმად, ჩვენი რაზმი ეფრემის რაზმს
უნდა შეერთობოდა. ერთი დღის სირულის შემდეგ მართლაც მივიღოთ
ცნობა, რომ ეფრემის თავისი ოპერაციები უკვე გაეთავებია და ჩვენ რაზმს
ელოდა. ამ რაზმების შეერთებაც მაღლ მოხდა ქალაქ ყაზვინის 15 კ-
ლომეტრზე. აქვე გავიგეთ ეფრემის სისასტეკის ამბავიც. მას დურსუდ
ხანის სიმაგრის აღების დროს, რომელიც საქმაოდ გამჭლავებოდა და
კარგი ზრალიც მიეყენებინ მისთვის, მის საკუთარი ცხენიც კი მოეკ-
ლათ ბრძოლაში, ბევრ მებრძოლს მეტეში შეეფარება თავი იმ იმე-
დით, რომ იქ მანიც მათ ხელს აღარავინ ახლებდა მაგრამ ეფრემის ბრძა-
ნებით, აქაც ყუმბარები დაეშინათ და თოთქმის უირალო ხალხი ამოაწ-
ყოტათ. ეფრემის ეს საქციელი სამართლიან წყრომას იწვევდა სპარსელ
მებრძოლებში და სახედრო შტაბი იძულებული იყო ეფრემისათვის სა-
კუდურ გამოეცხადებია. ქართველების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ
ამ სამარცხენო საქმეში მათ მონაშილეობა არ მიუღიათ.

ორივე რაზმის შეერთების შემდეგ ჩვენი სამხედრო ძალა უკვე სა-
 გრძნობი შეიქმნა. მასში შედიოდა 5000 ცხენისანი, ორი ზარბაზანით.
 ჩვენ ვიდებით ყაზვინიდან 15 კილომეტრზე; სამხედრო შტაბში კალ-ჯ-
 წყვიტეთ დაუყონებლივ ქალაქს მივახლოვებოდით და სიმაგრე მისაკა-
 ბდ კილომეტრზე რომ იმყოფებოდა, აგველო. ჩვენი ცნობით იქ ორი ზარ-
 ბაზნი იყო; და ამ სიმაგრისა და ზარბაზნის ხელში ჩაგდება საგრანატ-
 ლად გვაახლოვებდა ჩვენს მიზანს. ამიტომ სასწრაფოდ გავემართოთ ამ
 სიმაგრესაკენ სამი მიმართულებით, მაგრამ დამცველმა რაზმა შეგვამ-
 ჩნდა თუ არა, გაიქცა, არეულად თავი ქალაქში შეფარა და მიატოვა ზარ-
 ბაზნები. ჩვენ უკვე თოხიზარბაზნის პატრონი გავხდით. რისი მომასწა-
 ვებელი იყო მოწინააღმდეგის ასეთი საქციელი? ცხადია, იგი არ ელოდა
 ჩვენს ასე მოულოდნელ თავდასხმას; საჭირო იყო ამ გარემოებით გვა-
 სარგებლა და საჩქაროდ თვით ქალაქის აღება გვეცადა. მალე ეკვიპ-
 შემუშვედა. სიმართლე უნდა ითქვას მუზიზი სულთნთან ეფრემშვერ-
 ლი ცოდნა და ნიჭი გამოიჩინა ამ ქალაქის აღებაში. ქალაქქ ყაზინი შე-
 მორტყმულია, როგორც ძველი სპარსული ქალაქი, მაღალი კედლებით;
 მას შესავალი აქვს მხოლოდ თოხი კარგიდან. ეფრემს ცნობა ჰქონდა,
 რომ მხოლოდ აღმოსავლეთის კარგი იყო ღია — მიმავალი ქალაქ იუ-
 რანისაკენ. სხვა სამი კიბი მაგრად დაკვერილი და კარგად გამაგრებული
 უნდა ყოფილოყო. ეფრემის წინადაღებით შტაბმთ გადასწყვეტა: პატა-
 ჰა ნაწილი რაზმისა დაგვეტრიერებინა წინა კარგისათვის და დიდი მაში-
 ლით კ თეირანის გზით მოგვევლო. კველა ქართველი გაქცევა დიდ ნა-
 წილს, ვინაიდან ნამდვილ ბრძოლა მას მოელოდა, — პატარა რაზმებს
 მხოლოდ მოწვენებით შეტევა უნდა წარმოებინა. ჩვენი რაზმი ღა-
 ძრა და გაუშურა აღმოსავლეთის კარგისაკენ. ჩვენ განზრას შორის ან
 ცუვლიდით ქალაქს, რომ იქნან არ შეგმჩნიათ ჩვენი მოძრაობა. საღ-
 მოს 9 საათზე უკვე ვარებს მივაჟალოვდით. ქალაქის ახლო სოფლებში
 ძალებმა ყეფა ასტეხეს, სამაგიეროდ გლეხებმა, გაიგეს რა ჩვენი მოძ-
 რაობის მიზანი, დიდი ხალისით წამოგვყენ და უფრო სწორი გზით მი-
 გვიყვანეს პირდაპირ ალაყოთთან, რომელიც მართლაც ღია დაგვაჩუა-
 რაზმი დაუყონებლივ შეიქრა ქალაქში და დაწყო პატარში სროლა, რა-
 მაც თვითი გავლენა იქნია. მცხოვრებნი იმ წამსკე სახლებში შეცვივ-
 დენ; ერთ წუთში ქალაქის კველა ქუჩა ჩვენს ხელში იყო. მაგრამ ბრძო-
 ლა, რასკვირევლია, ამით არ გათავებულა; პირიქით, სწორედ ახლა
 იწყებოდა ნამდვილი ომი. ქალაქის გუბერნატორი გმაგრდა თავის სა-
 სახლეში, სადაც აგრძელებული დაუყონებლივ დაუყონებლივ დაუყონებლი-
 ბით გარდა ამისა, თვით სასახლე წარმოადგენდა პატარა ციხე-სიმაგ-

რეს, აგრეთვე შემოვლებულს მაღლი კედლებით. ჩვენი ცნობით, ქალაქის სხვა კარებებიან, ქარვასლებში დიდი ძალას ჰქონდა თავი მოყრის და უკეთესობა თავი მომდინარეობა თავი საჭირო. ბრძოლა გაჩილდა.. მშოდა ქუჩებში დაჭრილთა კვნესა. უცბად შემზედ ჩვენი ამხანაგი „ალე-ქსი“; ის მიწაზე იწვა და კვნებოდა. მე იმ წამევე შევეკითხე, თუ სად იყო იგი დაჭრილი, და როცა გავიგე, რომ ბარბაუში იყო დაჭრილი, ცოტათ დამშვიდიდა. საჩაროთ მოვახდე ორი რაზმელი და მათ იგი ერთი სპარ-სელის ბინაზე მივაყვანინდა.. ამასობაში ჩვენებმა ნავით მოიტანეს და ალაყაფის კარებს ცეცხლი წაუკიდეს. ავარდა ცეცხლის ალი და მუხის კარებს ნაჭერ-ნაჭერ სცივოდა, და ჩვენი მოთმინების ფიალაც იცსე-ბოდა. საჭმე ისაა, რომ ჩვენ, აუც შეიძლება მალე უნდა გაგვეთავებინა ქალაქის დამორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო იყო შავის ჯარების მოშეველება და მაშინ ჩვენი ჯარი, ქალაქში შეჭრილი და ქუ-ჩებში გაფანტული, საშინელ მდგომარეობაში ჩავარდებოდა. ამიომ ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა კარები დამწვარი ძირს ჩა-მოვარდა. მაშინვე შევცვივდით ეზოში, მაგრამ ამ დროს ჩასაფრებულ-მა სარბაზებმა ტყვია სეტყვასავით მოვაკირეს. ჩვენ იძულებული ვა-ვხდით უკან დაგვეხია. რამოდენიმეჯერ ესტადე იერიშით მისვლა, მა-გრამ ყოველთვის უშედეგოდ. ცხადა შეიქნა, რომ იმ ლამეს ჩვენ საუ-ხლეს ვერ ავიღებდით; სიბერელის გამო: ვინ ვის ესროდა და საიდან უნ-და მოვარა მტრისათვის, ამის გამორჩევა ძნელი იყო. ჩვენ გადავწუ-ტეთ, სასახლისათვის მაგარი ალყა შემოვერტყა, რომ იქ მომწვდელული სარბაზები გარედ არ გამოსულიყვნენ. ნართლაც, მათ რამოდენჯერმე სცადეს რკალის გარღვევა, მაგრამ მათაც ყოველთვის უშედეგოდ.

როგორც იყო გათხნდა. ჩვენ ცნობა მივიღეთ, რომ ქარვასლებში დაბანაკებული მოწინააღმდეგე და აკტივობას იქნება და სასახლ-ს განსათავისუფლებლად მოიწევდა. ჩვენი ნაწილები, რომელნიც მათ წი-ნააღმდეგ იყვნენ, საშიშ მდგომარეობაში ჩავარდენ. მაშისადამე. საჭ-რო იყო მიშველება, იქ მტრის დამარცხება, ქლაქის ყველა აღვლის ჩე-ლში ჩავდგა და უქანასნელად, საერთო ძალით სასახლის აღება. ა-მხედრო საბჭომ; რომელიც ქუჩაში შესდგა, ასევე გადასწუვიტა. ამის თანახმად, დიდი ნაწილით, ჩვენ ქარვასლებისაკენ გავიშურეთ; სასა-ლის ალყისათვის კი დაქსტოვეთ პატარა, მაგრამ მტკუც ძალა. ქართვე-ლობის უმრავლესობაც აქ დარჩა. მათი ამოკანა იყო შემდეგი: ვიღრე ჩვენ წინა ოპერაციებს გავათავებდით, არავითარ შემთხვევაში სასახლის ჯარი გარედ არ უნდა გამოეშვთ. ქარვასლებთან ჩვენების მდვომარე-ობა მართლაც უმწეო შექმნლიყო. ჩვენ ორი მტრიდან მივიტანეთ იუ-რიში და მოწინააღმდეგე ვაიძულეთ ისევ ქარვასლებში შესულიყო. მაგ-რამ ჩვენ ისეთი სისწრაფით მიესდიეთ მას ფეხდაფეხ, რომ ვეღარ გაგ-

ვიძლეს და ერთი საათის ბრძოლის შემდეგ თეთრი დროშა ააფრიალეს,
ჩვენ მათ იარაღი ავყარეთ და კარგი სამხედრო დაგვლაც დაგრძიშავთ
ქალაქის ყველა აფილი ჩვენს ხელში იჯო, გარდა სასახლისა. იჭი ჭი ჭი მარიამი ერა
ნი ამხანაგბი იგერიებდენ სარბაზების გამწარებულ იტრიშებს და ჩვენ
სწორედ კრიტიკულ მომენტში მივუწარით. ამის შემდეგ ჩვენ შეერთე
ბული ძალებით მივიტანეთ იტრიშები. სინელე იმაში მდგომარეობდა,
რომ ეზოდან ორასი ნაბიჯის იქით გაკეთებული იყო ვეირაბი, ას ნაბი-
ჯის სიგრძის, და სასახლესა და დარახახას ვერ მივუდგებოდთ. თუ არა
ამ ვეირაბით ვეირაბის იქით კა ჩასაფრებული იყნენ სარბაზები ისე
მოხერხებულად, რომ მათ კაცი ვერას გზით ახლო ვერ მიუდგებოდა.
მაგრამ ეს დაბრკოლებაც დაძლებულ იქმნა. ამას იმ გარემოებამაც შე-
უწყო ხელი, რომ ქალაქი უკვე ჩვენს ხელში იძყოფებოდა და ქალაქის
მცხოვრებიც ჩვენ გვემთარებოდნენ. სასახლეში დაინახეს რა, რომ ქარ-
ვასალებთან ბრძოლა შესწყდა, ვეღარ გასალეს სულიერად, და ორი საათის
ბრძოლის შემდეგ მათაც თეთრი დროშა ააფრიალეს. ჩვენ მაშინვე შე-
ვიქერით სასახლეში და დარახაზე. მივუჩინეთ რა განსაკუთრებული
რაზმი განარაღების საქმეს, შეეუდებით ქალაქის მრთველის, გუბერ-
ნატორის ძებნას. ექვებდა ყველა, მაგრამ უშედევოდ. ჩვარდით საგონე-
ბელში. მაგრამ, გამოვედით თუ არა გარედ, მუიზა სულთანის მიერ-
და ერთი სეითი და რაღაც ჩიუმდ უთხრა. მუიზა სულთანმა თანხმობის
ნიშანად თავი დაუჭნია. სეითი სწრაფად გაეშურა სასხლისაკენ, მათ-
გა ერთ კედელს, ძირში ხელით თხრა დაუწყო და ჩქარა კიბის პირველი
საფეხური აღმოაჩინა. როცა ის ადგილი მოსთხარეს, აღმოჩნდა კარგად
გაკეთებული კიბე და იქვე კედლის ძირა სის კარები. კარების იქით რა-
ღაც ხმაურობა ისმოდა. ეს კარებიც შეამტკრიეს და რა ვიხილეთ!: შიგ
იძყოფებოდა ხუთმეტი ქალი, მხოლოდ ამათ რიცხვში თვით გუბერნა-
ტორი, რომელსაც ქალის ტანისმოსი გადაეცა. როგორც გამოირცა,
იქ ყოფილიყო საიდუმლო ხერელი და ღმით გუბერნატორი გაპარუქა
აპირებდა. მაგრამ კიბე შიგნიდან ტყდება: სეითმა, სასულიერო პირმა
მას ულალარა. გუბერნატორი იქვე დატყვევეს, ქალები კი გაანთავი-
სუფლეს. ამ რიგად დამთავრდა ეს ბრძოლა. ის გაგრძელდა 18 საათი.
დაჭრილი და დახოცილი ბევრი აღმოჩნდა, მათ რიცხვში სამი ქართვე-
ლი: ალექსი ბარძაცმი და ილიკო კულში, მიშა ჯაფარიძე მსუბუქა-
ჩვენ ყველას ილიკოს შიში გვექნდა, რაღაც ის პირიდან სისხლს აღმი-
ნებდა, მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინგბა: ილიკო მორჩა და ოლექსი კი
მოკვდა. მას სისხლს მოეწამლა თურმე, ვინაიდან მას მოხვდა ვარანდი-
ლის ტყვია, რისაც საწყალს ყოველთვის ეშინოდა. იტყოდა ხოლმე: —
ოონდ ეს ტყვია ნუ მომხვდება და გინდ ზარბაზანის ტყვია მომხვდეს.
ვარანდილის ოოფის ტყვია საშინელ ჭრილობებს აყნებს კაცს. იგი კი



არ ხვრეტდა, არამედ ფლეთავდა ხორცი. — ჩვენი ალექსი, ტფილისის ურთიერთობის მუშა-მექენემ, თავდადებული მებრძოლი თავისუფლებისათვის, სწორედ იმ ტყვის მსხვერპლი გახდა. მისი დამარხება განუსაზღვრელი პატივის-ცემი იყო მისითვის და მთელი ქართველებისათვის, დასფლვების პროცესისაში მონაწილეობა მიიღო მთელმა ჯარმა და მცხოვრებმა. მის სა-საფლაოზე წარმოითქვა მრავალი სიტყვა და ყველა ამ სიტყვის აზრი ის იყო, რომ მაღლიერი სპარსეთის განთავისუფლებული და განახლებული ერი არასოდეს არ დაიგრძებას იმ სამსახურს, რომელიც ქართველმა ერ-მა, თავის მებრძოლთა სახით, მას გაუწია. სალამოს ქალაქის მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი, სადაც ქალები ჩადრებით პირველად დაეს-წრენ. და როცა სპარსელი ორატორები, მშვენიერ, მომაჯადოვებელ ფარსულ ენაზე, რომელიც სილამაზისა და სინაზის განხორციელებად ჩაითვლება, აღგზნებულნი ხალხს განთავისუფლებას ულოცავდენ, გუ-რჯების, ქართველების უანგარი ღვაწლს განსკუთრებული სიყვარუ-ლით ისტენიებდენ, რაც ხალხში დიდ აღტაცებას იწვევდა და „ზინდა-ბად გურჯაისტა!“ — გაუმარჯვოს საქართველოს — ძახილს ბოლო აღარ ჭინდა. „გურჯები“ საერთო სიყვარულის საგნად გახდენ. მათ სასხე-ლოდ ითხებოდა ლექსები და სიმღერები რომელთაც ქალებიც კი მღე-როდენ.

ბრძოლის გათავების მეორე დღეს სამხედრო შტაბი შეუდგა ყოვე-ლი. საჭმის წესრიგში მოყვანას. სამოქალაქო ცხოვრების მოსაწყობად განსაკუთრებული პირი იქნა დანიშნული. პოლიციის უფროსად დანი-შნეს ეფრემი, რომელმაც მაშინვე ისახელა თავი სისასტრიკოთ. მისი ბრძა-ნებით ზინორებმა დახვრიტეს სასახლის ერთში იჩი სპარსელი და ერ-თი სომები, რომელთაც ჯაშუშობა პრალდებოდათ. მე ქალაქ გარედ ვი-ყავი, და როცა შემატყობინეს, რომ ეფრემმა სამი ჯაშუში დაჭიროა და დახვრეტას უპირებს, საშინალო ავლელდი და იმ წამსკე სასახლისაკენ გავექნე, მაგრამ სამწუხაროდ, მიყვენებარ სწორედ იმ დროს, როცა ის უბედური უკავ კელელზე მიეყუდებინათ. მე შევეცადე შემეჩერებინა, მაგრამ გვიან-ლა იყო! გვარდა თოფები და სამიცე ჩაიკეცა. ამ სურათმა ჩემზე ისეთი შემზარავი შთაბეჭილება დასტოვა ჩემზე, რომ ეფრემს აქვე ჭრიაში ჩემი ზიზლი და გულისწყრობა გამოვუცხადე...

მზადება ქ. თეიქანის ასაღებად

დპ

ჩვენი დაბრუნება ეპარქიულობი

ქალაქ ყაზენის აღებით სპარსეთის დიდი ნაწილი ახალი მოძრა-ობის დროშის ქვეშ დადგა. ჯერ კადეც რეზტის აღებით და ჩვენი შებ-დევ გამარჯვებათა გამო, თავრიზს ალყა მოეხსნა და შახის ჯარმა ჭ.



თეპირანს შეაფარეს თავი. როგორც სჩანდა, ზახი ალი მამეცუ ჭაწერულუა წასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლის მოკემას თეპირანთან აპირებდა. მშენებელ მუიზა სულთანის, ყიარიშ ხანის და მამეც ხანის შესანიშნავი აზრი იმას შესახებ, რომ გოლიანის დაბურობით სათარ ხანის ხსნა მექანიკურად ხდებოდა, საესებით გამართლდა. ეხლა საჭირო იყო ყოველი ძალის კონცენტრაცია და ეს ჭ. ყაზვინში უნდა მომხდარიყო. სამხედრო შტაბიც ასე მოიქცა. რეზტის გარნიზონს ებრძანა მოსხილიყო და ყაზვინის ჯარს შეერთობოდა, თავრიზს განსაკუთრებული პირი გაიგზვნა სათარ ხანთან მოსალაპარაკებლად და სამხედრო შტაბის გეგმის გასაცნობად, რის მიხედვით იგი თავისი ძალებით ყაზვინისაკენ უნდა წამოსულიყო. დამყარდა აგრეთვე მტკიცე კავშირი ბატტიარებით. ეს მეომარი ხალხი ბინადრისს ისპაპაში, საარაეთის სამხრეთ-დასაცლეთ ნაწილში. აქვე ბევრი სოფელია ქართველ მუსულმანთაგან დასახლებული; მათ ჰყავთ მეტად გამძლე ცხენები და ამის გამო ბატტიარების რაზმში ბევრი ქართველი მუსულმანიც ერთა.. ქართველებს აქ კარგი მეურნეობა აქვთ: მოჰყავთ აგრეთვე ყურძნები და საუცხოვო ღვთისა და ორაეს ხდინი. ლაპარაკებები ფასხულია, მაგრამ ბევრგან ქართული ენა შეჩერინილია, მეტადზე ქალებში, რომელიც ჩადრას სრულიად არ ხმარობენ. ზოგიერთ სოფელს ქართული სახლიც აქვთ, მაგალითად კი, ნიჩბაი ხევა, სადაც მემინძლე ყოფნა, გვერები ხომ სულ მთლად ქროსულია: პაპშეილები, ფალავანდიშეილები, ხიზანიშეილები, ნიზიდაშეილები და მრავალ სხ. აქაური ქართველობის რიცხვი, ზოგიერთის ცნობით, ორმოც ათასამდე აღის, სხვების აზრით კი, ასი ათასამდე. საკვირველია, აქაური ქართველობა სრულებითად დაჩაგრულდა არა გრძნობით თავს; პირიქით — ისინი ვაბატონებული არიან თავის მეზობლებზე, რომელთაც ქართველები დაბალ ხალხად სოვლიან, ისე რომ ქალსაც კი არ მიათხვებენ. ჩემდა სამწუხაროდ, ერთი დღის მეტი აღარ შემძლონ დაჩინა და სხვა ქართული სოფლების ხახვა და ქართველების განობა; მე და ერთი სპარსი არტლერისტი ოფიცერი, რომელთან ერთად ბატტიარებთან მოსალაპარაკებლად ვიყვავი, საჩარიო ყაზვინში უნდა დავტრუნებულიყავით. მოლაპარაკების შედეგი და აქ შეკრებილი ცნობები ძალიან სერიოზული იყო, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მხრივ. აქ შევიტყვეთ, რომ ინგლისი და მეტადრე რუსეთი ინტრიგებს აწყობდენ სპარსეთის განმათავსუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, და მოსალოდნებული ხდებოდა მათი ჩირევა სპარსეთის საქმეებში. ლიახვის ყაზახებიც ემზადებოდნენ ზახის დასაცავად და თავის რაზმებს აძლიერებდენ. ეს გარემოება უფრო გამოიკვავა, როდესაც ყაზვინში ჩამოვედით. საქმე ისაა, რომ რუსეთი ცხადათ პროვოკაციას აწყობდა. ყაზვინში იყო დაბანაკებული რუსის ყაზახების ერთი ასეული. დასაწყისში ისინი ძალიან წყნარი იყვნენ.



რად იყვნენ და სრულიად არც კი სჩანდენ ქუჩებში; მაგრამ ორი კეირის რეზისურული შემდეგ, რაც ღრმ გადიოდა, ისინი თანდათან თამამდებოდენ. ბუნება რიგია, რომ სპარსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები რაიმე საბაბის მიუემას ერიდებოდენ და მათ პროვოკაციას უფრთხოდენ. ყაზახები კი განაგრძობდენ თავის გამომწუვევ მოქმედებას. მათი უტიფრობა იქამდე მოიდა, რომ ერთ ლაშეს, იქ, სადაც ქართველები იყენებ დაბანაკებული, მოვრალები, თოფის ხელში ეჭვინენ და ლანძღვა გინება დაუწეუს; ეს კი ჩევნებმა ველარ მორთმინეს; საჩიაროდ შეისხეს იარაღი და საქართველოში ყაზახთაგან ისედაც გამწარებულნი, აქ მოინდომეს მათზე ჯავრის ამოყრა. ეს უნდოდა ალბად რუსულ პოლიტიკასაც. ამიტომ ყოველივე ზომა უნდა მივგელო, რომ ეს შეტაკება არ მომხდარიყო. მე საჩიაროდ გავეშურე მუიზი სულთანთან, რომელიც ახლოს სცხოვრობდა. ის ათ წუთში უკვე ჩეინთან გაჩნდა. მუიზი სულთანი ისეთი საყარელი კაცი იყო, რომ მისმა თხოვნამ გასჭრა და ჩევნებმა დაუჯერეს მას, მხოლოდ განუცხადეს: თუ ყაზახების უტიფრობა არ იალგადა და ასეთი შემთხვევა კიდევ განმეორდა, ისინი პასუხს აღარ იგებნ, რაც მოხდება, მოხდეს.

ცხადი იყო, სამხედრო შტაბს რაიმე ზომა უნდა მიელო. მისი გადაწყვეტილებით, მუიზი სულთანი ეჭვია ყაზახების უფროსს. ამ მოლაპარაკების ღრმის მეც თან წამიყვანა. სულთანმა განუცხადა ყაზახების უფროსს: თქვენ ცხოვრობთ ჩევნის კვეყანაში. როგორც მეზობელი-მეგობარი სახელმწიფოს წარმომადგენელი. თქვენი მოვალეობაა პარსეთის შინაურ საქმეებში ნებტრალობა დაიცვათ; ამავე ღრმის პატივი სცეთი მ ხელისუფლებას, რომელიც დამყარდება ამ ქვეყანაში. თქვენი ჯარისკაცი კი აშეკარა პროვოკაციას ეჭვიდან. ამის სათანალო საბუთები ბევრია და გუშინ ლამით მათი საქუილი გამო კი ოქმი არის შედგნილი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელის თანადაწრებით (გულისხმობდა გერმანელებს). იცოდეთ, თუ თქვენ არ შეწყვეტი ამას, ჩევნი იძულებული კაქებით მოვილოთ თქვენს წინააღმდეგ სამხედრო ზომებით. მე დავუმატე, რომ ერთხელ მოხერხდა ჩევნა და ყაზახების შეტაკების აკლება, მაგრამ შემდეგისათვის გარანტიას არ ვიძლევითქმა. — ამავე ღრმის კურჩიეთ სხვა აღგილას გადაეყვანა ყაზახები. მუქარამ გასჭრა. მეორე დღესვე ყაზახები მოაშორეს ქალაქს და ერთ ახლობელ სოფელში გადაიყვანეს.

რაც ღრმ გადიოდა, ჩევნი ჯარების რიცხვი იზრდებოდა. სათარხანი უკვე მოვიდა ყაზენიში თავისი ათი ათასი ცხენოსანით. თავრიზის გმირს დიდი პატივითა და აღტაცებით შეტაკებენ.

ბახტიარები შახის ჯარებს მოსვენებას არ აძლევდენ და მათთან პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდენ. მათი დანიშნულებაც სწორედ



ეს იყო, რასაც ისინი საუცხოვოდ ასრულებდნენ. შენის მდგომარეობა
უმწეო ხდებოდა. ერთად ერთი საგრძნობა ძალა იყო ლაბინიკერი რეკტორი
ათას ყაზაჩი; მაგრამ ეს მას ჩას უშეველიდა. ცხადი იყო, ჩეკო ჭეკონი
ზუღა შეტევას ის ვეღარ გაუძლებდა და ოფრანის ბედიც გადაწყვეტი-
ლი იქმნებოდა, რაც ნიშნავდა შეის დამარტებას და კაჯარის დინა-
ტიის მოსპობას. ამ უკანასკნელ მომენტში იჩინა თავი რუსეთის აქტი-
ურმა ჩარევამ სპარსეთის შინაურ საქმეებში: რუსეთი თანდათან აძლე-
რებდა თავის გარნიზონებს. ჯულფის მიმართულებით ეშელონები უკ-
ვი გზაში იყენენ. ამ გარემოებამ გაღმწეუებით როლი ითამაშა ქართვე-
ლების უკან დასაბრუნებლად და ამავე დროს სპარსეთის განმათავისუ-
ფლებელ მოძრაობას მახნიჯი ხასიათი მიეცა. კავკასიის რევოლუციო-
ნერებისა და უმთაკრესად კი ქართველთა მონაწილეობა სპარსეთის ახალ
მოძრაობაში, მთავარი ხელმოსაყიდო საბაბი ხდებოდა რუსეთისათვის
და ისიც მოხერხებულად ხმარობდა, თუმც ორმოც ათას ჯარში, რო-
მელსაც თავი ყაზაჩიში მოყარათ, ას ქართველს არავითარი მნიშვნე-
ლობა აღარ ჰქონდა. მაშესადამე ჩეკნ უკან დაბრუნებას ამ მხრივ რე-
ვოლუციისათვის რაიმე ზარალის მოტანა არ შეეძლო, სარგებლის კი --
ვინაიდან რუსეთს ერთ-ერთ საბაბს ხელიდან გამოვაცლიდთ. ჩეკნს
სამშობლოში დაბრუნებამ ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. უმ-
რავლესობის აზრით, სპარსეთის რევოლუცია თავისი პირველი ხასიათი
თოთქო დაჰკრიგა. არც ერთი ძირითადი კითხვა ჯერ კიდევ არ იყო გა-
დაწყვეტილი. უმრავლესობის აზრით, მოძრაობის მეთაურობა ჩაუკარ-
და ხელში ხანებს და ისევ გაბატონებულ კლასებს, დემოკრატია კი,
ხალხი არსად სჩანდა, როგორც ეს საქართველოში ჰქონდათ წარმოდგე-
ნილი. მართლაც, ფეოდალური ურთიერთობა ისევ ძალაში იყო და-
წერილი. გლეხი ხანის სრულ მონას წარმოადგენდა. მას ბატონი ისე იყე-
ნებდა, როგორც მას სურდა. იმ შემთხვევაშიაც კი, როცა გლეხები ხა-
ნების თანხმობით კერძო მწარმოებლებთან ან ბრინჯის პლანტაციებში
მუშაობდნენ, ჯამავირის სამი მეოთხედი ხანის საკუთრებას შეაღენდა.
საშინელი ეკონომიკური დაბერჩევება ხალხის და უსაზღვრო ექსპლოატა-
ცია. მაგალითად: ბრინჯის ყანაში მომუშავე გლეხის ქალიშვილი, რო-
მელიც მთელი დღე წყალში იდგა ფეხშიშველა, მოღუნული და ბრინ-
ჯის მცენარეს ძირი უსუფთავებდა, იღიბდა 40 კაბიკს. და აქედან 30
კაპ. ხანს მიჰქონდა. ამ აუწერელი მდგომარეობის გამოსაწორებლად
არავითარი ზომა არ იყო მიღებული; ამ ნიადაგზე და იმის გამო, რომ
მოძრაობას რუსეთის წყალში წონასწორობა ეკარგოდა, როგორც
ყოველთვის, საზოგადოებრივი ელემენტების გაწყვეტის შემდეგ, ქარ-
თველებშიც დისკაბლინა თანდათან ირლვეოდა და პირველი გატაცება
რევოლუციისადმი სუსტდებოდა. იყო ისეთი შემთხვევა, როცა ზოგა



ქართველმა ორსაკადრისი საქციელი ჩაიდინა. დგვებადა იმის შიში, რომელიც მარტინ ქართველების მფერ დღემდე სპარსთა შორის განმტკიცებული სიყვარული არ გვეკარგებოდა. მაშასადმე, ამ მხრივაც უკეთეს იყო საერთოდ ქართველების უკან გაბრუნება. ერთ დღეს ეს ჩემი შეხედულება დაბრუნების შესახებ გავუზიარე ვალიკო ივანაძეს და როგორ მესამოვნა, რომ ისიც თურმე დიდი ხნია ფიქრობს ამის შესახებ. ჩვენ თავი მოვუყარეთ რამოდენიმე ამხანაგს და გავაცანით ჩვენი გადაწყვეტილება. აღმოჩნდა, რომ ეს ამხანაგებიც იზიარებდნენ ამავე აზის; ამას შემდეგ მოწვეულ იქმნა ქართველების კრება, სადაც ვილაპარაკე ჩვენი როლის გათავების შესახებ სპარსეთის რევოლუცია-ში და დასკვნა გავაკეთე, რომ წრორედ ამ მოძრაობის ინტერესებისათვის საჭირო იყო საქართველოში გაბრუნება. ამ წინადადების სასტიკი მოწინააღმდეგენი აღმოჩნდენ ანარქისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები და მობოლშევიკო ელემენტები. მაგრამ ვალიკი ივანაძის მოხდენილმა, დასაბუთებულმა და აღგზებულმა სიტყვამ ისინი სრულიად ჩააჩუმა. დიდი უმრავლესობით გადაწყდა დაბრუნება. ეს დადგენილება მე და ვალიკო დაუყოჩებლივ სამხედრო შტაბს შეეატყობინეთ. იქ საზინლად შეწუხდენ, მაგრამ მათთვისაც ცხადი იყო, რომ ეს იყო საუკეთესო გამოსავალი რესეთის ინტრიგების წინააღმდეგ. ამიტომ სამხედრო შტაბმაც დაადასტურა ჩვენი გადაწყვეტილება. ქართველების ვაცილებას თვით სეპენტრარი დაესწრო. მან დადა მაღლობით მოიხსენია ჩევნი მუშაობა და ბრძოლა. მუიზა სულთანი კი ცრემლებით თვალში გვემშვიდობებოდა და სულ იმას იმეორებდა, რომ ის არასოდეს საქართველოს ამაგს არ დაივიწყება.

ცოტა ხნის შემდეგ ქართველობის უმრავლესობა სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა გზით საქართველოში დაბრუნდა. სპარსეთში დაჩინ მხოლოდ ისეთი პირები, რომელთაც სასჯელის შიშით უკან გამობრუნება არ შეეძლოთ. სულ ბოლოს მეც ყაზინ-რეზტ-ეწელით და ასტარა-ლენქორანი-ბაქოს გზით დაუგებრუნდი ჩემ საყვარელ ტფილის. რესეთისათვის გარეგნულად თითქო მოისპონ საბაზი სპარსეთის შინაურ საქმეებში ჩასარევად, მაგრამ მან ურთხელ კიდევ თავის ვერაგულ პოლიტიკას მაინც არ უღალატა...

ვ. ეშუხვარი

გასაღები

ფულ-კოლიტიქური სტუდიისათვის

1

ფულის კოლიტიქა ჩირმანიაში

(ვაგრძელება)

წინასიტყვაობა

თანამედროვე გერმანიის წარმოშობა

1815 წელს, ვენის კონგრესზე, სადაც მოხდა ევროპის კარტის გენერალური გადამიჯვნა და თანამედროვე ეტილიბულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება, დაარსებულ იქმნა გერმანულ სახელმწიფოთა კონფედერაცია, ეგრეთ წოდებული გერმანული კაფირი. ეს კონფედერაცია იქმნა დაარსებული ნაცილად პირველ გერმანიის იმპერიისა, ეგრეთ წოდებულ კურიოსულ რომაულ იმპერიისა, რომელსაც ბოლო მოულო ნაბალეონის იმპერია. კონფედერაციის ცენტრი მდინარე მაინზე მდებარე ფრანკფურტი იყო; აქ იყრიბებოდა წელიწადში ერთხელ კაფირის წემადგენერალ სახელმწიფოთა წარმომადგენლობა, ეგრეთ წოდებული — ბუნდესტაგი — ავსტრიის წარმომადგენლობის თავჯდომარეობით; უკანასკნელი იყო აგრედევე კაფირის საქმეთა მმართველი. დადგრინდებათა სისრულეში მოყვანა გულისხმობდა მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მათ წინასწარ რატიფიკაციას; ამაში გამოიხატებოდა კაფირის საგარეო-უფლებრივი, კონფედერატული ხსიათი. გერმნიის პატრიოტთა ზმის წინაშე იდგა ამოცანა: გერმანიის ერის გაერთიანება უფრო ძლიერ და მტკიცე სახელმწიფო-უფლებრივ ნიადაგზე, კაფირის გარდა ქმნა სახელმწიფოთა კონგლომერატიდან ერთმანეთთან ორგანიულად შელეღებულ სახელმწიფოთა ფედერაციად.. კაფირის ასეთ გაღსეულები არგას ხელს უშლიდა ის მეტოქეობა, რომელმაც თავი იჩინა კაფირის დაარსების დღიდან ასტრიდიასა და პრუსიის შორის. პრუსია ვერ ურიკ-ებოდა კაფირზე ავსტრიის ჰევემონიას და ვინაიდან ავსტრია ნებაყო-



ფლობით პრუსიას არ დაუთმობდა ჰეგემონიას, ამიტომ პრუსიის პრუსიულურია ლიტერა იქთვენ იყო მიმართული. რომ აცსტრია კავშირიდან გაედეჭდა მართვა
ნა და ჩრდილოეთ-სამხრეთი გერმანია თავის ჰეგემონიის ქვეშ გაერთია-
ნებია. ამ განზრახვის განხორციელებისაკენ პრუსელ ეტაპს წარმოად-
გენდა 1833 წელს დაარსებული საბაჟია კავშირი, რომელშიაც შედიო-
დენ გერმანელ სახელმწიფონი, გარდა პანზის ქალაქებისა და აცსტრიი-
სას ეს საბაჟო კავშირი სპობდა საბაჟო გადასახადს მოყვაშირე სახელ-
მწიფოთა შორის; იგი სწევდა საგარეო საბაჟო პოლიტიკის საკითხებს
და ამასთან დაკავშირებულ შინაგან არაპირდაპირ გადასახადებიას. ამ
საბაჟო კავშირსაც საგარეო უფლებელიერ ხასიათი ჰქონდა; კავშირის გა-
დაშევეტილებათა სისრულეში მოყვანა კულისმობდა მოყვაშირეთა ში-
ერ მათ წინსწარ ასტოუგაციას. კერძონის გერმანება ნიშნავდა ამ
ორი კავშირის ასიმილიაციას: ან საბაჟო კავშირში აცსტრიაც უნდა შე-
სულიყო და გაეუქმები მასში პრუსია; ჰეგემონია, ან პრუსის უნდა
გაედევნა აცსტრია გერმანული კავშირულან და დაემყარებია კი თავი-
სი ჰეგემონია ისე, როგორც საბაჟო კავშირში. გერძონის პატრიოტულიშემ
სკადა გერმანიის გაერთიანება ამ ორ დიდ გერმანულ სახელმწიფოთა
მეტოქების გარეშე, თვით ძირიდან, ხალხის ჩარევით, ე. ი. ჩევოლუ-
ციური გზით. კიდევაც 1848 წელს იღეთქმ გერმანიის სახელმწიფოუბრი
რევოლუციამ; ქალაქ ფრანკფურტში მოწვეულ იქმნა დამფუძნებელი
კრება, რომელმაც 1849 წელს პავლეს ცეკვესაში შეიმუშავა გაერთია-
ნებული გერმანიის სახელმწიფოს დღმიცარტიული კონსტიტუცია. მაგ-
რამ იმ დროს, როდესაც ერთს დამფუძნებელი კრება კონსტიტუციას იმუ-
შავდა, უფლება-შეკვეცილ გერმანულ სახელმწიფოთა დინასტიები
რაზმავდნ კონტრ-ჩევოლუციურ ქალებს და ბოლოს იმავე 1849 წელს
ფრანკფურტის პარლამენტი გარეკილ იქმნა პრუსიის ჯარის მიერ. ამ-
ნარად ალგორილ იქმნა ძალა 1815 წლის ხელშეკრულებისა გერმანი-
ის კავშირის შესახებ. და დარჩა ერთად-ერთი გზა გაერთიანების, გზა ზე-
ვიდნ, პრუსიასა და აცსტრიას შორის, მეტოქების ბრძოლის ველზე
წინასწარ გადაჭრით.

თვით იმ პატრიოტულისათვის პრუსიაში და საზოგადოთ ჩრდილოეთ
გერმანიაში, რომელთაც პრუსის ქლიტების გადიდება კი არ ანტერე-
სებდათ, არამედ უპირველესდ ყოვლისა გერმანიის გაერთიანება, მიუღე-
ბელი იყო გაერთიანებულ გერმანიაში აცსტრიის ჰეგემონია ორი მოსა-
ზრებით: ერთი იყო მოსაზრება წმინდა კონფესიონალური — აცსტრია
იყო კათოლიკური სახელმწიფო, პრუსია კი პროტესტანტული. შეორე
მოსაზრება იყო რასიულ-ერნოგრაფიული — აცსტრიისთან ერთად ვა-
ერთიანებულ კავშირში უნდა შემოსულიყო აუარებელი რიცხვი სხვა
ტომის ხალხთა: ჩეხები, სლავები, იტალიელები და სხვანი. გერმანუ-



ლი პატრიოტიზმი არჩევდა აცსტრიაში მცხოვრებ რვა მთლიონ გერმანულ კულტურის გაწირვას, ვინებ გაერთიანებული გერმანიის უცხო ტოშტო მუნიციპალიტეტების ბით გაფეხბას. იყო ურთი შემთხვევა, რომა პრუსიის შეეძლო შეიღობანი გზით მოქმორებია აცსტრია გერმანიის კავშირიდან და ამით გაა გაეცავა მის ჰეგემონიის ქვეშ გერმანიის გაერთიანებისაკენ. ეს იყო — 1859 წელს, როდესაც იფეთქ მმმა საფრანგეთსა და აცსტრიას შორის იტალიის განთავისუფლებისათვის აცსტრიის ბატონობისაგან.. ამ დროს კვლევ თავი წიმოპურ პრუსიაში ოტერო ბისმარქმა, რომელმაც თავი ისახელა კონსერვატული საზოგადოების წინაშე თავისი ენერგიული ბრძოლით 1848 წლის რევოლუციურ მოძრაობის წინააღმდეგ, როგორც პუბლიკისტება და პრუსიის პალატის წევრმა საცრანგეთ-აცსტრიას მმის დროს ბისმარქი იყო პრუსიის ელჩი პეტერბურგში; იგი ურჩევდა პრუსიის მთავრობას მმშვიდებელი საფრანგეთისათვის მთარი დაეჭირა და ნააპალეონ მესამესაგან კომპენსაციად მიეღო აცსტრიის ჰეგემონიის ქვეშ მყოფ გერმანული კავშირის აფეთქება და ჩრდილოეთ გერმანიის სახელმწიფოთა შეკავშირება პრუსიის ჰეგემონიის ქვეშ ეს იყო ბისმარქის გეგმით პირველი უტაპი გერმანიის გაერთიანებისაკენ. ამ წინადაღებაზე არ დათანხმდა ვილჰელმ პირველი, რომელიც იმ დროს რეგენტი იყო თავის მმის მეცენ ფრიდრიხ-ვილჰელმ მეოთხს ავადმყოფობს გამო. იმისათვის რომ პრუსია ბრძოლის ველზე გამკლავებოდა აცსტრიის, საჭირო იყო პრუსიის ჯარის რადიკალური რეაგრენიზაცია და ეს შრომა ვასწია დაუწირეტელი ენერგიის პატრიონა, პრუსიის სამხედრო მინისტრმა რომელმა.

1860 წელს სამხედრო სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქმნა სამხედრო კანონ-პროცესტი, რომლის ძალით პრუსიაში უნდა განხორციელებულიყო საერთო საგალლებულო სამხედრო ბეგარა. გარდა ამსა, კანონ-პროცესტი აღიდებდა სამხედრო სამსახურის არსებულ ვადის: ქვეითი ჯარისათვის ის აწესებდა სამი წლის სამსახურს და ცხენოსანისათვის კოთხე წლისას. თანაც მცირდებოდა ის ხანა, რომლის განმიხლებაში სამხედრო ბეგარამოხდილი ჯარისკაცი მუდმივ ჯარის რეზერვში ითვლებოდა, სანამ ის მიღლივაში გადაირიცხებოდა. ამით მოხდა ის, რასაც გერმანელები ჯარის გაახალგაზირდავებას უწოდებენ. ეს პროეკტი იქმნა განხორციელებული სანამ იგი და მასთან შეკავშირებული ხარჯები დასამტკიცებლად პრუსიის პარლამენტის წინაშე იქმნებოდა. წარდგენილი პარლამენტის არჩევნები მოხდა 1861 წლის მიწურულში და ამ არჩევნებში გაიმარჯვა ეგრეთ წოდებულმა ლიბერალ-პროგრესისტთა პარტიიმ, ე. ი. ლიბერალურმა მომზეულმა. უკანასკნელი წინააღმდეგი იყო სამხედრო რეფორმისა იმ სახით, რომელიც მთავრობის მიერ იქმნა შემუშავებული, მოითხოვდა რეფორმის შეცვლას, სამი წლის სამსახურის მავივრად ორი წლისას; საერთოდ რეფორმაში იგი ხედავდა



ჯარის სრულ ვამოთიშვის ხალხისაგან და ამით მის გადაჭუების აბსულუტურული
ლუტიზმის ბრძა იარაღდ. მთავრობა კუმპირომისწე არ თანხმდებოდა,
უმისოდ კი პარლამენტი (ლანდტავა) ბიუჯეტის დამტკიცებაზე უარს
ამბობდა; ამ რიგად მთავრობას რჩებოდა შხოლოდ ერთი ვაჲ — არა-
ლამენტის მიერ დაუმტკიცებელი ბიუჯეტით მუშობა. იწყება ფურც-
ლები საბიუჯეტო უფლების ნიაღაზზე პრუსიის მეფის მთავრობისა და
პრუსიის პარლამენტის საკონსტიტუციო ბრძოლის ისტორიისა; არც
ერთი მხარე არ თანმიდებოდა დათმობაზე, შხოლოდ მთავრობაში არ
მოიპოვებოდა საქართვის ძლიერი პიროვნება, რომელსაც შესძლებოდა
ეს ფრიად მძიე და საბასუხისმგებლო ბრძოლა პრუსიის ლიბერალიზ-
მთან ეწარმოვნია. თუ მეფის ახლო მდგომ პირებს საქართვის ძალა არ
ჰქონდათ ასეთი ბრძოლის წარმოებისთვის, მათ ჰქონდათ საქართვის
კეთილსინდისიერება იმისათვის, რომ ვაჲ არ დაეხმოთ ისეთი პირისათ-
ვის, რომელსაც შეეძლო ეს ბრძოლა მიელო და ღირსეულად ეწარმოვ-
ნია. მეფის მრჩეველთა არჩევანი ბისმარკზე შეჩერდა; ის გახდა მთავ-
რობის თავჯდომარე.

ბისმარკი მეტად მოხერხებულ დიალეკტიკით სცდილობდა
პარლამენტისათვის მთავრობის პოზიციის სისწორე დაგმტკიცებია. ის
არ იდგა ტლანქი ძალადობის ნიაღაზზე, არამედ ეყრდნობოდა პრუსიის
კონსტიტუციის ტექსტს, იგი ამტკიცებულა, რომ ბიუჯეტი არის ისეთივე
კანონი, როგორც ყოველი სხვა კანონი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ
მას ყოველწლიურად სჭირდება საკონსტიტუციო თავმჯდომარებრივი
როლი ის, მშასადამე, შხოლოდ ერთი წლით არის ძალაში. კანონის შემუ-
შვებაში კი, თანახმად პრუსიის კონსტიტუციისა, სამი ხელისუფლება
ღებულობს მონაწილეობას: მეფე, ზედა და ქვედა პალატა. კონსტიტუ-
ცია არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რომელს ამ ხელისუფლებათა
შორის აქვთ უპირატესობა კანონის შემუშვებაში, ამ რიგად კონსტი-
ტუცია გათ შორის აბსოლუტურ თანასწორობას ამყარებს. კონსტიტუ-
ცია არაფერს ამბობს ამ სამ ხელისუფლებათა შორის მომხდარ უთან-
ხმოების შესახებ, მაშასადამე, ბისმარკის აზრით, ამა თუ იმ კანონპრო-
ეტის უარყოფა რომელიმე ხელისუფლების მიერ არ აქარწყლებს თვით
კანონპროექტს, არამედ მოითხოვს კონფლიკტის კომპრომისით გათა-
ვებასო. პარლამენტი არ ეთანხმებოდა ბისმარკის არგუმენტაციის; იგი
ბიუჯეტის პროექტის წინასწარ დამტკიცებას პარლამენტის მიერ აუ-
ცილებელ პირობად სთვლიდა ამ პროექტის კანონად ქცევისათვის; იგი
სისტემატიურად უარს უგნებოდა მთავრობას ბიუჯეტის დამტკიცება-
ზე, მთავრობა კი სისტემატიურად ანხორციელებდა დაუმტკიცებელ ბი-
უჯეტს და ეს ისტორია გაგრძელდა აცტრიისათან ომის გათავებამდე,
რომელმაც 1866 წელს იფეთქა.



ომის საბაზი იყო შლეუტეიგ-ჰოლშტაინის საკითხი, იმ მხარის, რომელიც შედებით პრუსიამ აქვთ სტატუსის დახმარებით დარიალის წაართვა, ხოლო მისი შედებით სტატუსის გადაწყვეტაში, ე. ი. ნადავლის განაწილებაში ვერ შეუთანხმდა აქვთ სტატუსის, ის მთელ ნადავლს თავისათვის იტოვებდა. ამ ჩივად, ბისმარკი იშვებდა ომს აესტრიასთან, როდესაც იგი საზოგადოებრივ აზრითან სასტიქ კონფლიკტში იმყოფებოდა. თავისი გენიალური დიპლომატიური უნარით მან მიაღწია რესესიისა და საფრანგეთის ნეიტრალიტეტს; ათასნაირა ქორება და ცილინდრმება გრულდებოდა მის შესახებ გერმანიაში; ამბობდენ, თითქმ მან ნეიტრალიტეტისათვის საჭარბეოს რაინის მარცხნა მხარე მიყიდა. ერთი ორგანიზაციის იქმდე მივიდა, რომ სწერდა: გერმანიაში კიდევ მოპოვება ხე, სადაც შეიძლება ჩამოკიდულ იქნას სამშობლოს მოლალატეო. ბისმარკი სრულებით გულ გრილად ეკიდებოდა ასეთ კომპანიას მის წინააღმდევე, პირადი ამბიცია არავითარ ჩილდს არ თამაშობდა მის პოლიტიკში; მას უყვარდა თავისი სამშობლო, მას ჰქონდა ვეგმა მისი მომავალის გამოჭედებისას და დაუღალავი ენერგიით და თავანწირულებით მიდიოდა ამ გეგმის განხორციელებისაკენ. ბისმარკია კარგად ციდა, რომ აესტრიასთან ოშე პრუსიის დამარცხება ნიშანვდა გერმანიის გაერთიანების იდეის დასმა-რებას და გადაწყვეტილი „ქონდა ან გამარჯვება ან სიკვდილი. ბისმარკს როგორც უებიან სახელმწიფო მოღვაწეს შესანიშნავდ უქრიდა კალა-მი და სიტყვა. მასთანვე მას, როგორც პრუსიის არისტოკრატის, კარგად უქრიდა ხმალიც, მაის დაწყებისას, 1866 წლის ივნისს შეუ რიცხვებში ის ეუბნებოდა ინგლისის ელჩის, რომ ის უკან არ დაბრუნდება დამარცხებული, რომ ის მოკვდება ბრძოლის ველზე უკანასკნელი შეტევის დროს: „ადამიანი მხოლოდ ერთ დღეს კვდება,“ - ამბობდ იგი, „და როდესაც დამარცხებული ხარ, უმჯობესია მოკვდე“ - ა. ბისმარკის ამ სიტყვების შესახებ ერთი გერმანელი ცსტროიეს ამბობს: — „ვისაც სურს ერთს ბედ-იძაბალი ხეჭდოს, მას სხვანაირად ფიქრი და მაქმედება არ შეუძლოა“ - ა.

საერთო ეკროპიულ სახელმწიფოთ თვალში გამარჯვების შანსი-ბი უფრო აესტრიის მარტეზე იყო, ვინებ პრუსიისა; ჯერ ერთი, მცხოვ-რებთა რაოდენობა აესტრიაში ორჯერ უფრო მეტი იყო ვინებ პრუსიი-აში; გარდა ამისა, აესტრიის ებმარებოდა გერმანული სახელმწიფოების მთელი წყება, კერძოდ, სამხრეთ და ზოგიერთ საშუალო გერმანიის სახელმწიფოები. მართალია, ამ ოშე პრუსიას მოკავშირედ ცტალია პყავდა, მაგრამ იტალია იყავებდა აესტრიის ჯარის მხოლოდ მეოთხედ ნაწილს; 1866 წელს, 24 ივნისს, მალობდ კუსტოზასთან ბრძოლაში იტალიის ჯარი სასტიქად იქნა დამარცხებული და ამ ჩივად, აესტრიის ჯარის ორი მესამედი იტალიის ფრონტიდან განთავისუფლებული. მაგ-



ამ ამ ამში გადამტუვები როლი ითანაბაზ პრუსიის ორგანიზაციას და ეროვნული დისკორსის და ავტორული პრუსიის ჯარის მთავარი უზაბის უფროსის მიმღებელი მოღვაწეს სტრატეგიულმა გვრიამ. უკანასკენელს თავის სტრატეგიულ ანგარიშში შეტანილი ჰქონდა საკომუნიკაციო საშუალებან, როგორც აკინისგზა და ტელეგრაფი; ამით მან განსაკუთრებული სისტრატეგი და ელასტიკობა მისცა თავის ჯარის მძიმეობას და ამონდენიმე კვირის გან- მსვლობაში სასტრიკად დამარცხა ავტორიელების მხედრობა. ომში ჩიე- რა ან ნაპოლეონ მესამე ვითორია შუამავალი და წინადაღება მისცა პრუ- სის დაქმაყოვალებულიყო ავტორის გერმანული კავშირიდან გასვლია. ნაპოლეონ მესამე დინიტერესებული იყო ხელი შეესალა პრუსიის გა- კლების გაფართოებისათვის მდინარე მაინის სამხრეთი, ჩათა ბოლო არ მოღვაწდა მეტოქეობას პრუსიას და ავტორის შორის. ამ იდეით არის ნაკრინახები ის ზავი, რომელიც 1866 წლის 23 აგვისტოს ქალაქ პრაგაში იქმნა შეკრული პრუსიასა და ავტორის შორის. ამ ზავის თა- ნახმად, ავტორია გამოვიდა გერმანულ კავშირიდან და იცნო ჩრდილო- ეთ გერმანული კავშირი, რომელშიაც შედიოდნენ მდინარე მაინის ჩრდი- ლოეთით მდებარე სახელმწიფონ. ამ კავშირის გერმანიად ქცევა, ე. ი. მასში სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოთა შემოერთება უწინარეს ყო- ლისა გულისხმობდა საფრანგეთთან იარალით ხელში გამკლავებას და ეს იყო ხელი ბისმარკის უმთავრესი სახელმწავი საგანი.

ბისმარკის მიერ ავსტრიაშე ბრწყინვალე გამარჯვება იყო ამასთანავე დამარცხება იმ ლიბერალური ოპოზიციის, რომელიც გაშემაცემულად ებრძოდა ბისმარკის პოლიტიკის და რომელმაც ომს ფროს ისეთავე თავადაწირულტით იორთა ბრძოლის ველზე. როგორც კრისტენების ულმა გერმანიაში, თუ ლიბერალიზმის სახით პრუსის მურჯვაზია, მიუხედავდ იმისა, რომ იყო მურჯვაზია იყო, არ იყო ლაშაზი; პრუსის არისტოკრატია, მისი მეფისა და კანცლერი ბისმარკის სახით, სწორედ იმიტომ, რომ იყო არისტოკრატია იყო, არ იყო ტრაბახი და მეტიჩარა. ამიტომ გათავდა თუ არა ომი, მოხდა მეტის მეტად არა ჩეცულებრივი და განსაციფრებელი ამბავი: — გამარჯვებულმა დამარცხებულის წანაშე ბოლოში მოხიარა.

პრესის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა დასმტკიცებულიდ ყველა იმ წლის ბიუჯეტი, რომელიც პარლამენტის დაუდასტურებლად მხოლოდ მეფის განკარგულებით იქმნა გატარებული.. თვით ამ ფაქტით მთავრობა პარლამენტს უვბნებოდა: — თუ სისახლის მატერიალური მხარე, ე. ი. მისამართებულება მთავრობის მხარეში იყო, უორმალური ჰქონილობა კა, ე. ი. კანონი პარლამენტის მხარეში იყო, რომ ბიუჯეტი პარლამენტის მიერ დასმტკიცებული, მოკლებული იყო ლეგალური



ბაზას. ეს იყო ხაზ-გასმით აღნიშვნული მეფის სიტყვაში, და დაპირება, რომ მომავალში მზგავს მოვლენას აღილი არ ექნებოდა.

ავტორიზე გამარჯვებამ და მისმა შედეგებმა დანახვების ბისმარკის პოლიტიკურ მოწინაღმდევე ლიბერალებს, რომელნიც ბისმარკს ეპროდენ, როგორც გაფინანსებულ კონსერვატორს, რომ ბისმარკის პიროვნება არ განიზომება ასეთი ჩეულებრივი მასშტაბით, როგორიც არას კონსერვატიზმი; რომ მთავარ მამოძრავებელ მოტივს მის მოღვაწეობაში წარმოადგენს სამშობლოს ინტერესების და ამ ინტერესებისათვეს ის მზად არის ყოველი ძალა გამოიყენოს. ამ შეკნებამ შეარიგა დიდი ნაწილი გერმანიის ლიბერალუზმისა პასმარებინ, მოხდა ერთხაირი ვადაჯგუფება გერმანიის პოლიტიკურ პარტიებში: გერმანიის ლიბერალუზმი წარსდგო გერმანიის პოლიტიკურ ასარეზე ახალი, ნაციონალ-ლიბერალური პარტიის სახით და დაიწყო ლიკიური თანამშრომლობა ბისმარკიან.

ავტორიასთან ომის შედეგი იყო არა მარტო ჩრდილო-გერმანული კავშირის დაარსება, არამედ ამასთანავე 1833 წლის საბაჟო კავშირის ჩეორგანიზაცია. ეს მოხდა 1867 წელს; ამ წლიდან კავშირის დაკარგა თავისი კონფედერატიული ხასიათი; იგი სახელმწიფობრივ იმპერია-ცად იქმნა; შემოილეს საბაჟო პარლამენტი, საერთო საარჩევნო უფლებით ამორჩეული. საჭირო იყო ეხლა ჩრდილო-გერმანულ კავშირში სამხრეთ გერმანიის სახელმწიფოთა შემოსველა, რათა საბაჟო კავშირი, რომელშიაც სახმრეთ გერმანიის სახელმწიფოები შევიდენ, პოლიტიკურ კავშირად ცეკულიყო, ეს მიზანი კი დღის წესრიგში საფრანგეთთან ომს აყენებდა. ომის საბაზის როლი ითამაშა ისპანიის ტახტზე კანდიდატურამ. 1868 წელს ისპანიიდან განდევნილ იქმნა დედოფლალი იზაბელა, რომელიც ბურბონების, მაშასადამე, ურანგულ დინასტიის ეკუთვნოდა. ისპანიის მთავრობამ მოლაპარაკება გამართა პრუსიის მეფის მონათხვავე პომენცოლერნ-სიგამარინების იჯახობასთან. საფრანგეთი ვერ უჩივდებოდა იმ გარემოებას, რომ ისპანიის ტახტზე მჯდრიყო მეფე არა ფრანგული, არამედ გერმანული დინასტიიდან. რომ ამ რიგად, ისპანია გერმანული ორიენტაციის სფეროში მომხდარიყო. ბისმარკი ფარულად ხელს უწყობდა პომენცოლერნის კანდიდატურას, ხოლო ოფიციალურად კი გამოაცხადა. რომ პრუსიის მეფის მთავრობას ეს კანდიდატურების საკითხი კერძო საკითხად შიაჩნია, მას ამასთან არაფერი საერთო არა აქვს და არავითორ მოლაპარაკებას მის შესახებ არ მართავს. მაგრამ საფრანგეთის ელჩიმა იმ დროს, როდესაც ბისმარკი თავის მმარცველი, პომერანიაში, დასასვენებლად იყოვებოდა, მოახერხა პირადი მოლაპარაკება მეფე ვილჰელმ პირველთან, რომელიც ქალაქ ემსში იმყოფებოდა 1870 წლის ზაფხულში სააგარაკოდ, და იმას მზაღვია, რომ



მცუებ თავის მონათესავე გვარულობას ისპანიის ტახტის კანდიდატში—უსარიცავლი ჩაზე უარი ათქმევინა; ამით მან ბისმარქს გაუცუჭა კულა მისი კომბინაციური ნაცია, ჩავდო რა პრესიის მთავრობა სასაცილო მდგომარეობაში. მაგრამ ბისმარქის მფლობელობა იხსნა საფრანგეთის ელჩის ბენედეტი, რომელიც არ კმაყოფილდებოდა დროებითი გამარჯვებით და მოიხსნავდა ჰორნის კოლეგიანებისაგან სამუდონდ უარისთვებას ისპანიის ტახტის კანდიდატურაზე. მაშინ ვილჰელმ პირველმა საფრანგეთის ელჩითან მოლაპარაკება იმით გაათავა, როთაც უნდა დაეწყო და რითაც გალდებული იქნებოდა დაეწყო, რომ პრესიის მონარქიას პარლამენტარული ხასიათი ჰქონდა. მან უარი განაცხადა ამ საკითხის შესხებ მოლაპარაკებაზე და წინადადება მისცა მას, მიემართა შესაფერი დაწესებულებისათვის, ე. ი. საგარეო სამინისტროსათვის და ეს გარემოება 13 ეკლის იმავე 1870 წელს დეპეშით აცნობა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ბისმარქს; ბისმარქმა დეპეშაში რამდენიმე სიტყვა წაშალა, რამოღენიმე ჩაუმარა, ამით დეპეშის თავისი სული შთაბერა და ამ სახით გამოაწვენა. საფრანგეთი ჩავარდა სასაცილო მდგომარეობაში და გადაწყვეტა იარაღით ხელში გასწორებოდა პრესიის.

ნაპოლეონ შესამე და მისი მთავრობა დააჩიტუნებული იყენენ, რომ ომი პრესიის საზღვარზე რამდენიმე გასროლით დამთავრდებოდა; ასეთი იყო საერთო აზრი ფრანგულ საზოგადოებაში. მაგრამ იყო საფრანგეთში სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც კარგად ესმოდა, თუ რა სახითათო მდგომარეობაში ვარდებოდა საფრანგეთი ამ ომით, რომლის საჭიროებას ის სრულებით არ ხედავდა. გინაიდან არსებითად საფრანგეთს საქმე მოვებული ჰქონდა და თავმოყენებისათვის კი ომის კამოცხალებას უგუნწრებდა სთვლილა. ეს იყო საფრანგეთის პალატაში ლიბერალური ოპოზიციის მებაირაბტრე, — ტიერი. ტიერი იყო ცნობილი მეცნიერი, ისტორიკოს-მეცნიერი, მართველობისა და ფინანსების შესანიშავე მცოდნე, ტიერისათვის, როგორც ეკროპიელი მეცნიერისათვის, მეცნიერება არ ნიშნავდა პოლიტიკაში ფარალისტურ უინკისატეობას, სკპეციულიშის ბუდეში მედილურად ჩაეტვას, ქვეპნის ბედილბარის დილეტანტების ინტუიციის ანაბარად დატვებას. მისი პატრიოტულ შეგნება უკანასხებდა მას სამშობლოს ბედილბარის გამოქვედვისათვის დაუღალავდა იარაღის ლესებს, ყოველ სახითათო მოვლენასთან ხელჩართულ ბრძოლას. ის იყო ოპოზიციაში ნაპოლეონის მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ მრსთვის პოზიცია არ ნიშნავდა ბრტყელ-ბრტყელ პროგრესულ ფრაქციონობის, ის იყო გუშაგ თავისი ერის, იგი თვალყურს აღენებდა მთავრობის ყოველ ნაბიჯს და თავისი მეცნიერული შუშით ის ხედავდა არა მარტო იმას, თუ რა ხდებოდა მის ქვეყანაში, არამედ იმასაც, თუ რა ხდებოდა იქ, რაინის გადაღმა; მან



იცოდა, რომ საფრანგეთი არ იყო მოშაბადებული პრუსიასთან საომრად და სცდილობდა მთავრობა დაქრწმუნები იმის გამოცხადებაზე ხელი აეღო; მას სურდა ამ საკითხზე თვით იმპერატორ ნაპოლეონ შესამესთან პირადათ ლაპარაჟი მაგრამ მასთან აუდიენციას ვერ მიაღწია. მხოლოდ როდესაც სედანის ბრძოლაში საფრანგეთის ჯარი დამარცხებული, მაგრატორ ნაპოლეონ შესამესთან ერთად. პრუსიის ჯარს ტკვედ ჩაუვარდა, როდესაც ამ ამბავის გვევრაზე პარიზში 3-4 სეკურიტეტერს იფეთქა რევოლუციამ და დროებითი მთავრობის სათავეში ტიერი მოექცა, უკანასკნელის ზურგზე გადაირა საფრანგეთის ისტორიის ყველაზე უფრო მწარე დღეებმა; მას წილად ხედა საფრანგეთის დამარცხების ლიკვიდაცია და ეს ვალ მან ლირსეულიდ შეასრულა.

იმის ოქმა ძნელია, რამდენად შორს მიღიოდა ბისმარქის ანგქისური გვეგმები საფრანგეთის მიმართ, მაგრამ ცხადია, რომ ეს გვეგმები ისე შორს არ მიღიოდა, როგორც პრუსიას შედრობის წარმომადგენელთა გვეგმები. ბისმარქს ჯერ კიდევ აცხრიასთან იმის დროს მოუხდა ბრძოლა მხედრების წარმომადგენლების პოლიტიკაში ჩაევასთან; ამ იმის დროს მოლტკემ ბისმარქს შხარი დაუჭირა, იგი დაკმაყოფილდა თავისი სპეციალური სტრატეგიული მისით, მხოლოდ საფრანგეთთან იმის დროს იგი სამხედრო პარტიის სასარკებლოდ მოქმედებდა. უკანასკნელმა დააყენა საკითხი თვით ბელფორს ანგქისის შესხებ; ბისმარქმა შეძლო თავისი ენერგიული წინააღმდეგობით ამ საკითხის მოხსნა. რომ ტიკრის იმედები და ენერგია არ აითწურულიყო ბელფორის საკითხში გამარჯვებით და მტკიცე დიპლომატიური ბრძოლა შეეცა მტკიცის საკითხის გამო, ბისმარქს შეეძლო ამ საკითხის გამოც გაემარჯვებოა სამხედრო წრეებზე, ვინაიდან თვითონ იგი ლორჩინის ფრანგული ნაწილის, პარასადამე, მტკიცა ანგქისის წინააღმდეგი იყო.

საფრანგეთის რევოლუციური მთავრობა ვერ ურიგდებოდა ელზა-ლიმბურის ანგქისის და ამიტომ საფრანგეთის ჯარის სედანთან განაღვეურების მიუხედავად, გადასწუყიტა იმის გავრძელება. აյ იწყება ვმარტიული ფურცლები საფრანგეთის პარტიოტების მიერ ერის ლირსების სასოწარკვეთოლ და თავგანწირულ დაციისა და სამარცხვინო ეროვა გვაჩინის ჯარის მიერ ლამშეულ პარტიის ალყის შემორტყმისა! ამ დროს საფრანგეთის ერმა წამოაყნა საამაყო თრგანიშატორი და ეროვნული ლირსების დამცველი — გამბეტა.

პრუსიის მეფე ომს ჩრდილო-გერმანული კავშირის სახელით აწარმოებდა, მაგრამ დასაწყისშივე ამ კაშირის გვერდში სამხრეთ-გერმანიის სახელმწიფოებიც ამოუდგენ. ბისმარქმა იმის განმავლობაში აწარმოვა ამ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება კა; შიორში შესვლის და გაერთიანებული გერმანიის იმპერიის დაარსების შესახებ. ხანგრძლივი და რთული



მოლაპარაკების შემდეგ მიღწეულ იქმნა შეთანხმება და 1871 წელს მოლაპარაკები იანვარს, ვერსალში, სადაც იდგა გერმანიის ჯარის მთავარი შტაბი, ლურ მეთოთხმეტეს მიერ აგებულ სასახლეში, გერმანიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების თანადასწრებით, მოხდა გრანდიოზული ზემი, პრუსიის მეფის, ვილჰელმ პირველის გერმანიის იმპერატორიად გამოცხადება. იმავე 1871 წელს, 26 ოქტომბერის შეკრულ იქმნა იმავე ვერსალში, წინასწარი ზავი და საბოლოო ზავზე ხელი მოაწერეს ქ. ფრანკფურტში იმავე წლის 10 მაისს. ამ ზავით გერმანიის იმპერია ცნობილ იქმნა საფრანგეთის მიერ.



უცხოეთში ქართული წიგნის გამომცემლობის საქმე
უკიდურეს გაჭირვებას ვანიცის. ბევრი ლიტერატურული
მასალა დაუბეჭდავი რჩება.

რამოდენიმე პირმა სცადა თავისი ნაწერები თვითონვე
დაეხევდა. სამწუხაროდ, მყიდველთა სიმცირის გამო, ამ
უამაღ ესცე შეჩერდა.

უცხოეთში მყოფ ქართველთა ინტერესი, საქართველოს
ინტერესი, მოითხოვს, რომ ქართული თავისუფალი აზროვ-
ნება და მისი თავისუფალი გამოთქმა არ მოისპოს.

ამიტომ, ჩვენ ქვემოდ ხელისმომწერლებმა დაუარსეთ
ქართული გამომცემლობა, რომელსაც მიზნად აქვს შექმნას
საშუალება და გამოსცეს ყოველ სამ თვეში ლიტერატურულ
მეცნიერული კრებული და რამოდენიმე მონოგრაფია წლის
განმავლობაში.

ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ შეგნებულ
ქართველთა დახმარებით.

ჩვენ მოგმართავთ თქვენ, კეთილ ინტებოთ მიიღოთ
თქვენს თავზე მოვალეობა ხელი გაუწიოდოთ ამ ქართულ
საქმეს და ნება მოვცეთ ჩაგრიცხოთ ქართულ გამომცემ-
ლობის დამხმარეთო რიცხვში; ამისათვის გთხოვთ გადახა-
დოთ ყოველ-თვიურად არა ნაკლებ ათი ფრანკისა ერთი
წლის განმავლობაში მაინც. სამაგიეროდ მოგეროთმევათ
თითოული ჩვენი გამოცემა.

ამასთან ერთად გეგავნებათ ხელისმომწერთა ფურცელი.

გთხოვთ ფული გადმოაგზავნოთ შემდეგი
მისამართით:

STENDHAL et Cie

C. Ch. Paris N. 141610

72, Notre - Dame - des - Champs, Paris, VI.

ლრმა პატივისცემით

ჭ. ავალიშვილი, ექ. თაყაიშვილი, გ. უშრული, ვ. ნოზაძე.

აპრილი, 1932 წ.



კავკასიონი

ზიგნი მეშვიდე

შინაარსი

83-

ვ. ნოზაძე — პრ. აბულაძეს	3
გიორგი ყიფიანი — პრ. აბულაძეს	6
პრ. აბულაძის დაუბეჭდავი ლექსიბი —	8
გიორგი ყიფიანი — თბილისი	23
ა. ქეიბური — ქართულ ანბანზე	26
გიორგი ჟურული — „ნატერის თვალი“	34
ვახტანგ ოდიშელი — მეორე მხარე	47
კ. თუთბერიძე — ბესიკი და მისი ანა	54
მიხ. წულუკიძე — ახალი გერმანული ლირიკა	67
ისახარ — დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში	75
ღ. საღირაშვილი — სპარსეთის რევოლუცია	90
ვ. ემუხვარი — ფულ-პოლიტიკური სტუდიისათვის	100
ქართული წიგნის მოყვარულთ —	110

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:

V. NOSADZE, 39, Boulevard Jean Jaurès, Boulogne sur Seine



Imp. BASILE. 1, villa Chauvelot — Paris 15^e



ეროვნული ბიблиოთეკი
სამეცნიერო ცენტრი